# საერთო გაზეთი

№35 (347) ● 11 ნოემბერი, 2015 წელი ● გამოდის ორშაბათს ● WWW.SAERTOGAZETI.GE ● ფასი 1 ლარი


## ნიკუშა შენგელაია:



„რუსთავი-2“ ყველა თავმოყვარე ქართველმა უნდა გათი-შოს!

## სოსო მანჯავიძე:

ჩვენ უნდა ვაიძულოთ ამერი-კელები, ჩამოიღონ ფეხები მაგიდი-დან!..



## რა შეცდომა დაუშვეს ღვალმა და საყვარი-შვილმა და რატომ არ წავა „რუსთავი 2“-ის სკანდალური საქმე სტრასბურგში?



## საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტი-ლებით შეიძლება ქართული მართლმსაჯულება კოლაფსის წინაშე აღმოჩნდეს



თინა ხიდაშელი და გიგა ბოკერია



გიგა ბოკერია, ვანო მერაბიშვილი, ლევან ბერძენიშვილი, ლევან რამიშვილი

## – მე, რომ გადასახლებაში ვიყავი ანუ საიდან ამოდის და სად ჩადის „რესპუბლიკელების“ მზე?

# მივმართავთ საქართველოს პროკურატურას – გაასაჯაროვეთ „რუსთავი-2“-ში ჩადენილი ფინანსური დანაშაულებების ამსახველი მასალები

„რუსთავი-2“-ის შესახებ თითქოს ყველაფერი ითქვა, მაგრამ, ჩვენდა გასაკვირად, არ თქმულა მთავარი რამ — საიდან და როგორ დააგროვა ამ ტელეკომპანიამ ის ქონება, რომელსაც ის დღეს ფლობს?

— ქიბარ ხალვაშის დროს „რუსთავი-2“ რამდენიმე დაქირავებულ ოთახში იყო განთავსებული, დღეს ჩვენ უზარმაზარ კომპლექსს ვფლობთ, რომლის ღირებულება ათეულობით მილიონს აჭარბებს. ამ ქონების წართმევა სურს ხალვაშსო, — აცხადებენ „რუსთავი-2“-ის ადვოკატები, თუმცა იმას არ აზუსტებენ, საიდან გაჩნდა ეს დიდძალი ქონება და რა გზით და როგორ იქნა ის მოპოვებული ქიბარ ხალვაშის ტელეკომპანიიდან წასვლის შემდეგ.

საქმეში კარგად ჩახედული ადამიანების მტკიცებით, მას შემდეგ, რაც „რუსთავი-2“-ს, ფაქტობრივად, მთლიანად დაეპატრონა ცდილობს დაფაროს იმ უამრავ დანაშაულობათა კვალი, რომელიც მის ბუღალტერიაში, თუნდაც ზერელედ ჩახედვის შემთხვევაში, მყისვე ცხადი გახდება.

მივმართავთ საქართველოს პროკურატურას, დაუყოვნებლივ გამოიძიეთ (თუ უკვე გამოძიებული არ გაქვთ) ტელეკომპანია „რუსთავი-2“-ში წლების განმავლობაში მიმდინარე საეჭვო ფინანსური ოპერაციები. გამოიძიეთ და გაასაჯაროვეთ, რომ საქართველოს მოსახლეობამ ერთხელ და სამუდამოდ გაიგოს „რუსთავი-2“-ის სახით რასთან გვაქვს საქმე.

ნახევარი სიმართლე სიცრუეზე უარესიაო, ნათქვამია.

დღეს რაც „რუსთავი-2“-ის შესახებ ვიცით, ეს მხოლოდ ნახევარი სიმართლეა, რაც დაინტერესებულ პირებს სხვადასხვა სახის სამართლებრივი მანიპულაციების და საზოგადოების შეცდომაში შეყვანის საშუალებას აძლევს.



„ნაცმოძრაობა“, ამ ტელეკომპანიაში განუზომლად დიდი მასშტაბების ფინანსური მაქინაციები ხდებოდა.

„რუსთავი-2“ იქცა შავი ფულის გასარეცხ ორმოდ, სადაც უწყვეტ ნაკადად ჩაედინებოდა სპეციალურად „რუსთავი-2“-სთვის შექმნილი ფონდებიდან მოზიდული თანხები, შემოწირულობები სხვადასხვა ბიზნესჯგუფებიდან თუ კერძო პირებიდან, სერიოზული თანხები საბიუჯეტო ორგანიზაციებიდან და ა.შ. და ა.შ.

ისიც გემახსოვრებათ, როგორ ჩამოაწერა კერძო კომპანია „რუსთავი-2“-ს სააკაშვილის ხელისუფლებამ მილიონობით ვალი, როგორ აჩუქა თუ კაპიკებში „მიჰყიდა“ თავდაცვის სამინისტროს ბალანსზე არსებული შენობა-ნაგებობანი.

როგორც ამბობენ, 2006 წლიდან დღემდე „რუსთავი-2“-ში იმდენი ფინანსური დანაშაულია ჩადენილი, ათ კომპანიას ეყოფა ბრალის წასაყენებლად.

საინფორმაციო საშუალებებით გავრცელებულ შეფასებებს თუ დავუჯერებთ, „რუსთავი-2“ დღეს სიტყვის თავისუფლებას და დემოკრატიას კი არა, ნაძარცვ ქონებას იცავს და, რაც მთავარია, თავგამოდებული

აქვე იმასაც დავამატებთ, რომ „რუსთავი-2“-ი არასდროს მდგარა ქართველი ხალხის სამსახურში, ის ყოველთვის ემსახურებოდა ამა თუ იმ პოლიტიკური ჯგუფების ინტერესებს. ბოლო წლებში კი მთლიანად ექვემდებარებოდა „ნაცმოძრაობის“ დანაშაულებრივ რეჟიმს.

დაბოლოს, „ნაცმოძრაობა“ დღეს მხოლოდ „რუსთავი-2“-ის სახით არსებობს. „რუსთავი-2“-ია მისი ბოლო ციტადელი, ბოლო საშუალება, რომ ქვეყანაში როგორმე დესტაბილიზაცია და არეულობა გამოიწვიოს და ამ გზით კვლავ დაბრუნდეს ხელისუფლებაში.

საქართველო დიდი საფრთხის წინაშე დგას და ამ საფრთხის თავიდან აცილება საქართველოს ხელისუფლების პრინციპულ, სახელმწიფოებრივი ინტერესებით ნაკარნახევ მოქმედებებს შეუძლია.

**„საერთო გაზეთი“**






**თეა წულუკიანი:** განმიმარტოს საელჩომ, რას ნიშნავს „ღამით მომხდარი პროცესები“.

მე მინდა, მეგობრულად ვთხოვო აშშ-ის საელჩოს საქართველოში, განმიმარტოს, რას ნიშნავს “ღამით მომხდარი პროცესები” და ხელი დამიდოს იმ დოკუმენტზე, იმ პროცესზე, რომელიც სახელმწიფომ განახორციელა ღამით. მე ველოდები პასუხს, რადგან შეშფოთებით ვნახე ის განცხადება, რომელიც ამერიკის შეერთებული შტატების საელჩომ გააკეთა და რომელიც არაპირდაპირ აკნინებს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრს, როგორც ინსტიტუტს. სასამართლო გადაწყვეტილება იუსტიციის სამინისტროში შემოვიდა 18:00 საათზე და დღეს დილით, 09:20 საათზე რეგისტრაციაში გატარდა“.



**თეა წულუკიანი:** „დამთავრდა ჩვენს ქვეყანაში ღამის რეესტრი და ღამის ნოტარიუსები“.

**თეა წულუკიანი:** „ღამე არაფერი მომხდარა. ჩვენი მმართველობის პერიოდში ყველაფერი არის ღია და გამჭვირვალე. ვინც სააკაშვილის ცხრა წელი გამოიარა, კარგად ვიცით, რაც ხდებოდა ღამე, შესაბამისად, ეს ჩვენთვის ძალიან მტკივნეულია. და დღეს, რომ ვინმემ თქვას, რომ ღამე ისევ რაღაცეები ხდება, ეს ასე არ ხდება. რაც შეეხება „რუსთავი-2“-ს, ეს ტელეკომპანია გააგრძელებს არსებობას, მთავრობა და მე არ შევეგუებით იმას, რომ „რუსთავი-2“ აღარ იყოს ჩვენთან ერთად.

საქართველოში არ დაიღვრება სისხლი, არ იქნება დესტაბილიზაცია. საჭიროა, ეს აჟიოტაჟი ჩაცხრეს. დროა, ქართულმა საზოგადოებამ დაიჯეროს, რომ წარსული ჩაბარდა წარსულს“.

**თეა წულუკიანი:** „ჩემი სტრასბურგული გამოცდილებიდან გამომდინარე, რა ვქნა მაქვს, ამის ამბიცია, რომ კიდევ უფრო კარგ გადაწყვეტილებებს დავწერდი, მაგრამ მე არ ვარ მოსამართლე. თუმცა, მე რომ ვყოფილიყავი მოსამართლე, რომ მიმეღო ასეთი გადაწყვეტილება, მას აუცილებლად გამოვიტანდი საჯაროობის პირობებში“.

„საერთო გაზეთი“
მთავარი რედაქტორი: ვახტანგ ხარჩილავა
გამომცემელი: შპს საგამომცემლო ცენტრი „საერთო სიტყვა“
მის: თბილისი, ალმაშენებლის 164;
ტელ.: 2 14 40 19; 2 34 28 97;
E-mail: saertogazeti@yahoo.com
რეგისტ. №202375349; უაკ (UDC) 070.23 (479.22) ს-158

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. შესაძლოა, ავტორის პოზიცია არ ეთანხმებოდეს რედაქციის აზრს. ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი. გასაჩივრება შესაძლებელია მასალის გამოქვეყნებიდან ერთი კვირის ვადაში. შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდება.

იბეჭდება შპს „გამომცემლობა სამშობლოში“; ტელ.: 599 95 31 90

◆ ამ ნიშნით აღნიშნულია სარეკლამო მასალები.



# გრიგოლ გაგნიძე: საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებით შეიძლება ქართული მართლმსაჯულება კოლაფსის წინაშე აღმოჩნდეს

*გვესაუბრება ადვოკატი, უფლებადამცველი, ბატონი* ***ᲒᲠᲘᲒᲝᲚ ᲒᲐᲒᲜᲘᲫᲔ***

**— ბატონო გრიგოლ, ტელეკომპანია „რუსთავი-2“-ის ადვოკატებმა საჩივარი შეიტანეს საკონსტიტუციო სასამართლოში, რამდენადაც ვიცი, 268-ე მუხლის შეჩერებასთან დაკავშირებით, რაც გადაწყვეტილების დაუყონებლივ აღსრულებას ითვალისწინებს. თქვენი აზრით, რა შედეგი შეიძლება მოჰყვეს ამას?**

— ეს მუხლი არის ძირითადი საპროცესო ნორმა, რომლითაც სასამართლო ხელმძღვანელობს.

მე ახლა ხელთ მაქვს სასამართლოს გადაწყვეტილების ოქმი, სადაც სასამართლო სწორედ 268-ე მუხლის ზ პუნქტზე მსჯელობს, მაგრამ აქ კიდევ მნიშვნელოვანი ის არის, რომ გადაწყვეტილება შეიძლება გავრცელდეს საერთოდ ამ მუხლზე.

**— რას ითვალისწინებს ზ პუნქტი?**

— მოგეხსენებათ 268 მუხლი — დაუყოვნებლივ აღსასრულებელ გადაწყვეტილების შესახებ მოიცავს პუნქტებს. ზ პუნქტის მიხედვით: ყველა სხვა საქმეზე, თუ „განსაკუთრებულ გარემოებათა გამო გადაწყვეტილების აღსრულების დაყოვნებამ შეიძლება გადამხდევინებელს მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენოს, ან თუ გადაწყვეტილების აღსრულება შეუძლებელი აღმოჩნდება“. ამას გარდა სასამართლოს შეუძლია მხარეთა თხოვნით სრულად ან ნაწილობრივ დაუყოვნებლივ აღსასრულებლად გადასცეს გადაწყვეტილებები: ალიმენტის მიკუთვნების შესახებ, დასახიჩრებით ან ჯანმრთელობის სხვა დაზიანებისას, მარჩენალისადმი მიყენებული ზიანის ასანაზღაურებლად გადასახადების დაკისრების შესახებ და ა.შ. თამასუქისა და ჩეკის თაობაზე გამოტანილი გადაწყვეტილებები და სხვ.

შეჯიბრებითობის პრინციპს თუ გავყვებით, 2012 წლის მერე სასამართლო უმაღლეს ხარისხში არის აყვანილი და ეს არაერთხელ უთქვამთ უფლებადამცველებს.

**ᲓᲦᲔᲡ ᲡᲐᲙᲝᲜᲡᲢᲘᲢᲣᲪᲘᲝ ᲡᲐᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲝ ᲘᲥᲪᲐ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲣᲠᲘ ᲑᲠᲫᲝᲚᲘᲡ ᲘᲐᲠᲐᲦᲐᲓ ᲣᲙᲕᲔ ᲡᲐᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲝᲡ ᲬᲘᲜᲐᲐᲦᲛᲓᲔᲒ.**

უგულავას საქმე გავიხსენოთ.

მაგრამ ჩვენი საუბრის თემას რომ დავუბრუნდეთ, ეს ნორმა საფრთხეს უქმნის მოქალაქეების კერძო დავებს, როგორც ზემოთ აღვნიშნე, ალიმენტის შესახებ დავას, სამსახურებიდან დათხოვნის დავის შესაძლებლობებს, თამასუქებისა და ჩეკების შესახებ დავებს და ა.შ. ანუ ზ პუნქტის დაუყოვნებლივ აღსრულებას ასევე ვერ მოითხოვენ სხვა მოქალაქეები, რადგან დაიშვა უკვე ასეთი პრეცედენტი „რუსთავი-2“-ის შემთხვევაში.

გასაგებია, რომ საკონსტიტუციო სასამართლო აქცენტს აკეთებს მხოლოდ „რუსთავი-2“-ზე, მაგრამ ეს აქტი ხომ შეუძლებელია მხოლოდ „რუსთავი-2“-ზე გავრცელდეს?..

**ᲩᲔᲛᲘ ᲐᲖᲠᲘᲗ, ᲡᲐᲙᲝᲜᲡᲢᲘᲢᲣᲪᲘᲝ ᲡᲐᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲝ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲣᲠ ᲓᲐᲙᲕᲔᲗᲐᲡ ᲐᲡᲠᲣᲚᲔᲑᲡ,** რათა **ᲥᲘᲑᲐᲠ ᲮᲐᲚᲕᲐᲨᲡ,** „რუსთავი-2“-ის რეალურ მფლობელს, აღსრულების პროცესი გაუჭიანუროს.



„რუსთავი-2“-ის ადვოკატებს საკონსტიტუციო სასამართლოში კიდევ ორ პუნქტზე აქვს საჩივარი შეტანილი, ესენია 54-ე, 55-ე მუხლები.

სამოქალაქო კოდექსის 54-ე, 55-ე მუხლები ითვალისწინებს მართლსაწინააღმდეგო და ამორალურ გარიგებებს.

კოდექსის მიხედვით, ბათილია გარიგება, რომელიც არღვევს კანონით დაწესებულ აკრძალვებს.

როცა უკანონოდ არის შედგენილი გარიგება, ამ შემთხვევაში მოქალაქეს შეუძლია ამ ნორმით გაბათილება, რადგან „ბათილია გარიგება, რომელიც დადგენილია ერთი მხარის მეორეზე გავლენის ბოროტად გამოყენების დროს, როცა გადაწყვეტილება დაფუძნებულია განსაკუთრებულ ნდობაზე.

ყველა ამ ტიპის დავაზე თუ იგივე რეაგირება მოახდინა საკონსტიტუციო სასამართლომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსს საფუძველი ეცლება და მოქალაქეებს აღარ ეძლევათ უფლება ცრუ ხელშეკრულებებზე დავისა, ანუ ყველა სხვა გარიგება, რომლებიც უკანონოდ იქნება შედგენილი, სასამართლოსგან კანონიერად მის გაუქმებას ვეღარ მოითხოვს.

აქედან გამომდინარე, ამ ნორმების არც შეჩერება შეიძლებოდა და არც გაუქმება. არადა, ასეთი ტიპის საჩივარი აქვთ შეტანილი „რუსთავი-2“-ის ადვოკატებს.

**ᲘᲛᲔᲓᲘᲐ, ᲡᲐᲙᲝᲜᲡᲢᲘᲢᲣᲪᲘᲝ ᲡᲐᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲝ ᲒᲐᲜᲣᲮᲘᲚᲕᲔᲚᲐᲓ ᲓᲐᲢᲝᲕᲔᲑᲡ, ᲐᲜ ᲣᲙᲐᲜ ᲓᲐᲣᲑᲠᲣᲜᲔᲑᲡ ᲡᲐᲠᲩᲔᲚᲡ „ᲠᲣᲡᲗᲐᲕᲘ-2“-Ს ᲐᲓᲕᲝᲙᲐᲢᲔᲑᲡ. ᲬᲘᲜᲐᲐᲦᲛᲓᲔᲒ ᲨᲔᲛᲗᲮᲕᲔᲕᲐᲨᲘ, ᲔᲡ ᲘᲥᲜᲔᲑᲐ ᲡᲐᲛᲝᲥᲐᲚᲐᲥᲝ ᲡᲐᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲝᲡ ᲡᲠᲣᲚᲘ ᲙᲝᲚᲐᲤᲡᲘ.**

**— თუ პროკურატურაში მიდის მოქალაქე?**

— თუ მოქალაქე პროკურატურაში მიდის, რა თქმა უნდა, გამოძიების გადასაწყვეტია მსგავსი საკითხების განხილვა. უმეტესობას ამ კუთხით მიდგომა ზედმეტად მკაცრად მიაჩნიათ და დავას სამოქალაქო სასამართლოში წარმართავენ. ხალვაშის შემთხვევაში, როგორც ვიცით, პროკურატურამ გამოძიება არ აწარმოა.....

დიახ, არსებობს სპეციალურად სამოქალაქო დავებიც. ამიტომ არაფრით არ შეიძლებოდა იმ მუხლების შეჩერება ან, უარეს შემთხვევაში, ბათილად ცნობა.

**— რატომ შეიძლება იყოს საკონსტიტუციო სასამართლო დაინტერესებული მსგავსი პრეცედენტის დაშვებით?**

— ყველას გვახსოვს, მიხეილ სააკაშვილმა საკონსტიტუციო სასამართლოს მაღალი თანამდებობის პირებს, მათ შორის ბატონ **ᲞᲐᲞᲣᲐᲨᲕᲘᲚᲡ,** სიმბოლურ თანხად, 1000 ლარად გადასცა 100 და 200 000 ლარამდე შეფასებული ქონებები და კიდევ არ ვიცით, სხვა რა სიკეთეებით სარგებლობდნენ ისინი. ადვილი შესაძლებელია, ყოველივე ეს მოსამართლეების მოსყიდვად ჩაითვალოს. არაა გამორიცხული ვინმეს „ნაცმოძრაობიდან“, იგივე **ᲐᲓᲔᲘᲨᲕᲘᲚᲡ** ან **ᲡᲐᲐᲙᲐᲨᲕᲘᲚᲡ,** გარკვეული ტიპის კომპრომატებიც ჰქონდეს ამ მოსამართლეებზე.

**ᲐᲠ ᲒᲐᲛᲝᲕᲠᲘᲪᲮᲐᲕ, ᲣᲨᲣᲐᲚᲝᲓ ᲐᲓᲔᲘᲨᲕᲘᲚᲘ ᲣᲬᲔᲠᲓᲔᲡ ᲡᲐᲠᲩᲔᲚᲡ ᲞᲐᲞᲣᲐᲨᲕᲘᲚᲡ ᲓᲐ ᲣᲑᲠᲫᲐᲜᲔᲑᲓᲔᲡ ᲛᲡᲒᲐᲕᲡᲘ ᲒᲐᲓᲐᲬᲧᲕᲔᲢᲘᲚᲔᲑᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲦᲔᲑᲐᲡ.**

ეს მოსამართლეები, ფაქტობრივად, ვალდებულნი არიან „ნაცმოძრაობის“ წინაშე. ვინც მათ მაღალი თანამდებობები მისცა საკონსტიტუციო სასამართლოში, აჩუქა ქონებები და დაუკანონა, პოლიტიკურად მათზე დამოკიდებულნი არიან და, ალბათ, მორალურადაც. შესაძლებელია, ეს გარემოებები აძლევთ მათ ამ ტიპის გადაწყვეტილებების მიღების „უფლებას“.

**— როგორ შეიძლება საკონსტიტუციო სასამართლოს გაცხრილვა „ნაცმოძრაობასთან“ ვალში მყოფი თანამდებობის პირებისგან თუ ასეთები მართლა არიან?**

— ასეთ შემთხვევაში გათვალისწინებულია მხოლოდ ერთი პროცედურა, ესაა საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარის იმპიჩმენტი, ან სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა, ვთქვათ, ქრთამის აღების ან სამოხელეო საქმიანობაში გადაცდომების შემთხვევაში. ვინაიდან გადაწყვეტილებებს იღებენ საკონსტიტუციო სასამართლოს მაღალი იერარქიის წარმომადგენლები, მათი საკითხი პარლამენტის განსახილველია და გარკვეული სახის მტკიცებულებებს მოითხოვს.

საკონსტიტუციო სასამართლოს თანამშრომლებისგან მაქვს ინფორმაცია, რომ იქ 9-10 წლის წინანდელი საქმეები ჯერ კიდევ განუხილველია. მაგრამ „რუსთავი-2“-ს თემაზე განსაკუთრებით გააქტიურდნენ.

უკვე ცალსახად ჩნდება კონტურები და, შეიძლება, ეჭვი გაგვიჩნდეს, რადგან საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარე უკვე თითქმის სინქრონში ყვება **ᲒᲕᲐᲠᲐᲛᲘᲐᲡ** შეხედულებებს — ერთი წელი გაიწელოს აღსრულების პროცესიო.

გაშიფრულია ყველაფერი, დიდი ამბავი არ სჭირდება, რა პროცესებთანაც გვაქვს საქმე.

**„ᲜᲐᲪᲛᲝᲫᲠᲐᲝᲑᲐ“ ᲪᲓᲘᲚᲝᲑᲡ ᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲔᲑᲠᲘᲕᲘ ᲙᲝᲚᲐᲤᲡᲘ ᲨᲔᲥᲛᲜᲐᲡ ᲥᲕᲔᲧᲐᲜᲐᲨᲘ, ᲠᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲪ ᲛᲔ, ᲞᲘᲠᲐᲓᲐᲓ, ᲛᲝᲕᲣᲬᲝᲓᲔᲑ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲘᲛ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲡ, ᲠᲝᲛᲚᲔᲑᲘᲪ ᲡᲐᲛᲝᲥᲐᲚᲐᲥᲝ ᲡᲐᲥᲛᲔᲔᲑᲖᲔ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲔᲜ, ᲓᲐᲕᲘᲬᲧᲝᲗ ᲐᲥᲪᲘᲔᲑᲘ ᲐᲛ ᲞᲠᲔᲪᲔᲓᲔᲜᲢᲘᲡ ᲐᲦᲛᲝᲡᲐᲤᲮᲕᲠᲔᲚᲐᲓ.**

შეიძლება ვიღაცას მთავრობა არ მოსწონს, ვიღაცას ოპოზიცია, მაგრამ ჩვენ სამართალთან გვაქვს საქმე და მართლმსაჯულების ბედს ნუ გადავაყოლებთ „ნაცმოძრაობას“.

სასამართლო გათავისუფლებულია წნეხისგან. ამას ყველა ვაღიარებთ, თუმცა ამ მოცემულობას შენარჩუნება სჭირდება.

თუკი საკონსტიტუციო სასამართლო, როცა მოესურვება, ამა თუ იმ ნორმას შეაჩერებს ან გააუქმებს, ჩვენს საქმიანობას აზრი არ ექნება.

**— რა დროის ვადა ჰქონდა საკონსტიტუციო სასამართლოს ამ სარჩელზე გადაწყვეტილება მიეღო?**

— როგორც წესი, შესაძლებელია, გადაწყვეტილების მიღება 9 თვემდე გაგრძელდეს, მაგრამ, ამ შემთხვევაში, საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება რამდენიმე დღეში გახდა ცნობილი და მან, ფაქტობრივად, დაასწრო საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებას.

საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებამ წინასწარ დაბლოკა საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება, რადგან „რუსთავი-2“-ს ადვოკატები და თვით ამ არხის ხელმძღვანელობა წინასწარ იყო დარწმუნებული, რომ საქალაქო სასამართლო კანონის ფერგლებში დააკისრებდა მათ გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ აღსრულებას 268-ე მუხლის შესაბამისად.

**— საკონსტიტუციო სასამართლოს ეს გადაწყვეტილება, ქვეყანაში ზოგადად მოქალაქეთა უფლებებს არღვევს, ფაქტობრივად, როცა ტენდენციური გადაწყვეტილება გამოაქვს ერთი სუბიექტის, ამ შემთხვევაში, „რუსთავი-2“-ის სასარგებლოდ. არა?**



— რა თქმა უნდა. სწორად შენიშნეთ.

სამოქალაქო დავები, ძირითადად, ორიენტირებულია ვადაგადაცილებულ ჯარიმებზე და ა.შ. ამიტომ ადვოკატები უნდა გამოვიდნენ და დაიცვან კანონის აღსრულება. აქციები იქნება ეს, ხელმოწერების შეგროვება და პარლამენტისადმი მიმართვა თუ სხვა რამ, ადვოკატებმა უნდა გავარკვიოთ საზოგადოება, რომ ეს არის სახელმწიფოებრივი სამართლიანობის თემა და არა მხოლოდ ინდივიდუალური სამართლებრივი აქტი — „რუსთავი-2“-ის დავის თაობაზე.

**ᲘᲠᲐᲜᲓᲐ ᲙᲐᲚᲐᲜᲓᲐᲫᲔ**
593 56 11 18



## ნიკუშა შენგელაია:

# „რუსთავი-2“ ყველა თავმოყვარე ქართველმა უნდა გათიშოს!

## არა უშავს, იყეფონ ძაღლებმა, მთავარია, ქარავანი გზის ბოლომდე მივიდეს...

„საერთო გაზეთის“ სტუმარია მხატვარი და საზოგადო მოღვაწე **ნიკუშა შენგელაია**.

**— ბატონო ნიკუშა, როგორც ირკვევა „რუსთავი-2“-ის ფუნქციონირებაზე ქვეყნის მომავალი დგას: ამ არხის დახურვით თურმე მთავრობა ევრო-ატლანტიკურ ალიანსს უქმნის საფრთხეს, ვიზა-ლიბერალიზაციაზე ოცნება აღარც ღირს და რაც მთავარია, თუ „რუსთავი2“ დაიხურება ვკარგავთ ქვეყანას. აი, ასეთ აპოკალიფსურ სურათს ხატავენ „რუსთავი-2“-ის მხარდამჭერები. თქვენ რა კომენტარს გააკეთებდით?**

— მარტივად გიპასუხებ, ესაა მცდელობა, მგელი ცხვრის ტყავში შემოგვატენონ, მაგრამ ამაოდ. ასე, მხოლოდ აბსოლუტურად ხელმოცარული, რეალობას მოწყვეტილი, მარგინალური ძალა ფიქრობს. გვარამია საუბრობს არა როგორც „რუსთავი2“-ის გენერალური დირექტორი, არამედ როგორც „ნაცმოძრაობის“ აქტიური წევრი. მას სურს ეს ტელევიზია თავის ჟურნალისტებიანად „ნაცმოძრაობის“ ინტერესებს მოახმაროს, ამ ხალხის ბედი სრულებით არ ადარდებს. მათ სურთ ბუზისგან სპილო გააკეთონ, მაგრამ ვერ მივართვით. მართლა ჰგონიათ, ქართველ ხალხს ამნეზია დაემართა და აღარ ახსოვს ცოტა ხნის წინ რა ხდებოდა? „ნაცმოძრაობის“ ბაგეებიდან წარმოთქმული სიტყვები: დემოკრატია, სიტყვის თავისუფლება, ადამიანის უფლებები, ქვეყნის ორიენტაცია, სულ სხვა მნიშვნელობას იძენს. მეგობრებო, მთავარი არაა რას იტყვი, არამედ ვინ იტყვის და როგორ. ნაცებს, 9 წლის მანძილზე, საშუალება ჰქონდათ ეს ფასეულობები ცხოვრებაში დაენერგათ და დაეცვათ. ამის მაგივრად, ისინი, დამოუკიდებელ საქართველოში, სწორედ ამ ფასეულობებს მთელი სიმძაფრით ებრძოდნენ, რაზეც დღეს თავი მოაქვთ. ბატონებო, ერს თქვენი ტყუილების აღარ სჯერა. თქვენ დემოკრატია, სიტყვის თავისუფლება და ა.შ. — ეს სიტყვები არ გიხდებათ. სამაგიეროდ, თქვენ გულწრფელად გიხდებათ შემდეგი — ძალაუფლებაში ყოფნა, ადამიანების ჩაგვრა, წამება, მათთვის კერძო საკუთრების წართმევა. რატომღაც, ჰგონიათ ტყუილის, დემაგოგიის ტირაჟირებით გავლენ ფონს და ქართველ ხალხს მუდამ ამ ტყუილში ამყოფებენ. სამწუხაროდ, ეს ერთხელ უკვე გაუვიდათ. მათთვის ადამიანი, მისი ინტერესი არაფერს წარმოადგენს. შენ გგონია, „ნაციონალებისთვის“ საქართველოს და მისი მოსახლეობის ბედი რამეს წარმოადგენს? ესაა კასტა, რომელიც არ ვიცი რა ფასეულობებით ცხოვრობს, რას კითხულობს, რა შინაარსი გამოაქვს ნაკითხიდან და საერთოდ ვინ არის. ხალხმა მათი სახე კარგად დაინახა და 2012 წლის 1 ოქტომბერს კიდეც უთხრა უარი. ასე, რომ „რუსთავი2“ და თავისუფალი სიტყვა, სხვადასხვა ცნებებია, საერთოდ არ ესმით რა არის თავისუფლება. ჰეგელი მაინც წაიკითხონ, იქნებ რამე გაიგონ. დარწმუნებული ვარ, 80%-ს არც ჰეგელი აქვს წაკითხული, არც შოპენჰაუერი და არც პლატონი. ნუთუ მართლა ჰგონიათ, რომ მათ ვინმე უსმენს? ერთმანეთს აქეზებენ, უნდათ, „რუსთავი2“ როგორც სიტყვის თავისუფლების ბასტიონი ისე შემოგვტენონ. არადა, ამ ტელევიზიის სარედაქციო პოლიტიკა მხოლოდ დემაგოგიასა და ტყუილზეა აგებული. ოქტომბერში, არჩევნების შემდეგ „იმედის“ არხზე შეკრებისას ტყუილად როდი მივმართე ჟურნალისტებს: ქურდობა მხოლოდ ნივთის მოპარვა არაა, ადამიანებისთვის სიმართლის მოპარვაც ქურდობაა. ისიც დავამატე: ბევრ თქვენთაგანს მორალური უფლება არ გაქვთ ჟურნალისტებად იმუშაოთ-მეთქი, მაგრამ, მათთვის, ეს არაფერს ნიშნავს. ისინი საკუთარ მატერიალურ და პირად ინტერესებს იცავენ.

**— ჩემთან საუბრისას არაერთხელ გითქვამთ, ერს თუ თავმოყვარეობა გვაქვს „რუსთავი-2“ საერთოდ უნდა გამოვრთოთო.**

— კი, მე გამოვრთე, კაცო. „რუსთავი2“-თან ურთიერთობა ძალიან მარტივად გადავწყვიტე, ეს არხი, საერთოდ, გათიშული მაქვს. ისეთ ასაკში შევდივარ, მათი დემაგოგიისა და შეფუთული ტყუილების მოსმენის დრო აღარ მაქვს. მითუმეტეს, რომ უამრავი საინტერესო რამის ნახვა შეიძლება „დისქავერზე“ და სხვა შემეცნებით არხებზე, ასევე, წიგნის წაკითხვა. „რუსთავი2“-ის ტყუილებთან ურთიერთობა დავამთავრე და ჩემს თანამოქალაქეებსაც იგივეს ვურჩევ — ეს არხი გამორთონ. ამის გაკეთებას არც სასამართლო სჭირდება და არც არაფერი, ერთი ღილაკის დაჭერით წყდება ეს პრობლემა, რათა ჩვენს ოჯახებში ტყუილი აღარ შემოვუშვათ. საბედნიეროდ, ჩემს ყოველდღიურ ცხოვრებაში „რუსთავი2“-ის საინფორმაციო გამოშვება და თოქ-შოუები არაა.

### ნაცრად შეყრილი თავისუფლება

**— სააკაშვილმა უცხოელი ექსპერტები, დიპლომატები იდიოტებად მოიხსენია. ეს ის ხალხია, ვისი მხარდაჭერითაც თვითონ ყოველთვის სარგებლობდა. დასავლეთი პროცესებს ცალმხრივად აფასებს. ეს რითაა განპირობებული?**

— „ნაციონალებს“ იმედი აქვთ, რომ იქ „სახალხო პარტიის“ რომელიღაც დეპუტატი ხმას ამოიღებს. ოდესმე, მათაც მიაკითხავს საკუთარი ელექტორატი და ჰკითხავს: სიტუაციაში თუ ვერ ერკვეოდით, რა განცხადებებს აკეთებდითო. მეტი რაღა უნდათ, სააკაშვილი გამოვიდა და უცხოელებს, ყველას ერთად, იდიოტები უწოდა. თავმოყვარეობა არ აქვთ? პასუხს რატომ არ სცემენ? ჯერ კარგად გაერკვნენ, ჩვენს ხალხს დაელაპარაკონ და განცხადებები ისე გააკეთონ.

ქართველმა ხალხმა სიმართლე კარგად იცის, უცხო არავისთვისაა, რომ „რუსთავი2“ „ნაცმოძრაობის“ პროპაგანდის წყაროა. ხალხს თავხედურად აყრიან თვალში ნაცარს, რაც უტიფრობა, უნამუსობაა. თუმცა, მინდა მათ ვუთხრა — არ გამოგივათ, ბატონებო, სიმართლეს ტყუილად ვერ გაასაღებთ!

### გასასამართლებელი რეჟიმი და ტრაგიკომიკური ნაციონალურობა

**— გავრცელებული კადრების მერე ბოკერია და გვარამია დაკითხვაზე დაიბარეს, თუმცა, გაცილებით უმტკივნეულო დანაშაულობებისთვის ზემოხსენებულების ხელისუფლებაში ყოფნისას ხალხს ციხეში ერეკებოდნენ. მაგალითად, ბათიაშვილს ლამის უვადო პატიმრობა მიუსაჯეს იმისთვის, რომ მან კვიციანს სიმშვიდისკენ მოუწოდა, გურამ შარაძე კი საჯარო ბიბლიოთეკაში პლაკატის ჩამოხევისთვის ორი კვირით დააპატიმრეს.**

— ასეთი შემთხვევები ბევრი გვახსოვს და კიდევ რამდენი არ ვიცით. მაგრამ გამოძიება, თავისთავად, უნდა ჩატარდეს. თუმცა, პირადად მე, როგორც საქართველოს მოქალაქეს, გამოძიება აღარ მჭირდება. მათი საუბარი ჩემი ყურით მოვისმინე, თან მათაც აღიარეს. ამიტომ, გამოძიება არ მჭირდება, ჩემი დასკვნა ასეთია — ეს ხალხი, ამ ქვეყანაში, არ უნდა ცხოვრობდეს იმიტომ, რომ ისინი მზად არიან ქვეყანას, საკუთარი ინტერესების გამო, ნებისმიერი ზიანი მიაყენონ. მოსახლეობის დიდ ნაწილს ტყუილად როდი აქვს უსამართლობის განცდა, რასაც გამოძიებამ უნდა მიხედოს. მეორეც, ძალიან ყურში მხვდება სტრატეგია, რომელიც მათ აირჩიეს — რა გინდათ, ხომ ვაღიარებთ, რომ შევცდითო. არა ბატონებო, ადამიანის მოკვლა, წამება, მათთვის საკუთრების წართმევა, ტელევიზიებში ძალით შევარდნა, შეცდომა არაა, ეს ორგანიზებული დანაშაულია. დანაშაულსა და შეცდომას შორის ძალიან დიდი განსხვავებაა, ამ დანაშაულებისთვის პასუხი უნდა აგოთ. ეს სისტემური დანაშაული იყო, რათა ხალხი მუდმივ შიშში ჰყოლოდათ. თუმცა, აქვე ერთიც მინდა ვთქვა: როცა გვარამიას, ბოკერიას და სააკაშვილის სატელეფონო საუბრებს ვუსმენდი, ისეთი შთაბეჭდილება დამრჩა, რომ ეს ხალხი სააკაშვილის მსხვერპლია, იგი მათ როგორც ინსტრუმენტებს ისე იყენებს.



**— პარლამენტმა „ნაცმოძრაობის“ 9 წლიან რეჟიმს პოლიტიკური შეფასება არ უნდა მისცეს? ფაშიზმი ხომ გასამართლდა, ეს რეჟიმი არ უნდა გასამართლდეს?**

— რა თქმა უნდა. ნუ, ფაშიზმი იმდენ რამეს შეეხო, უამრავ მკვლელობაზე, გეტოებზე იყო ლაპარაკი, ეს სხვა თემაა. მაგრამ, ქართველი ხალხისთვის ეს ლოკალური იყო. დიახ, მე გპასუხობ, რომ ამ რეჟიმის შეფასება უნდა მომხდარიყო, მაგრამ ამ საკითხზე ხელისუფლებას ძალიან დიდი წინააღმდეგობები შეხვდა და იძულებული გახდა ანგარიში გაეწია. ჩვენ, ბევრ საკითხში, სხვაზე დამოკიდებული ქვეყანა ვართ, იმ პერიოდში დასავლეთიდანაც იყო თხოვნები, რომ ამ ეტაპზე, რეჟიმის შეფასება არ მომხდარიყო.

**— შედეგად, ტრაგიკომიკურ სიტუაციაში აღმოვჩნდით, ყველამ ვიცით რაც ხდებოდა, მიუხედავად ამისა, ნაცები გაიძახიან ხელისუფლებაში უნდა დავბრუნდეთო. ეს ქვეყნის, საზოგადოების სირცხვილი არაა?**

— ჩემდა გასაკვირად ქართულმა საზოგადოებამ დიდი მოთმინების უნარი გამოიჩინა, ხელისუფლების



თხოვნასაც პატივი სცა და სამართლიანობის თავად აღდგენისგან თავი შეიკავა. მაგრამ მათ დაბრუნებაზე საუბარი, რა თქმა უნდა, ერისთვის შეურაცხყოფაა. მინდა საზოგადოება დავარწმუნო, ამ ათასკაციან სექტას არჩევნებით მოსვლის შანსი არ აქვს და თუ ძალადობაზე გადავლენ, ძალა, აქეთ, საზოგადოებაშიცაა. მაშინ ხალხი უფლებას დაიტოვებს ძალას ძალითვე უპასუხოს. მაგრამ იმედი მაქვს, სახელმწიფო კონსტიტუციურ დარღვევას დროულად აღკვეთავს და ქვეყნის უსაფრთხოებას დაიცავს.

**— ახლა, ხალხის ძალა ახსენეთ. ფრანგული რევოლუციიდან მოყოლებული ვამბობთ, რომ ლეგიტიმურობის წყარო ხალხია. დღეს, საქართველოში ლეგიტიმურობის წყარო ხალხი არაა იმიტომ, რომ ის სახელმწიფო რაც აგვიშენეს, სამართლებრივი არაა. ამ პირობებში რამდენად შემდგარია სამოქალაქო საზოგადოება?**

— ამ კუთხით პრობლემებია, მაგრამ საზოგადოება მაინც შემდგარია. ეს ღიად არ ჩანს იმიტომ, რომ საზოგადოება, არასამთავრობოებივით გამოკვეხებული არაა ტელევიზიებში, ყველა თავის საქმეს აკეთებს. მაგრამ თუ საშიშროება გაჩნდა, როცა კი მომენტი დადგება, კონსოლიდაცია თავისით მოხდება. 7 ნოემბერს და არც მერე, ხალხისთვის პოლიტიკურ პარტიებს არ დაუძახიათ, მაგრამ მრავალრიცხოვანი გამოსვლები ბევრი გვახსოვს. ორ საათში რუსთაველი ხალხით ივსებოდა-ხოლმე. სჯობს, ხალხის მოთმინებას ნუ გამოცდიან. ზღაპარია თითქოს, ქვეყანაში არეულობას მოაწყობენ, ამის საფრთხე არ არსებობს. ეს რომ შეძლონ, აქტიური მოქალაქეების მინიმუმ 1/3 მომხრე მაინც უნდა ჰყავდეთ. მათ გვერდით სულ რაღაც ათასამდე კაცია თავის მომხრეებიან-ნათესავებიანად. ეს მოსახლეობის ანგაჟირებული ნაწილია და არა თავისუფალი მოქალაქეები.

**— გამუდმებით გვესმის, რომ სიტყვის თავისუფლებას საფრთხე ემუქრება, მაგრამ არავინ საუბრობს იმაზე, რომ ადამიანი წართმეული ქონების დასაბრუნებლად იბრძვის.**

— რაზეა ლაპარაკი, როცა „იბერია“, „202“ დახურეს, „იმედში“ შევარდნენ, „მაესტროშიც“ ხედავთ რაც ხდება. მაშინ რატომ არ ეცვათ სიტყვის თავისუფლების დაცვის წარწერით მაისურები. იმიტომ, რომ მაშინ ამას თვითონ აკეთებდნენ, პროკურორი გვარამია იყო. ვის აყრის ნაცარს, ბლანჟე რომ მოუშვა, ამით რამე შეიცვალა?

### ბუჩქებში ჩაკუკული „მსხერპლი“

**— „რუსთავი-2“-ელების და მათი მხარდამჭერების თქმით, ასეთი რთული პერიოდი ტელევიზიის ისტორიას არ ახსოვს. მათ ავიწყდებათ, რომ „იმედის“ დარბევისას ჟურნალისტებს, მათ შორის, ორსულსაც პანღურების კვრით ერეკებოდნენ შენობიდან.**

— საკითხავია, მაშინ სად იყო ეს ხალხი, ასე დაწერე — ბუჩქებში ჩაკუკულები იჯდნენ იმიტომ, რომ იქ, ძალას სახელმწიფო ხმარობდა. ახლა, როცა ნახეს, სახელმწიფო ძალას არ ხმარობს და პროცესი სამართლებრივი გზით მიდის, „რუსთავი2“-ს დიდ დამცველებად მოევლინენ. ქართული საზოგადოება ყველას იცნობს და ვერავის მოატყუებენ.



**— „რუსთავი2“-ს ისეთი დამცველები გამოუჩნდა, რბილად რომ ვთქვა, გაოცებას იწვევს.**

— ასეთი უზნეო ხალხი ყველა ქვეყანაშია, ეს ერისთვის არაფერს წყვეტს. ხელმოცარულმა არასამთავრობოებმა და არასაპარლამენტო პოლიტიკურმა ძალებმა სიტუაციით ისარგებლეს და ფეხი გამოყვეს. ვინ აღარ მივიდა „რუსთავი2“-ის მხარდასაჭერად: ნათელაშვილი, კაციტაძე. მეგობრებო, თქვენი ხანა დამთავრდა, უნდა წახვიდეთ. პოლიტიკაში წესიერი ხალხი, ახალგაზრდები უნდა მოვიდნენ. ყველას ყველაფერი ახსოვს — ვინ ვისთან რიგდებოდით და რას აკეთებდით რომ წყლის ზედაპირზე გეტივტივათ. თქვენ ვინღა გისმენთ, 1%იანი რეიტინგიც კი არ გაქვთ და ასე დარჩებით მთელი ცხოვრება. აღარ გვჯერა, ბატონო, თქვენი. წადით, ბაღი მაინც მოთოხნეთ და ეზოში ორი ხე მაინც დარგეთ.

**— 1%-იან რეიტინგზე გამახსენდა, რა სჭირს ხელისუფლების ზოგიერთ წარმომადგენელს. უსუფაშვილმაც დაიწუნა სასამართლოს მიერ ღამე, ჩუმად მიღებული გადაწყვეტილება.**

— ჯერ დაადგინონ რომელ საათზე იქნა გადაწყვეტილება მიღებული, რა უნდა მაგის დადგენას. თეა წულუკიანმა განაცხადა, მისი რეგისტრაცია და რეესტრში გადაცემა სამუშაო საათების დამთავრებისთანავე მოხდაო. რატომ ჰყვები ვიღაცის პროპაგანდას, რა არის ეს? უსუფაშვილი ჩემი უახლოესი მეგობარია, შვილის ნათლია ვარ, დათო ძალიან მიყვარს, მაგრამ ვიღაცამ შეცდომაში შეიყვანა. იმიტომ, რომ იქ უსხედან „ნაციონალები“ და ათას სისულელეს ამბობენ, ესენიც იძულებულნი არიან ვიღაც დარჩიაშვილებს და სხვა ვითომ ინტელექტუალებს ელაპარაკონ, რომელთა ინტელექტის დონეს დამისვით და წამში დაგანახებთ. ისინი ფარისევლები, დემაგოგები, მატყუარები, ნებისმიერი რამის მკადრებლები არიან. მათი ბიოგრაფია დამთავრებულია. მათთან ლაპარაკი როგორ შეიძლება?!

**— ბატონო ნიკუშა, ხალხი სახლში ზის და გულში იკლავს დარდს. რატომ არ აქტიურობენ „ქართული ოცნების“ მხარდამჭერები?**

— ხოდა, კიდევ ერთხელ ვურჩევ მათ პრობლემა მარტივად მოხსნან — ღილაკს დააჭირონ ხელი და თქვან, რომ ეს არხი არ არსებობს. ვის უნდა დავუპირისპირდეთ, იმ ათას კაცს „რუსთავი2“ რომ აგროვებს თავის ეზოში?! სად არიან „ქართული ოცნების“ მხარდამჭერები? — ესენი არიან იმ ათასს გამოკლებული დანარჩენი საქართველო, 3 მილიონ 409ათასი კაცი. ქუჩაში გამოვიდნენ? — ხომ გადათელავენ ამათ, ეს არ გვჭირდება. რად გვინდა სამოქალაქო დაპირისპირება? ამას სამოქალაქო დაპირისპირებასაც ვერ დაარქმევ. გამოვიდა პრეზიდენტი და თქვა კონსტიტუცია საფრთხეშიაო. რომელ სამოქალაქო დაპირისპირებაზე მელაპარაკება — ათას კაცსა და დანარჩენ სამ მილიონ 409 ათას ადამიანს შორის დაპირისპირებაზე? ეს ხომ სასაცილოა? სად ხედავენ ამ არეულობის წყაროს. პრობლემის დროს თბილისი ყოველთვის ქუჩაში დგება. ეს ესიზმრებათ მაგათაც. რისი იმედი აქვთ? ხალხი ისევ ქუჩაში თუ დადგა, სხვანაირად წაუვათ საქმე.

**— ადრე მითხარით, ადამიანი ისე სწორად უნდა იყოს ნაშენები, არ გაიბზაროსო.**

— გაბზარული და ნაპრალი კი არა, უკვე ხრამია. ეს მათი პრობლემაა. ჩვენი პრობლემა მათი მოშორება იყო, რაც წარმატებით განხორციელდა. ახლა ჩვენი საზრუნავია ქვეყნის განვითარება, ხალხის კეთილდღეობა, უკეთესი მომავალი, განათლება, დასაქმება და დიდ ევროპულ ოჯახში შესვლა და ა.შ. სულ არ მაინტერესებს რას ყიყინებს დაბოღმილი, გაბრაზებული სექტა. ამ ბოლო დროს რაღაც ეჭვი შემეპარა, „რუსთავი2“-ის გარეშე მიგვიღებენ კი ევროპაში (იცინის). თურმე, „რუსთავი2“ ყოფილა ჩვენი შვილების მომავალიც, სიტყვის თავისუფლებაც, ევროპული არჩევანიც, მთლიანად, ქვეყნის ბედი ყოფილა თურმე „რუსთავი2“-ზე ჩამოკიდებული. კახურად ვიტყვი რა, აპრუწუწუნ — ასე გადაეცი, მეტი არ გენახოთ თქვენა-თქო. ბატონებო, უთქვენოდ ევროკავშირის ოჯახშიც შევალთ, სიტყვის თავისუფლებაც იქნება, დემოკრატიაც და ჩვენს შვილებსაც კარგი მომავალი ექნებათ. მთავარია, ხალხმა სიბრძნე გამოიჩინოს და რეალობა დაინახოს — სად ვართ, რა რისკებს უნდა გადავურჩეთ, რამდენი ხანი უნდა ქვეყნის, ეკონომიკის, განათლების განვითარებას. ხალხო, არ მოტყუვდეთ, ამას დიდი დრო სჭირდება. იმაზე უკეთ, როგორც ამას დღევანდელი მთავრობა აკეთებს, ვერავინ იზამს. ძალიან კარგად მესმის, რომ ადამიანების დიდი ნაწილი დაუსაქმებელია, მათ ვუთანაგრძნობ, მაგრამ ამ ვითარებიდან ერთად უნდა გამოვიდეთ.



### საით მიგვაქანებენ „ნაციონალები“ — ევროპაში თუ ჯუნგლებში?!

**— სანამ მთავრობა დარდს გულში იკლავს, „ნაციონალები“ დროს არ კარგავენ და დასავლელ პარტნიორებს საქართველოზე თავიანთ შეთხზულ ზღაპრებს უყვებიან.**

— კი, ძალიან გვარცხვენენ. მერე, დასავლეთსაც მათი ნაამბობიდან ექმნებათ წარმოდგენა თუ როგორები ვართ ქართველები. კიდევ კარგი, ხანდახან, საზღვარგარეთ ნორმალური ხალხიც მიდის და მათ მონაჩმახს აბალანსებს, მაგრამ ეს არაპოლიტიკურ, ინტელექტუალურ, სახელოვნებო წრეებში ხდება. ევროპარლამენტს, ევროკავშირსაც მინდა ვუთხრა — დაგვიჯერეთ, ჩვენ არ ვართ ისეთები როგორიც გიორგი კანდელაკია. ამ ქვეყანაში წესიერი, კარგი ხალხიც ცხოვრობს.

**— არადა, „ნაციონალები“ ისე წარმოგვაჩენენ, თუ მართლა ასეთები ვართ, ევროპაში, ცივილიზაციაში კი არა, შეიძლება ჯუნგლებშიც არ მიგვიღონ.**

— მათ ქვეყნის მომავალი ფეხებზე ჰკიდიათ, ოღონდ გვლანძღონ. ყველაზე ცუდ საქმეს ქვეყანას სწორედ ესენი უკეთებენ თავიანთი დემაგოგიითა და ტყუილებით. აი, ვინ არიან სინამდვილეში, ვითომ ქვეყანაზე მოფიქრალნი, რეალურად კი, მხოლოდ თავიანთ ერთ ადგილზე მზრუნველნი. მათთვის საქართველო და მონღოლეთი ერთი და იგივეა. ევროპაშიც მოიძებნება ჭკვიანი ხალხი, რომელთაც ჩვენს შესახებ ყველაფერი იციან. მენტალობით, კულტურით ევროპელები ვართ, „ნაციონალები“ ჩვენი ევროპულ ოჯახში შესვლის წინაღობა ვერასდროს გახდებიან. დღეს, ზოგადად, გლობალურ პოლიტიკაში პრობლემებია, მაგრამ საბედნიეროდ, ქვეყნების, ერების ბედი ასე მარტივად არ წყდება. „ნაციონალებმა“ რაც უნდათ ის ილაპარაკონ, ყურადღებას ნუ მივაქცევთ.

**— ხელისუფლება რატომ არ აწვდენს ევროპას ხმას, რატომ დაგვიგუბებია თევზივით პირში წყალი?**

— ხელისუფლება ელაპარაკება დასავლეთს, მაგრამ იმასაც აქვს მნიშვნელობა მათ რისი გაგონება უნდათ. მუშაობენ, მაგრამ პიარი არ ჩანს. ბევრი მეუბნება, ამდენი რამე კეთდება და რატომ არ შუქდებაო. ახლახან, „აბრეშუმის გზის“ ფორუმი ჩატარდა, რაც, ალბათ, სააკაშვილის ხელისუფლებას სალაპარაკოდ ორი წელი ეყოფოდა. ხელისუფლება ბევრ რამეს აკეთებს, პრობლემა იმაშია, რომ იგი ხანდახან, მასმედიასთან ვერ ოპონირებს. გაჰკივიან, ტელევიზიები იკეტებაო. მაშინ „მაესტრო“, „ტაბულა“ რატომ არ იკეტება, ესენიც ხომ ოპოზიციური ტელევიზიებია? ალბათ, ერთი მეათედი ეთმობა იმას თუ რა გაკეთდა, 90% სულ კრიტიკაა. ასე, რომ დღეს, ათი „რუსთავი2“ რომ მაუწყებლობდეს, „ნაციონალური მოძრაობა“ ქართველ ელექტორატში ნდობას ვერ დაიბრუნებს. თავისუფალ სიტყვას არაფერი ემუქრება. ეს იმ ადამიანების, იმ პოლიტიკური ძალის პრობლემაა, რომლებიც „რუსთავი2“-ს არიან ამოფარებული. ეს ჟურნალისტებიც მეცოდებიან, როგორც სათამაშოებს ისე იყენებენ. მგონი, ცოტა ხელისუფლებამაც უნდა მიხედოს პიარს. მთავრობის მოვალეობაა საზოგადოება საქმის კურსში ჩააყენოს, რათა ამომრჩეველმა იცოდეს, რას მისცეს ხმა, ეს საკითხი მისახედია.

### გებელსი, „თავისუფალი სიტყვა“ და „ნაციონალების“ ქვევრიდან აღაღადებული დასავლეთი

**— დასავლეთმა წესით სამართლებრივი შეფასება უნდა მისცეს უცხო ქვეყნის გუბერნატორის ქმედებას, რომელიც სხვა ქვეყანაში გადატრიალებას გეგმავს. გაქვთ ამის მოლოდინი?**

— გეთანხმები, ეს ქვეყნის შიდა საქმეებში უხეში ჩარევაა. მეორეც, მინდა ჩვენს სტრატეგიულ პარტნიორებს, მოძმე ქვეყნებს, ევროპაში, ვთხოვო, ჩამობრძანდით და საზოგადოების წარმოამდგენლებს დაელაპარაკეთ, ანუ, იმ ადამიანებს, რომლებიც ანგაჟირებულნი არ არიან და უტყუარ ინფორმაციას მოგაწვდიან — რას წარმოადგენს „ნაცმოძრაობა“ და საერთოდ, რა ხდება. მარტო პოლიტიკოსებისგან, არასამთავრობოებისგან ვერ გაიგებთ რას ფიქრობს ხალხი. დაელაპარაკეთ სამეცნიერო, სახელოვნებო საზოგადოებას და სიმართლე გეცოდინებათ და იძულებული აღარ იქნებით განცხადებები დაბნეულად აკეთოთ.

### ძაღლი ჰყეფს, ქარავანი მიდის!

**— ბოლოს „ჩვენს“ არასამთავრობოებზეც მინდა გკითხოთ: „საია“-ს თავმჯდომარემ განაცხადა ყველაფერს გავაკეთებთ, საერთაშორისო საზოგადოება დაუსაბუთებელ განაჩენზე ინფორმირებული იყოსო. სააკაშვილი რევოლუციებს რომ გვიგეგმავს, ეს ევროპას არ უნდა აუწყონ?**

— ამ ბავშვებს ერთი რამ მინდა ვუთხრა — ხანდახან, გადააფასონ იურისპრუდენციის კანონიკური ცოდნა და ის თუ სად წყდება მათი ქვეყნის ბედი. გასაგებია, რომ კანონი არ უნდა დაირღვეს, მაგრამ ჯერ საზოგადოება დაარწმუნონ რომ კანონი დაირღვა, ჯერ ჩვენ გაგვაგებინონ ეს და დასავლეთს მერე მისწერონ. ადამიანებს კარგად ესმის რას ემსახურება „რუსთავი2“. ამ ისტერიკას ეს ერთი არხი აწყობს, როგორც კი მას გათიშავ, დაინახავ, რომ ქარავანი ისევ მიდის. არასამთავრობოების უკან სხვა ინტერესები დგას. ისინი ყურადღების ღირსნიც არ არიან. სჯობს, ჩვენ, ქვეყნის განვითარებაზე ვიფიქროთ. არა უშავს, იყეფონ ძაღლებმა, მთავარია ქარავანი გზის ბოლომდე მივიდეს...

**თამარ შველიძე**
555 23 28 24

იხილეთ „საერთო გაზეთი“ ინტერნეტში
www.saertogazeti.ge
შემოგვიერთდით FACEBOOK-ზე
საერთო გაზეთი

# სოსო მანჯავიძე:

# ჩვენ უნდა ვაიძულოთ ამერიკელები, ჩამოიღონ ფეხები მაგიდიდან!..

**გვესაუბრება თბილისის საკრებულოს დეპუტატი სოსო მანჯავიძე**

**— პრობლემები ბევრია, მაგრამ, ტელეკომპანია „რუსთავი"-2-ის თემით დავიწყოთ. ნუ ვიქნებით ტენდენციური, მიუკერძოებლად შევხედოთ მოცემულ ფაქტებს და განვითარებულ მოვლენებს და ვთქვათ, რა მოტივით და ინტერესით შეიძლება ადამიანმა მხარი დაუჭიროს „რუსთავი-2"-ის ქმედებებს — სიტყვის თავისუფლების სახელით თუ სხვა რაიმე გარემოებების გამო?**

— მოდით, დავყოთ კატეგორიებად ადამიანები, რომლებიც მხარს უჭერენ „რუსთავი-2"-ის პროტესტს, რომ უფრო თვალნათელი იყოს, რასთან გვაქვს საქმე.

პირველი — „რუსთავი-2"-ს მხარს უჭერს „ნაცმოძრაობა", რომელიც დაკავშირებულია ამ ტელეკომპანიასთან. ეს არის „ნაცმოძრაობის" იდეოლოგიური მანქანა.

თუ ჩამოსცილდება ეს იდეოლოგიური ფლაგმანი მსოფლიო ლიბერალურ ინტერნაციონალიზმის მესვეურებს, მივიღებთ იმას, რომ ის მრავალწლიანი ინტერვენცია, რაც საქართველოში განხორციელდა ამ მიმართულების გასაძლიერებლად, იყრება წყალში.

აი, ეს არის ცენტრალური და საკვანძო საკითხი.

ამას თუ გავითვალისწინებთ, ვითარების ანალიზი უფრო იოლი გახდება.

„ნაცმოძრაობასთან" ერთად ამ ტელევიზიას მხარს უჭერს ყველა ის ძალა, რომელიც თავის დროზე „ნაცმოძრაობასთან" იყო დაკავშირებული. კერძოდ, ე. წ. ოპოზიცია, რომელიც ხან იქ იყო და ხან აქ, ხანაც მიშასთან აწყობდა ღამღამობით მოლაპარაკებებს ხალხის ზურგს უკან. ესენიც იგივე სქემის ნაწილნი არიან.

ამიტომ სულ ტყუილად უკვირს, ვისაც უკვირს, რატომ აღმოჩნდნენ „რუსთავი-2"-ის დამცველთა რიგებში ნათელაშვილი, რომელიც სპეციალურად ყვიროდა თეთრი სახლის წინ „დაუნ ვი დიქტეიტეს", ვითომ ოპოზიციური ფონის შესაქმნელად. იგივე დავითაია, კუკავა და სხვები.

ყოველთვის ვამბობდი, რომ ოპოზიცია იყო „ნაცმოძრაობის" გარე გოდოლი, რომელიც სახალხო უკმაყოფილების ტალღას საჭირო მონაცემებით მიმართავდა, როგორც ტალღისმჭრელი.

მეორე, არასამთავრობოები, რომლებიც ასევე უჭერენ მხარს „რუსთავი-2"-ს.

ესენი არიან ე. წ. ნომენკლატურული არასამთავრობოები, რომლებსაც საინფორმაციო ველში უწყვეტი ეთერი ჰქონდათ დამფინანსებლებისგან მიღებული დავალებების პროპაგანდირებისა და ტირაჟირებისთვის.

ვის აინტერესებს ქალბატონი ნაცვლიშვილის მოსაზრება?! მას არც კი მოუსმენენ წესიერ საზოგადოებაში, მაგრამ „რუსთავი-2" ეკრანზე მუდმივად ჭკუასაკითხავ პირად ითვლებოდა. ეს ტელევიზია არის არასამთავრობოების იდეოლოგიური საყრდენი და ამიტომაც უდგანან მხარში.

არის კიდევ მხარდამჭერთა სხვა ფენა, ე. წ. საზოგადოების წარმომადგენლები, რომლებიც მიხეილ სააკაშვილის ხელით ნაკვები მოპოეტო-მომწერლო-მომუსიკო ფენიდან არიან, რომელთა „კაშკაშა" ვარსკვლავი გახლავთ ბატონი „დეფი" და სხვები. ასეთი ტიპის ადამიანები არ გამოირჩევიან ღრმა აზროვნებით და არაადეკვატურები არიან ფსიქიკურადაც.



რაც შეეხება **ოთარ იოსელიანს,** რომელიც ასევე ემხრობა „რუსთავი-2"-ის ბრძოლას. ის ქალბატონ **ნინო კირთაძესთან** ერთად გამოვიდა. ქალბატონი კირთაძის სააკაშვილთან მჭიდრო ურთიერთობის შესახებ ყველამ ვუწყით. წესით, ის უნდა დუმდეს, მაგრამ კვლავ აქტიურობს რატომღაც.

ოთარ იოსელიანი ეს უნიჭიერესი რეჟისორი და დიდად პატივსაცემი ადამიანი ასაკში შევიდა, მაგრამ ის მოწყვეტილია ქართულ რეალობას და დარწმუნებული ვარ, შეცდომაშია შეყვანილი, თორემ ვერ წარმომიდგენია, საღ ჭკუაზე მყოფი ადამიანი, მით უფრო ხელოვანი მხარს უჭერდეს „რუსთავი-2"-ს.

ამ მოტივების გარდა, შეუძლებელია ადამიანი ემხრობოდეს „რუსთავი-2"-ის ყოვლად არასამართლებრივი პრეტენზიებს.

**— თქვენ თქვით, რომ ეს ტელევიზია არის იდეოლოგიური მანქანა. რას წარმოადგენს ეს „მანქანა"?**

— ეს არის საინფორმაციო შხამების დამამზადებელი დანადგარი, რომელიც, საჭიროების შემთხვევაში, იცვლის სტრატეგიას და სხვა სახით მოევლინება საზოგადოებას.

არ შეიძლება ქვეყანაში არსებობდეს ტელევიზია, რომლის მთავარი ამოცანა არის უარყოფითი ემოციების გამოწვევა და ამ ემოციებით საზოგადოების „კვება".



„რუსთავი-2"-ის სააგიტაციო კონცერტი

„რუსთავი-2" არის ფსიქოტრონული იარაღი ისევე, როგორც ნებისმიერი ტელევიზია არის ასეთი იარაღი მოსახლეობის მასობრივი ზომბირებისთვის.

ჟურნალისტი არ უნდა იყოს მუდმივად ჩასაფრებული, არ უნდა ეძებდეს მხოლოდ ნეგატიურ ინფორმაციას და არ უნდა იყოს დაგეშილი ვინმეს გაუბედურებაზე ისე, როგორც იყვნენ „რუსთავი-2"-ის ჟურნალისტები.

საინფორმაციო ნაკადი, რომელიც მოედინება „რუსთავი-2"-ისგან არის, ფაქტობრივად, მოწამლული. როგორც მოწამლული წყალი წამლავს ადამიანის ორგანიზმს, ასევე არ შეიძლება ინფორმაციული შხამებით ადამიანების გონების მოწამვლა.

ეს არის ახალი ტიპის ომი, რომლის ტექნოლოგიებშიც არა მხოლოდ ჩვენ, მთელი მსოფლიოც ვერ გარკვეულა კარგად.

ადამიანებს, სინამდვილეში, ვერც კი წარმოუდგენიათ, რამდენად განაპირობებს საინფორმაციო ველი მათ ცხოვრებას. „რუსთავი-2"-ის ინფორმაციის დაძაბული მუსიკალური ფონი, სპეციალურად შერჩეული ფერები, წამყვანების გამომეტყველება, ჰაბიტუსი, ლაპარაკის მანერა, ინფორმაციული ბადე და ა. შ. ეს იმდენად მძიმეა, რომ ამ ქვეყანას არაფერი არ ეშველება, სანამ ისეთი „რუსთავი-2" იქნება, როგორიც დღემდე იყო.

მე არ ვერჩი ადამიანებს, მაგრამ განუწყვეტელი ტყუილის და დეზინფორმაციის ტირაჟირება მათ უცვლით ბუნებას. ვისი პირიდანაც გამოდის ტყუილი და სიყალბე, სახარების არ იყოს, მართლა, ვაი, მათ. სახეებზეც ემჩნევათ უკვე იმ როლის გავლენა, რომელიც დაიკისრეს გარკვეული მატერიალური სარგებლის სანაცვლოდ.

გრიგოლიას გადაცემები გაიხსენეთ, რა აგრესია მოდიოდა მისი გადაცემებიდან. მაგალითად, აშშ-ში ასეთი ტიპის გადაცემებისთვის დასჯიდნენ წამყვანს. შორს რომ არ წავიდეთ, შეხედეთ აზერბაიჯანულ ან სომხურ ტელევიზიებს და მერე გრიგოლიას მოუსმინეთ.

თუ ასე გავყევით, უმეტესობა საქართველოში ბიორობოტი გახდება...

ავადმყოფობა, სიმსივნე შეუჩნდა ჩვენს საზოგადოებას და ამ დაავადების ბუდე არის ეს ტელევიზია.

დააკვირდით, როგორ მისრიალდნენ მის დასაცავად ზნეობრივად უხერხემლო სუბიექტები; უხერხემლოებს ხომ შხამების გამომუშავებისკენ აქვთ მიდრეკილება და სწორედ ეს ზნეობრივად უხერხემლოები არიან, რომ მიდიან ყველა სისაძაგლეზე და შხამებს ანთხევენ „რუსთავი-2"-ის ეთერიდან.

უნდა შეიცვალოს სარედაქციო პოლიტიკა, მენეჯმენტი.

ეს აუცილებელია.

**— ბატონო სოსო, „რუსთავი-2"-ს და მის მხარდამჭერთა გასამხნევებლად ამერიკის საელჩო, თვითონ ელჩი და დასავლური წრეებიც აღშფოთებას გამოხატავენ.**

— მთელი ლიბერალური სკა აიშალა და ფეხზე დადგა. მართვის სქემა ირყევა საქართველოში. ეს კი არა, საშინელი კადრები გამოქვეყნდა. დასავლეთი კი ფართოდ დახუჭული თვალებით უცქერდა იმ უმსგავსობებს და იმის მაგივრად, რომ კონკრეტულ დანაშაულებებზე ჰქონოდათ რეაქცია, კადრების გავრცელების ლეგიტიმაციაზე დაიწყეს მსჯელობა და იმაზე აღშფოთდნენ, როგორ ვერ გააკონტროლეს საიტი, რომელმაც სააკაშვილის რეჟიმის სისაძაგლეები გამოაქვეყნა.

**უჩა ნანუაშვილიდან** დაწყებული, მთელი მათი წარმომადგენლობა — არასამთავრობოები და ა.შ. იმ დონეზე დაეშვნენ, რომ საიტის გაუკონტროლებლობაზე წუხან.

კაცმა ადამიანობის წინაალმდეგ ჩაიდინა დანაშაული, ადამიანთა მოდგმის გენოციდია ის, რაც „ნაცმოძრაობამ" განახორციელა 9 წლის განმავლობაში საკუთარ ქვეყანაში.

აშშ-ის საელჩო კვლავ ესარჩლება ამ ნაძირლებს.

ჩვენ უნდა ვაიძულოთ ამერიკელები, ჩამოიღონ ფეხები მაგიდიდან!..

8 gv.

# ქინძობანა

კაცმა, თუ კალამი თავისით გაგირბის ფურცლისკენ, ბოლოდროინდელი ამბებიდან გამომდინარე, ქინძზე უნდა დაწერო, ან სულაც — გირჩზე, ბოლო-ბოლო იდიოტ უცხოელებზე მაინც. ვიღაც იტყვის, სად ერეკლე, სად — ჩემი ყურებიანი ქუდიო და ერთი შეხედვით აბსოლუტურად მართალი იქნება, მაგრამ ჰოი, საოცრებავ! თურმე სრულებითაც არ ყოფილა ერთმანეთთან ძნელი დასაკავშირებელი, პირიქით, ერთმანეთში ისე ყოფილან ჩაფსკვნილ-




ჩამარყუჟებულები, მიუხედავად დიდი გულმოდგინებისა, ვერაფრით გამოაცალკევებ — ერთი მთელი პირამიდაა, რა!

ყველა ნაგებობა, წესით, საძირკვლიდან იწყება, მაგრამ პირამიდა, რომელიც პირობითად „ქგიუ-დ“ (ქინძი, გირჩა, იდიოტიც უცხოელები) უნდა განვიხილოთ, უწესო წესით აგებული პირამიდაა და ამიტომ, პირიქით, წვერიდან იწყება, იმ წვერიდან, რომელზეც ამაყად ფრიალებს მთელი პირამიდის გამაერთიანებელი სიმბოლო ქინძი — ოდესის გუბერნატორი მიხეილ სააკაშვილი! უცნაური ამბის მომსწრენი გავხდით, სანამ ეს „ქინძი“ საქართველოს პრეზიდენტი გახლდათ, მხოლოდ დორბლიანი შლეგი და სისხლისმსმელი კრიმინალი იყო, ოდესაში კი ქინძად იქცა...

მართალია, ქვეყნის პრემიერი იქადნება, ვერც ერთი მოქალაქე ვერ დადგება კანონზე მაღლა, ვერც „ქინძი“ და ვერც ნებისმიერი სხვა მოქალაქეო და კვერს უკრავს მინისტრი კალაძე, არც ერთ „ქინძს“, „ქინძების პარტიას“ არ ექნება იმის საშუალება, რომ სახელმწიფო გადატრიალებები მოაწყოს, რაის ქინძი, ნიახური კი არ არის მეორედ მოვიდეს, გადი, გადაშენდნენო — ერთი ქინძი კი არა, ლამის, გადაქინძ(ებ)ულია ქვეყანა!

ხალხი პირობას დებს, რადგან ქინძის რაობა-ვინაობა გავიგეთ, აწი აღარც ლოქოს შევჭამთ ქინძმარში, აღარც ფილმ „ქინძაძას“ ვუყურებთ, აღარც „ქინძმარაულს“ დავლევთ, ქინძისთავზე ხომ საერთოდ ზედმეტია საუბარი, მის ნაცვლად „ბულავკას“ მივიბნევთო, მაგრამ კაცი არაა იმის მთქმელი, აღარ ვიქინძავებო, ანუ ქინძობანა და ქინძაობა გრძელდება.

ცუდად არაფერი იფიქროთ, თქვენი ჭირიმე, ქინძზეა საუბარი, მწვანილზე და ხალხზე, რომლებმაც მოიმწვანილეს ქვეყანა და მათ გაჯეჯილებაზე, უბრალოდ, ქართული ენაა ისეთი სხვანაირად მოქნილი, კვიმატობს ხოლმე...

სხვათაშორის, სააკაშვილის პირიდან დორბლს გამოყოლილი სიტყვა „ქინძი“ ისეთი პოპულარული გახდა, რომ ყველა ქინძს გაიძახის, თვით ახლად ამოწვერილი ქინძებიც კი, დაბერებულს ვინღა ჩივის. მოკლედ, ისეთი მდგომარეობაა, ქინძს ფასი დაუვარდა, როგორც ხილ-ბოსტნეულის გაუფასურებისას იტყვიან, კონა შაურადააა...

რეზო ესაძის პერსონაჟი (მხ.ფ „მონანიება“) ახსოვს ხალხს, „ერცახე ცერეცო“, მაგრამ ის ერთი „ცერეცო“ (ქინძთან ერთად ძალიან უხდება ახალ ტყემალს. ტყემალზე გაახსენდებათ ახლა ანეკდოტი და ველარ ჩავათავებ სათქმელს ახლა ისიც თუ გავიხსენე, არადა, აფსუს, „ქინძობანასთან“ არის პირდაპირ კავშირში და „ქინძთან“) იყო, ამდენ ქინძს ერთი კონიდან რა დაიმახსოვრებს?

„7 ნოემბერს „იმედში“ რომ შევარდა სააკაშვილი, მერე გადადგა — ივანიშვილი რას იზამს, არაფერს, ხო?“ — ქინძის კონიდან გამოიწივლა ნინია კაკაბაძემ.

გადაირევი ცოცხალი ადამიანი — საქართველოს პრეზიდენტი გიორგი მარგველაშვილია, მორცხვი მიმოზასავით სადღაც რომ მიიკუნჭება ხოლმე და ივანიშვილი საიდან უნდა გადადგეს, ნეტავ?

(„მორცხვი მიმოზა“ ბათუმის ბოტანიკურ ბაღში მაჩუქეს. საოცარი თვისება აქვს — დაყვირებაზე, შეხებაზე, დარტყმაზე წამიერად ჩამოყრის ფოთლებს, თავს ჩაქინდრავს და გაბეჩავდება; მოფერება არც უნდა, რომ დაინახავს საფრთხემ გადაიარაო, ისევ გაიშლება მხრებში)







„მოვიდეს პრეზიდენტი და დადგეს თავისი ქვეყნის დასაცავად „რუსთავი 2-ის“ ეზოში!“ — უდროო დროს შესძრა ქინძის კონა ირმა ნადირაშვილმა, მაგრამ ამაოდ, მან ხომ, რეალურად, ბოტანიკა არ იცის, პრეზიდენტმა კი — მან რა იცის, მხოლოდ ფრიად განსხვავებული „ნაგლად“ ჭამა... ოთხკუთხედი გახდა ტანწერწეტა ბიჭი...

„ბატონო პრეზიდენტო, ახლა თქვენი დროა, გადაარჩინეთ ქვეყანა უკიდურესი დაძაბულობისგან! ჩვენ არ გვინდა ბარიკადები და ფიზიკური დაპირისპირებები! ჩვენ არ გვინდა იქ, სადაც მიგვათრევენ, რუსეთში! თქვენ შეგიძლიათ საქართველოს ისტორიაში შეხვიდეთ ოქროს ასოებით და ახლა თქვენი ჯერია“ — და ა.შ ქინძის კონაშივე ჩაათლიფინა ნანუკა ჟორჟოლიანმა, ალბათ, იფიქრა, „ოქროს ასოებს“ რომ ვახსენებ, პრეზიდენტს ოქროსფერი აზრები მოუვაო. ვერ გათვალა ნაკოდუარმა რომ „ასოები“ არ უნდა ეხსენებინა. კვიმატობს-მეთქი ქართული ენა — ამდენი გაუპატიურების კადრების გავრცელების ფონზე, კიდევ ასო-ს ხსენება ეჭირვებოდა ისედაც გაჭირვებულს? სულ თვალწინ დაუდგებოდა ოქრო-ოქრო ასო-ასოები...

ერთი კარგი ნიადაგმცოდნეა საჭირო, „რუსთავი-2-ის“ ეზოს ტერიტორიაზე რა ტიპის ნიადაგია, ასე ყინტორ-ყინტორი ქინძის მოსავალი რამ მოიყვანა?

ამბობენ, ბევრი ქინძის ჭამა მავნებელია, აყრუებსო, მაგრამ წონაში დასაკლებად რეკომენდირებულიაო — დედა, რა გადასარევია გამხდარი ყრუ რომ ხარ! კულინარიის სახელმძღვანელოებში ქინძი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ინგრედიენტია, მაგრამ „მორცხვი მიმოზასგან“ განსხვავებით, მისი „შინაგანი რყევები“, ანუ რას განიცდის გარე გამღიზიანებლებზე არ ვიცი და ვერც ვერსად მივაკვლიე, ამდენად, ისევ ნინია კაკაბაძის თანამოაზრეებს უნდა დავაკვირდეთ. ეჭვი მაქვს, ქინძი, გარდა იმისა, რომ აყრუებს, სხვა უარყოფით ზეგავლენასაც ახდენს ქინძისმოყვარულებზე, მეხორცეების ანალოგით, მექინძეებზე.

„დღეს ბიძინა ივანიშვილი ნაბიჭვარი ურთმელიძის ხელით შეეცადა საქართველოს კონსტიტუციური წყობის დამხობას. დღეს ჩვენ ვიცავთ კონსტიტუციურ წესრიგს რუსი უზურპატორისგან. ძირს ბიძინა ივანიშვილი! ძირს ჯამაჰაირა!“ — რას ბოდიალობდა ქინძის კონიდან ამოვარდნილი ზაზა ბიბილაშვილი, ალბათ, მხოლოდ მისმა კონამ გაიგო, მაგრამ მთლად ჯამრთელად რომ არ უნდა იყოს, მისივე გამოხატვის თავისუფლება გვიჩვენებს.



„შეუტია „რუსთავი-2-ს“ შევარდნაძემ, მაგრამ კარგი ჩიტი დაიჭირა. უტევენ ესენი ახლა „რუსთავი-2-ს“, ვშიშობ, კარგ შაშვს არ გამოკრან ხელი“, — ქინძის კონიდან ისე ააცმაცუნა ულვაშები გოცირიძე „ალ კუპონამ“, მნახველს ეგონა, ის შაშვი სანახევროდ უკვე პირში ჰქონდა გაჩრილი.

„აბა, კიდევ ვინ ფიქრობთ, რომ თავის და ერთმანეთის დასაცავად ბარიკადები არ გვინდა?! მე სხვა გზას ვერ ვხედავ და არც მეშინია ამის თქმის! ყველა ერთად უნდა დავდგეთ და ერთმანეთს კი არა, ამ ნაძირალა ხელისუფლებას დავუპირისპირდეთ, სხვანაირად, ეს ქვეყანა დამთავრდება“, — მხოლოდ ეშმაკმა თუ იცის საიდან გაისმა ქინძსუნელად ქცეული ირინა სარიშვილის ხაოიანი დუდუნ-მოწოდება.

„ბატონო ბიძინა, „შავი დღისთვის“ გექნებათ რამე ვიდეო/აუდიო ჩანაწერი გადანახული და გაუშვით ბარემ, „შავი დღე“ კი დაგიდგათ“ — ამდენი ქინძის ერთად შემხედვარე ანი ნადარეიშვილს ნერვებმა უმტყუნა.

ჩიორა თაქთაქიშვილმა ისეთი „არზა დაარტყა“, იმას რა გაიმეორებს, თუმცა აშკარაა, რომ ჩიორებისთვის ქინძი კი არა, მხოლოდ „ქანი-ც“ კი საკმრისია გამოქვათასაყურებლად. „ეს დავით დვალი ის მეწილე არ არის, ვისზეც ეროსი კიწმარიშვილი ამბობდა, ჩემს გარეშე ბიძინა დვალს და აქიმიძეს წილებს ვერ დაუბრუნებსო? რა გამოდის, ეროსი კიწმარიშვილი ამის შემდეგ მოკლეს და „რუსთავი-2-ს“ დვალს უკანონებენ სამართავად? მოხდებოდა ეს, ეროსი რომ დღეს ცოცხალი ყოფილიყო?“ — „და შველა უნდათ ლამაზებს, შველაო“ ამბობდა პოეტი, მაგრამ ჩიორას რა უშველის...

„ტაბულა ბიცოლამ“ ისეთი 6-პუნქტიანი გეგმა დააძრო ქვეყნის კონსტიტუციურ ფარგლებში დასაბრუნებლად, არაფრით რომ არ ეტყობა მასზე „დიდი ქინძის“ კვალიფიკაცია, თუმცა, ერთი შეხედვით, კაბა ჯერ არ ჰქონდა შემოხეული...

„აუხსენით თქვენს შვილებს, რომ დღეიდან დიქტატურაში ცხოვრობენ?“ — ქინძის კონიდან ამოიკვესკვესა შოთა უტიაშვილმა.

„მადლობა ბატონ ბიძინას, რომ ბერა ან ურთმელიძის დედა არ დანიშნა პირდაპირ „რუსთავი 2-ის“ მმართველად“, — მარაქაში გაერია დიდი საქინძეთის პატა ქინძი, ყურცქვიტა დამცველი ოთო კახიძე.

„გაიგეთ ახლა „ქინძები“ ვინ არიან? მე წავედი „რუსთავი 2-ში“. ვისაც კონსტიტუციის თავზე დახევა არ მოგწონთ და ფიზიკურად შეგიძლიათ, მოდით, თორემ მერე სახლში მოგადგებიან და იქ დაგახევენ კონსტიტუციას თავზე. ნეტა, მართლა მქონდეს ახლა ბარიკადა“, — ისე წაიკეკლუცა მარიამ საჯაიამ, აშკარა იყო „დახევაზე“ ფიქრობდა, მაგრამ კონკრეტულად კონსტიტუციის თუ კიდევ სხვა რამის, რას გაიგებ კაცი...

„რუსთავი 2-ს“ იმიტომ ხურავენ, მე რომ მაჩვენებთ!“ — დაიბნევი კაცი, შალვა ნათელაშვილმა მარიხუანას მოწევა დაიწყო თუ სიზმარში ბოლდება?

მოკლედ რომ ვთქვათ, გადასაგორებელია ეს ქინძჟამი!

ახლა გირჩი გამხდარა სადავო „ქინძებს“ შორის. „ნაცმოძრაობიდან“ წამოსულ ოთხეულს (გოგა ხაჩიძე, ზურაბ ჯაფარიძე, პალიკო კუბლაშვილი, გიორგი მელაძე) ახალი პოლიტიკური ცენტრი შეუქმნიათ, „გირჩი“.

სანამ ხაჩიძე განმარტავდა რა გირჩზე იყო საუბარი, სულ ასოასოდ დაშალეს სიტყვა მოკირკიტე ადამიანებმა, ნეტავ, რას უნდა ნიშნავდესო? „გ-ანავალი იყავი, რჩ-ები ი-გივედ („განავალი“ ცუდი სიტყვა არ გეგონოთ, კუთხურად — ქალაქ-ქვეყანაში განავალი, ანუ გამოსული); გ-ოთვერანი იყავი, რჩ-ები ი-გივედ; გ-ველი იყავი, რჩ-ები ი-გივედ; გ-ოიმი იყავი, რჩ-ები ი-გივედ... მოკლედ, რაც იყავი, იმავედვე რჩებიო, მაგრამ „განი“ რას მალავდა, ვერავინ ამოიცნო. თურმე ნუ იტყვით, ჩვეულებრივ გირჩზე ყოფილა საუბარი, ისეთზე, ყველგან რომ არის, სოფელშიც და

8 gv.

# ჩვენ უნდა ვაიძულოთ ამერიკელები, ჩამოიღონ ფეხები მაგიდიდან!..

6 gv.

**— რას ფიქრობთ, ხელისუფლება მონაწილეობს „რუსთავი-2“-ის „მიჯირყვნის“ საქმეში?**

— მე ვერ გეტყვით. არ ვიცი, მაგრამ ძალიან ჭკვიანურად გაკეთებული ქმედება კი არის.

ზოგადად, უშიშროების მუშაობა ეფექტური მაშინაა, როცა არ ჩანს უშიშროების „ხელი“.

მე ვხედავ სოციალურ ქსელში ძალზე არაკომპეტენტურ გამონათქვამებს — დროა, დავუთმოთ მმართველობა სხვა ძალას და ა.შ.

ჯერ ერთი, ეს ხალხი ვერ აფასებს, რაც ხდება, ჯერ კიდევ ვერ მიხვდნენ, რას დააღწიეს თავი და ჯერ კიდევ რა ძალასთან გვაქვს საქმე.

ხელისუფლებას ეს რომ თავიდანვე გაეკეთებინა, ვთქვათ, დაესაჯათ ყველა სახელმწიფო დამნაშავე, ეს მომენტალურ რევოლუციას გამოიწვევდა. ჯერ კიდევ მაშინ, როცა „ნაცმოძრაობას“ 25%-იანი მხარდაჭერა კიდევ ჰქონდა, სანამ კიდევ არ იყო შესული კომპეტენციაში სახელმწიფო ორგანოები...

ასეთი ტიპის გამონათქვამები ძალიან გულუბრყვილოა, როცა არ ვიცით, რა მანევრები მიმდინარეობს თვით სახელმწიფო სტრუქტურებში.

ეს უნდა გვესმოდეს.

რესპუბლიკური ძალები, რომლებიც ლავირების სახით ოპონირებენ ამ აზრს. არსებობენ ამ პარტიაში პერსონები, რომლებიც ოპონირებენ არცთუ უანგაროდ...

რესპუბლიკელებს არ უნდა მიეცეთ დიდი მანევრირების საშუალებები. მათ არ აქვთ პოპულარობა მოსახლეობაში.

**— საგარეჯოში არჩევნები მძაფრი რეაქციების ფონზე ჩატარდა, თუმცა „არაპოპულარული“ პარტიის წარმომადგენელმა მოიგო, ჯერჯერობით მაინც, სანამ „პატრიოტთა ალიანსის“ წარმომადგენელი გაასაჩივრებს მიმდინარეობს აქციები...**

— ძალიან საინტერესო მოვლენები განვითარდა საქართველოში. მსგავსი პრეცედენტი ჯერ არ ყოფილა. ჩვენ ვნახეთ ბევრი ოპოზიციური პარტიის გაერთიანება ერთი საკითხის ირგვლივ — ყველა პარტია, მათ შორის, ისეთი რადიკალურად განსხვავებულები, როგორიც არის ბურჯანაძის პარტია, „ნაცმოძრაობა“ და სხვები, უეცრად გაერთიანდნენ, ჩამოსცილდნენ საარჩევნო პროცესს და ოპოზიციის წარმომადგენელი პირისპირ დადგა ხელისუფლების წარმომადგენლის წინაშე.

ხელისუფლების წარმომადგენელმა გამოიყენა ადმინისტრაციული რესურსი, როცა ჯარის ნაწილებმა ხმა მისცეს ქალბატონ **ხიდაშელს,** არჩევნების ბედი გადაწყვიტა **გიგლა აგულაშვილის** იქ მივლინებამ წინასაარჩევნო პროცესში ჩართვისთვის და ბოლოს ბიძინა ივანიშვილის გამოსვლამ, რომელმაც თქვა, რომ არ იცნობდა „პატრიოტთა ალიანსის“ წარმომადგენელს და ცხადია, არ უჭერდა მხარს. მაგრამ რატომ შეშფოთდა ბოლო მომენტში მმართველი კოალიცია, როცა ქალბატონი ინაშვილი მანამდე თავისუფლად ატარებდა კამპანიას საგარეჯოში? ეს ჩაფიქრების საშუალებას იძლევა.



საბოლოო ჯამში, რა ხდება?!

ხდება ძალიან დადებითი პროცესები და ეს საქმე ბოლომდეა მისაყვანი.

არა მხოლოდ „რუსთავი-2“-ის თემა, არამედ საკონსტიტუციო სასამართლოს, „ნაცმოძრაობის“ ამ პირადი ნოტარიუსის საკითხიც არის მოსაგვარებელი იურიდიული მექანიზმების საშუალებით.

უმცირესობის წევრებს უნდა მოეხსნათ იმუნიტეტი და აღიძრას სს საქმე, რადგან ისინი არიან მხილებულნი სახელმწიფო გადატრიალების მოწყობის მცდელობაში.

**— გასაგებია, მაგრამ თვით მთავრობაშიც არ არის ამ საკითხისადმი ერთგვაროვანი შეხედულება. გვახსოვს, როგორ თქვა პარლამენტის თავმჯდომარემ, რომ „ნაცმოძრაობის“ გადარჩენა დემოკრატიის გადარჩენის ტოლფასი იყო საქართველოში.**

— ირაკლი ღარიბაშვილმა ბრძანა, რომ „ნაცმოძრაობა“ არის დამნაშავე ძალა, მაგრამ ხელისუფლებაში არიან

**— თუ გაუქმდა არჩევნების შედეგები, რა შეიძლება მოხდეს?**

— აქციები დაიწყო „პატრიოტთა ალიანსმა“, თუმცა უნდა ითქვას, რომ მსგავსი ტიპის გამოსვლები დიდი რისკების შემცველია დღეს საქართველოსთვის. ქვეყნისთვის, რომელიც ჯერ კიდევ ოჩოფეხებზე დგას, პოლიტიკური დესტაბილიზაცია დამღუპველი იქნება.

**ირანდა კალანდაძე**
**593 56 11 18**

# ქინძობანა

7 gv.

ქალაქშიც; მრავალმხრივ განშტოებიანი, მაგრამ ერთი ერთობლიობა; განახლების სიმბოლო, რომელიც ასოცირდება მარადმწვანესთან, საწყისთან, სიახლესთან — ყოველ შემთხვევაში, ასე განაცხადა ხაჩიძემ და ჩვენც დავუჯეროთ, ბოლო-ბოლო კაცი გარემოს დაცვის მინისტრადაა ნამუშევარი. რა ვუყოთ, თუ ის არ იცის შავი ხიზილალა ოთხი სავარაუდო ვარიანტიდან რომელი თევზის ქვირითისგან მზადდება, ხე-მცენარეები ესმის... და კიდევ ქინძი!

გირჩი მრავალმხრივ განშტოებიანი მაგრამ ერთი ერთობლიობა ყოფილა, ჰოდა, კი არის სიმბოლური, „ნაცმოძრაობაც“ ხომ მრავალმხრივ განშტოებიანი ერთი ერთობლიობაა, ვის არ ნახავთ განშტოებად, დაწყებული „ლეიბორისტებით“, დამთავრებული „ის თვითონ“ (დავითაია) რომ არის, ახლა კიდევ „გირჩი“. ე, ბიჯო, „ქინძი“ სახელი თუ არ მოწონდათ, ასე ეთქვათ, თორემ, შიგნიდან რომ ქინძი ხარ, რა განსხვავებაა გირჩი გერქმევა, კორკიმელი თუ ვირისტერფა?

მაინც არ შეარგეს, თანამოძმეები ამოუხტნენ საქინძეთიდან და „კავკასუს ონლაინში“ დაარეგისტრირეს დომენები გირცჰი.გე და გირცჰა.გე

„ეს ჩემი ბიზნესია, თანაც კანონიერი. რა „ნაცმოძრაობა“, რის „ნაცმოძრაობა“, ტოლი ნახე, გირჩი გააგორეო, — იქით შეუტია ახალი დროების „გირჩოსნებს“ ვინმე გიორგი ქართველიშვილმა, რომელიც, როგორც ამბობენ, „ნაცმოძრაობის“ პრესსამსახურში მუშაობს და ინფორმაციული ტექნოლოგიების კომპანია „ინტაიტი“ აქვს.

რა უშავს, ამბობენ, ძაღლი ძაღლის ტყავს არ დაგლეჯსო, ანუ ერთხელ ნაქინძარი, რაგინდ „მსხმოიარე ხე“ გახდეს, მოძმეს არ გაიმეტებს და პირიქით, მხოლოდ ხალხი დაიბნა, „ნაციონალების მოტრფიალეებს“ დიდებული სახელი შევარქვით „ნაცებიო“, „ქართული ოცნების მოტრფიალეებს“ — „ქოცებიო“, ამ „გირჩების“ მომავალ მოტრფიალეებს რაღა ჯანდაბა შევარქვათ, ციყვებიო?

იქით სხვები წუხან, გარკვევით გაგვაგებინონ, „გირჩში“ მხოლოდ ციყვები მიიღებიან თუ კოალების ადგილიც არისო?

ცალკე ვერელები აღშფოდნენ, ესენი სად იყვნენ, მელიქიშვილზე „გირჩი“ რომ გვქონდა ვერელებს, საავტორო უფლება ჩვენია, „ფოსტას“ მაინც გამოვიდნენო.

კისელის მოყვარულები შიშმა წინსწრებით შეიპყრო და სოციალური ქსელით მოკლედ გაავრცელეს გაფრთხილება: — ნაცებო! კისელი არაფერს დაარქვათ, თორემ დაგმარხავთ ცოცხლად!

ზოგი, სასოწარკვეთილიღა გმინავს — არაფერი წმინდა აღარ დატოვოთ, ერთი, გირჩის მურაბა მიყვარდა და იმისგანაც მტვერიღა დამრჩაო...

არჩილ-ექსპერტმა (გამზარდია) მთლად ჩააგვირისტა, ვარდმა — ცოცხი, ცოცხმა — ქინძი, ქინძმა — გირჩი შობაო და ასკვნის, რომ სავარაუდოდ, შეიკვრებიან: „ალასა“, შეიძლება, პრეზიდენტიც, კიდევ ორიოდე პარტია, რომელიც უახლოეს პერიოდში დაარსდება ყოფილი ნაციონალებისგან და ერთიანად გამოვლენ საარჩევნოდ.

ამ მთელი ქინძობანას ფონზე მეხივით გავარდა მოსამართლე ურთმელიძის სეფესიტყვა და ვინც ერთხელ მაინც გახახუნებია ქინძს, ერთიანად აყირავდნენ, ეს რა ქნაო. განსაკუთრებით საყვარლად „ნაცებისა“ და „რესპების“ (რესპუბლიკური პარტია) პოზიციები დაემთხვა, დაუშვებელია, ქვეყნის პოლიტიკური ცხოვრება სააკაშვილ-ხალვაშის სცენარით წარიმართოსო.

„რა სცოდნია ამ ქინძს, კაცო! ნინია კაკაბაძემ ხომ ბიძინა ივანიშვილი გამოაცხადა საქართველოს პრეზიდენტად და ახლა ესენი ხალვაშს აცხადებენ ოდესის გუბერნატორად — კარგი, ხალვაში მიშაა, ნიკა გვარამია ვილა შაშა-კოლაა?

თან „უკრაინული ვიკილიქსის“ შიშით ველარც მთავარ ქინძს ურეკავენ და მთლად აიჭრნენ, ისე აერიათ რამსები, შავი ზღვა თეთრად ეჩვენებათ, დღეს და ღამეს ველარ არჩევენ...

(4-6 ნოემბრის ჩათვლით ჰაკერული თავდასხმა კი განახორციელეს, რამაც საფრანგეთში „უკრაინული ვიკილიქსის“ სერვერის დაბლოკვა გამოიწვია, მაგრამ ისევ დაუბრუნდა მავანთათვის საშინელ მაუწყებლობას და უკვე დადგენილი ლოკაციების ამბავიც გაავრცელეს — ბოტნეტის შეტევა განხორციელებული იყო საქართველოდან, თბილისში რეგისტრირებული პროვაიდერების მეშვეობით.)



იან კელი

მთელი „რესპუბლიკური პარტია“ ისე აღშფოთდა, ცალკე დიდ თამარ კორძაიას ვილა ჩიოდა — ურთმელიძის ეს შუაღამის განჩინება ძალიან სერიოზული დარტყმაა სასამართლოს დამოუკიდებლობაზეო. ბა, ვონც! იმ საზიზღარი „უკრაინული ვიკილიქსის მასალებში“ ისე კარგად სხედან მათი თავკაცები, პარლამენტის თავმჯდომარე თავდაცის მინისტრ მეუღლითურთ, უკეთესს რომ ვერ ინატრებს კაცი... ყველანი ერთად პროცესების არჩევნებამდე გაჭიმვას აპირებდნენ და მოულოდნელად თვითონ გადაიჭიმნენ ტყლაპივით...

„ხელისუფლებას ურთმელიძისეული დათვური სამსახური არ სჭირდება; ღამით მიღებული გადაწყვეყილებები ძალიან ცუდ ასოციაციებს იწვევს; და ა.შ — მამლის ყივილამდე 666-ჯერ გაილოკა ტუჩის კუთხეები დავით ბერძენიშვილმა.

ხე-მცენარეები და ზოგადად, სულიერი არსებები ყოველგვარი საათის გარეშე, ბუნებისგან ჩადებული ბიოლოგიური საათით გრძნობენ დროს, თუმცა, როგორც ჩანს, ბუნების ეს მადლი არ მოჰფენიათ ქინძებს. ბიჯოოოო! ჩაიხვიეს — „შუაღამე, შუაღამე!“

კარგი, ესენი „ჩვენები“ არიან და რანიც არიან, ვიცით, მაგრამ აქამდე სადღაც მიჩუმათებული ის „იდიოტი უცხოელებიც“ რომ გამოხტნენ ვისაც მთავარი ქინძი, მიხეილ სააკაშვილი ახსენებდა? ახლა იმათ ჩაიხვიეს — „შუაღამე, შუა ღამე!“

იმდენი იძახეს, სანამ მართლა ავაზასავით არ გადმოუხტათ იუსტიციის მინისტრი და სანამ განმარტება არ მოითხოვა აშშ-ის საელჩოსგან (იანოშ ჰერმანი ვილას გაახსენდა), რას ნიშნავდა „რუსთავი 2-ის“ მართვასა და საკუთრებასთან დაკავშირებით შუა ღამის ხსენება?

დაავიწყდა ამ იან კელის, სვანი რომ გვყავს იუსტიციის მინისტრად?

ჰოდა, აწი ეცოდინება!

**გიორგი ჩხეიძე**

# რა შეცდომა დაუშვეს დვალმა და საყევარიშვილმა და რატომ არ წავა „რუსთავი 2“-ის საქმე სტრასბურგში?

**სამაუწყებლო კომპანია „რუსთავი-2“-ის გარშემო განვითარებული მოვლენების სამართლებრივი შეფასება საადვოკატო ბიურო „მიგრიაული და პარტნიორების“ ადვოკატსა და ასოცირებულ პროფესორს როინ მიგრიაულს ვთხოვეთ:**

— განვლილი დღეების განმავლობაში,არაერთხელ მომიწია იმის აღნიშვნა, რომ სამაუწყებლო კომპანია "რუსთავი 2"-ის საქმეზე მოსამართლე თამაზ ურთმელიძის გადაწყვეტილებაკარგად არის დასაბუთებული და სამართლებრივადარავითარკითხვასარაჩენს. მეტიც, ამ გადაწყვეტილების მიმართჩემი აღფრთოვანებაც გამოვხატე, რადგან მოსამართლეები, საქმეების სიმრავლის გამო, ასეთ დასაბუთებულ და კანონზე დაფუძნებულ გადაწყვეტილებებს იშვიათად იღებენ. ურთმელიძის გადაწყვეტილება წინააღმდეგობაში არაა არც სამოქალაქო საპროცესო კოდექსთან და არც კონსტიტუციასთან.

**— არც საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებასთან?**

— საკონსტიტუციო სასამართლომ შეაჩერა დაუყოვნებლივი აღსრულების კონკრეტული შემთხვევა, ხოლო ურთმელიძის განჩინებაეხება გადაწყვეტილების აღსრულების უზრუნველყოფას. თამაზ ურთმელიძემგადაწყვეტილებისაღსრულების უზრუნველყოფის ღონისძიებად დროებითი მმართველობის დანიშვნა გამოიყენა. საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ მიღებულინორმა, რომლითაც დაუყოვნებლივი აღსრულების კონკრეტული შემთხვევა შეჩერდა,შეხებაში არ არის ურთმელიძის მიერ გამოყენებულ ნორმასთან და მის მიერ დადგენილ ღონისძიებასთან.

**— რას გვეტყვით დროებითი მმართველის ინსტიტუტზე, რომელიც ლამის თამაზ ურთმელიძის შემოქმედებითი ფანტაზიისნაყოფად გამოაცხადეს?**

— ქართული სამართალი დროებითი მმართველის ინსტიტუტს დიდი ხანია იცნობს. ქართულ სამართალში სარჩელის უზრუნველყოფის ერთ-ერთი ღონისძიების სახით, არსებობს სეკვესტრის ინსტიტუტი, რომელიც განიმარტება, როგორც ქონების იძულებითი მართვა და იგი გამოიყენება სააღსრულებო სამართალწარმოებაშიც და საპროცესო სამართალშიც.რაც შეეხება დროებითიმმართველის, ანუ დროებითი ადმინისტრაციის ინსტიტუტს, ეს პრაქტიკა გამოიყენება კომერციული ბანკების შემთხვევაში. მაგალითად, თუ ეროვნული ბანკი ჩათვლის, რომ რომელიღაც კომერციული ბანკი არალიკვიდურია და მისი შემდგომი საქმიანობით შეიძლება საფრთხე შეექმნასმეანაბრეებისა და ბანკის სხვა მომხმარებლების ინტერესებს, შეუძლია ჩამოაშოროს მას არსებული მენეჯმენტი და დაუნიშნოს დროებითიადმინისტრაცია, ხოლო დროებითი ადმინისტრატორი სხვა არაფერია, თუ არა დროებითი მმართველი. მოვლენების ამგვარად განვითარების შემთხვევაში, გარკვეული დროის მანძილზე, ბანკი დროებითი ადმინისტრაციის მიერ იმართება. თუ სიტუაცია გამოსწორდა და ბანკი ლიკვიდური გახდა, დროებითი ადმინისტრაცია დაასრულებს თავის საქმიანობასდა ძველი მენეჯმენტი დაუბრუნდება თავის საქმიანობას. თუ სიტუაციის გამოსწორება შეუძლებელია, ბანკის მიმართ დაიწყება ლიკვიდაცია.1996 წელსმიღებულიგაკოტრებისკანონიცპირდაპირ ითვალისწინებდა გაკოტრებისდროებითიმმართველისდანიშვნასრამდენიმეთვისგანმავლობაში, ვიდრეგაკოტრების მუდმივიმმართველიარდაინიშნებოდა.ასეთ დროებით მმართველსაც სასამართლო ნიშნავდა. მოქმედი კანონმდებლობა, კერძოდ, გადახდისუუნარობის შესახებ კანონი იცნობს ასევე მმართველის ინსტიტუტს მეურვის სახით, რომელიც ინიშნება, ასევე, სასამართლოს მიერ. ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, ცხადია, რომ სასამართლოს მიერ კონკრეტულ კომპანიაშიმმართველად უცხო ფიგურის შეყვანის პრაქტიკაც არსებობს და სამართლებრივი ნორმებითაც არის გამყარებული. ასე, რომ ეს არ მოუგონია მოსამართლე თამაზ ურთმელიძეს. მეტიც, მან გამოიყენა არა მარტო ქართულ სამართალში არსებული ინსტიტუტი, არამედ ამერიკულ პრაქტიკასაც მიმართა და ევროპულ წყაროებსაც დაეყრდნო.ვფიქრობ, არასამთავრობო ორგანიზაციების, განსაკუთრებით „ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის“თავმჯდომარის განმარტებები მოსამართლე ურთმელიძის გადაწყვეტილების უკანონობასა და დაუსაბუთებლობაზე, საზოგადოების შეცდომაში შეყვანის მცდელობაა და სხვა არაფერი. მასაც და სხვებსაც ვურჩევ, მსგავსი განცხადებების გაკეთებამდე კარგად წაიკითხონ გადაწყვეტილება, შესაბამის საკანონმდებლო ნორმებთან ერთად.



**— როგორც ვიცი, ურთმელიძის განჩინებაში განსაკუთრებით დასაბუთების ნაწილი მოგწონთ. იქნებ აგვიხსნათ, რა არის მასში ასეთი განსაკუთრებული?**

— ნამდვილად, აღფრთოვანებული ვარ განჩინებისდასაბუთებისნაწილით, რომელშიცკარგადააგამოკვეთილიდროებითიმმართველისდანიშვნისაუცილებლობადა ისსაფრთხეები, რაცშეიძლებამოვალისქონებასშეექმნას, ვიდრე გადაწყვეტილება საბოლოოდ არ შევა ძალაში და არ აღსრულდება

**— კონკრეტულად, რა საფრთხეებზეა საუბარი?**

— შესაძლოა, არსებულ მენეჯმენტსჰქონოდამცდელობა, რომკომპანიაგადახდისუუნაროდდაწამგებიანადექცია. ამის საილუსტრაციოდ, განჩინებაში მოყვანილიაუცხოეთისქვეყნებისმაგალითები. შემიძლია ვთქვა, რომ ესარისევროპულდაამერიკულპრაქტიკაზე დაფუძნებული ევროპულიტიპისმოსამართლისგადაწყვეტილება.

**— სამწუხაროდ, „საიას“ თავმჯდომარე ერთადერთი გამონაკლისი არ გახლავთ, რადგან ურთმელიძის გადაწყვეტილების ხარვეზებზე თითქმის მთელი არასამთავრობო სექტორი საუბრობს. ომბუდსმენის განცხადებაში წერია, რომ 5 ნოემბერს მიღებული განჩინება დაუსაბუთებელია და არღვევს ტელეკომპანიის სიტყვის თავისუფლებას.**

— ჩემი აზრით, ამ ადამიანებს ან განჩინება არ წაუკითხავთ წესიერად ან ვიღაცას მართლა უნდა, რომ ეს საქმე პოლიტიკურ ჭრილში განიხილოს. თუ ვინმეს ძალიან სურს, შეიძლება მოსამართლის გადაწყვეტილებაში პოლიტიკური ასპექტები დაინახოს, მაგრამ თუ ურთმელიძის გადაწყვეტილებას პოლიტიკურ კონტექსტს გამოვაცლით და წმინდა სამართლებრივი კუთხით შევხედავთ, ეს არის კანონზე დაფუძნებული და აბსოლუტურად დასაბუთებული გადაწყვეტილება. შეიძლება ბევრს არ მოეწონოს ჩემი შეფასება, თუმცა, ვერავინ დამაბრალებს, რომ რომელიმე მხარის წარმომადგენელი ვარ.ამდენად, შეფასების გაკეთებისას, ჩემთვის გადამწყვეტი სამართლებრივი ნორმების სწორი ანალიზი იყო. დიახ,სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 271–ე მუხლი, რომელიც მოსამართლე ურთმელიძემგამოიყენა, მივიწყებული ნორმაა, რადგან ადვოკატები ძირითადად სარჩელის უზრუნველყოფაზე ვართ ორიენტირებულებიდა არა გადაწყვეტილების აღსრულების უზრუნველყოფაზე, ამიტომ ნაკლებად ვაქცევდით ყურადღებას ამ ნორმის პრაქტიკაში გამოყენებას. ჩემს საადვოკატო პრაქტიკაში მისი გამოყენების შემთხვევაარ მქონია, მაგრამ ამ პრეცენდენტის შემდეგ, უფრო მეტ ყურადღებას მივაქცევ და მეც დიდი სიამოვნებით გამოვიყენებ. გადაწყვეტილების აღსრულების მიზანია, რომ სანამ საქმე შემდეგ ინსტანციებს გაივლის, არ მოხდეს ქონების დაცარიელება და საბოლოოდ, არმივიღოთ ქონებისგან დაცლილი სააღსრულებო ფურცელი.დროებითი მმართველის დანიშვნის დროს,აქცენტი უნდა გაკეთდეს ქონების მართვაზე, შენახვასა და გაფრთხილებაზე და სწორედ ეს აქცენტები დევს განჩინებაში.თუ მოსამართლე ტელეკომპანიის სარედაქციო პოლიტიკას შეეხო, ესეც ქონებასთან მიმართებაში უნდა განვმარტოთ, იმიტომ, რომ ახალმა დროებითმა მმართველობამ უნდა უზრუნველყოს, რომ „რუსთავი 2“, როგორც სამაუწყებლო კომპანია დარჩეს ბაზარზე და ამასთან შეინარჩუნოსმომგებიანობადა რეიტინგულობა.დაუშვებელია, რომ სარედაქციო პოლიტიკის შეცვლით, კომპანია წამგებიანი გახდეს. დროებითმა მმართველებმა უნდა შეინარჩუნონ კომპანიის ქონება იმმდგომარეობით, როგორითაც მას ჩაიბარებენ. თუ კომპანიის ქონება მათი ბრალეული ქმედებების გამო შემცირდა, მაშინ ისინი ისინი პასუხს აგებენ შემცირებული ქონებისათვის და ამ ქონების ღირებულების ფარგლებში მატერიალური ზიანის ანაზღაურებაცდაეკისრებათ.

**— გამოდის, რომ დავით დვალი და რევაზ საყევარიშვილი რისკზე მიდიან?**

— განჩინებაში პირდაპირ წერია, რომ ისინი პასუხს აგებენ მთელი თავისი ქონებით. კომპანიის ქონების შემცირების შემთხვევაში, სახლიდან მოატანინებენ და ისე აანაზღაურებინებენ ზარალს. ორი დღეა ამას ვიმეორებ და ეს საფრთხე არავინ გაიაზრა. დროებითმა მმართველებმა შეცდომა დაუშვეს, როცა განაცხადეს, რომ კომპანიაში მხოლოდ გასაჩივრების ვადის გასვლის შემდეგ შევლენ. არავინ არის დაზღვეული იმისგან, რომ ამ გასაჩივრების ვადის განმავლობაში, რომელიც 1 თვეზე მეტხანსაც შეიძლება გაგრძელდეს, არსებულიმენეჯმენტიქონების ნაწილს არ გადამალავს, ძველი რიცხვით რაღაც გარიგებებს არ დადებს და დამატებითი ვალდებულებებს არ„აჰკიდებს“ კომპანიას. ამის გარდა, გასაგებია, რომ გასაჩივრების ვადა ხუთი დღეა, მაგრამ ზოგადი წესების მიხედვით, აპელაციამშეიძლება ორი თვის განმავლობაში იმსჯელოს. ამ პერიოდში თუ რამე მოხდა, პირადად დვალსა და საყევარიშვილს დაეკისრებათ ვალდებულება კომპანიის ქონების შემცირებაზე.

**— როგორ შეიძლება მოვლენების ამგვარად განვითარებისთავიდან აცილება?**

— დროებითი მმართველები იმავე დღეს უნდა შესულიყვნენ კომპანიაში, მიეღოთ მფლობელობაში მთელი ქონება და დაეწყოთ ზრუნვა ქონების მართვასა და შენარჩუნებაზე. ვიმეორებ, დაუყოვნებლივ უნდა შესულიყვნენკომპანიაში და არ გაეწიათ ვილაცეებისათვის ანგარიში. თუ საჭირო გახდა, სააღსრულებო ბიუროს აღმასრულებლების, ხოლო უკი-



**„დროებითმა მმართველებმა შეცდომა დაუშვეს, როცა განაცხადეს, რომ კომპანიაში მხოლოდ გასაჩივრების ვადის გასვლის შემდეგ შევლენ. არავინ არის დაზღვეული იმისგან, რომ ამ ხუთი დღის განმავლობაში არსებული მენეჯმენტი ქონების ნაწილს არ გადამალავს, ძველი რიცხვით რაღაც გარიგებებს არ დადებს და დამატებითი ვალდებულებებს არ „აკიდებს“ კომპანიას.“**

10 gv.

# რა შეცდომა დაუშვეს დვალმა და საყევარიშვილმა და რატომ არ წავა „რუსთავი 2“-ის საქმე სტრასბურგში?



9 gv.

დურეს შემთხვევაში სააღსრულებოპოლიციის დახმარებითაც უნდა შევიდნენ და თუ ვინმე წინააღმდეგობას გაუწევს მათ უფლებამოსილების განხორციელებაში, ეს უკვე ცალკე დანაშაულია, რომლის გამოც შეიძლება საქმეც კი აღიძრას.

**— თუ გავითვალისწინებთ, რომ ტელეკომპანიის გარშემო ვითარების დაძაბვა და მასობრივი არეულობის მოწყობა ოდესაში მყოფი ექსპრეზიდენტის გეგმებში შედის, კომპანიაში პოლიციისშეყვანამოვლენების ამ სცენარით განვითარებას ხელსარ შეუწყობს?**

— ჩემთვის, როგორც იურისტისთვის და მოქალაქისთვის მნიშვნელოვანია, რომ სასამართლოს კანონიერ ძალაში გადაწყვეტილებები, თუნდაც მას წაგებული მხარე უსამართლოდ მიიჩნევდეს, აუცილებლად უნდა აღსრულდეს. ვფიქრობ, რომ აღსრულებისთვის ხელის შეშლა სახელმწიფოს განვითარებისადა მისი შემდგომი მომავლისთვისუფრო ცუდია, ვიდრე ის, რომ ვიღაცეებს ანგარიშები ვუწიოთ და იმის გამო, რომ დაანონსებული რევოლუცია თავიდან ავიცილოთ, სასამართლოს გადაწყვეტილება არ აღვასრულოთ. „რუსთავი 2“ ისეთივე ჩვეულებრივი მოვალეა, როგორც ნებისმიერი ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომლის მიმართაც გამოდის გამამტყუნებელი, ანუ მათ საწინააღმდეგო გადაწყვეტილება, ხოლო ნებისმიერი გადაწყვეტილება, რომელიც მოვალის მიმართ არსებობს, უნდა აღსრულდეს, იქნება ეს „რუსთავი 2“ თუ, ვთქვათ, ფიზიკური პირი როინ მიგრიაული. ამ საქმეში ერთმანეთს „დაეჯახა“ ორი ღირებულება: მედიის თავისუფლებისა და სასამართლოს დამოუკიდებლობის ღირებულებები. მე თუ მკითხავთ, ჯობია, რომ სასამართლოს დამოუკიდებლობის პრინციპი იქნას გატანილი, ვიდრე მედიის საეჭვო თავისუფლება, რადგან მშვენივრად ვიცით, როგორი თავისუფალია ის მედია საშუალება, რომელმაც დღეს საზოგადოება დაზაფრა.

**—როგორც იცით„რუსთავი 2“ საქმეზე სახალხო დამცველის სპეციალურ განცხადებაში წერია, რომ 5 ნემბრის განჩინება ზღუდავს სამართლიანი სასამართლოს პრინციპს, ვინაიდან, კომპანიის გენერალურიდა ფინანსური დირექტორები უფლებამოსილების შეჩერების გამო, მოკლებული არიან შესაძლებლობას განჩინება ზემდგომ ინსტანციაში გაასაჩივრონ.**

— დიახ, განჩინების ერთ-ერთმაპუნქტმა, სადაცსაუბარია, რომ დროებით მმართველებს მიენიჭათ უფლებამოსილება წარმომადგენლობა განახორციელონ სასამართლოში, გააჩინა ვერსია, რომ ამით ტელეკომპანიის წარმომადგენლებს გასაჩივრების უფლება წაერთვათ. ეს არასწორი განმარტებაა, ვინაიდანგანჩინებაში პირდაპირ წერია, რომ მოპასუხეებს შეუძლიათთავიანთი მოსაზრებები და არგუმენტაცია წარმოადგინონ საჩივარში, რომელიც შეუძლიათ განჩინების ჩაბარებიდან ხუთ დღეში აღძრან. ასევე, არსებობს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 413–ე მუხლი, რომელიც კერძო საჩივრის გასაჩივრების წესს ადგენს და ეს წესი საჩივრის მიმართაც ანალოგიურად გამოიყენება. ამ წესში წერია, რომ კერძო საჩივრით, განჩინების გასაჩივრება შეუძლია ყველა იმ პირს, ვისაც ეს განჩინება ეხება. ანუ თუ განჩინება ეხება სამაუწყებლო კომპანია „რუსთავი 2“–ს, მას შეუძლია გაასაჩივროს ეს განჩინება და ამაში არავითარი დაბრკოლება არ შეექმნებათ. ასე, რომ აჟიოტაჟი სამართლიანი სასამართლოს შეზღუდვასა და გასაჩივრების უფლების წართმევაზე ჭიქაში ატეხილი ქარიშხალია და სხვა არაფერი.

**— იუსტიციის მინისტრმა განაცხადა, რომ კარგი იქნება, თუ ეს საქმე სტრასბურგამდე მივა.დასავლეთიდან მიღებული მესიჯების გათვალისწინებით, რა შედეგს უნდა ველოდოთ საქმის ამგვარად განვითარების შემთხვევაში?**

— სტრასბურგის სასამართლო არ არის მეოთხე ინსტანციის სასამართლო, ამიტომ ეს საქმე საქართველოშიუნდა დამთავრდეს. სასარჩელო მოთხოვნა რომ ტელეკომპანიის დახურვა ყოფილიყო, შეიძლებოდა ამაზე სტრასბურგის სასამართლოს ემსჯელა, მაგრამ დავა პარტნიორებს შორის წილებთან დაკავშირებითმიდის დატელეკომპანიას დახურვის საფრთხე არ ემუქრება. ამგვარად, ეს საქმე სტრასბურგში არ წავა.

**— პარლამენტის თავმჯდომარემ თავის განცხადებაში სასამართლოების დაპირისპირება ახსენა. როგორ ფიქრობთ, არსებობს თუ არა სასამართლოების დაპირისპირება და სამართლებრივად რამდენად გამართულია საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებები?**

— საკონსტიტუციო სასამართლო ფაქტობრივად, მხარედ მოგვევლინა, ამიტომ მის გადაწყვეტილებებს ობიექტურად ვერ მივიჩნევ. საკონსტიტუციო სასამართლოს ბალანსზეა ბოლო ერთ თვეში ფორსირებულად მიღებული ორი უსწრაფესი გადაწყვეტილება-წარმოებაშიამიღებული და დაკმაყოფილებული„რუსთავი 2“–ის სარჩელი და წარმოებაშიამიღებული და შეჩერებულია ნორმა, რომელიც არ უნდა შეჩერებულიყო. ორიოდე დღის წინ ყოფილ მოსამართლეებთანაც მქონდა საუბარი,რომლებმაც გაოცება ვერ დამალესსაკონსტიტუციო სასამართლოს მიერ ისეთი ნორმის შეჩერებით, რომელსაც პრაქტიკაში ძალიან ხშირად იყენებდნენ. საბანკო სექტორსა და შრომითი დავებშიდაუყოვნებლივი აღსრულება ძალიან მნიშვნელოვანი და აუცილებელი ნორმააკონკრეტული გადაწყვეტილების უზრუნველსაყოფად. წარმოიდგინეთ, რომ მცირე წილის მქონე პარტნიორი კომპანიისგან საბუთებს ითხოვს ( 5 და მეტი პროცენტის მქონე მეწილეს ამის უფლება აქვს) და კომპანია საბუთების მიცემაზე უარს ამბობს, იმიტომ, რომ რაღაცას უმალავს მას. პარტნიორი მიდის სასამართლოში და იგებს საქმეს, მაგრამ მეორე მხარე პროცესების გაჭიანურებას ცდილობს. ასეთ შემთხვევაში სამივე ინსტანციის მოვლას შეიძლება ერთი წელი დასჭირდეს, პარტნიორის ინტერესი კი საბუთების დროულად მიღებაა. ადრე პირველი ინსტანცია ავალდებულებდა კომპანიის დირექტორს, რომ მოგებული მხარისთვის საბუთები დაუყოვნებლიც გადაეცა და ასეთ დავებში სწორედ ის მუხლი გამოიყენებოდა, რომელიც საკონსტიტუციო სასამართლომ შეაჩერა. ამ ნორმის შეჩერებით, საკონსტიტუციო სასამართლო გახდა მხარე ერთ-ერთი კომპანიის ან შეიძლება პირდაპირ ითქვას, ერთ ერთი პოლიტიკური ძალის სასარგებლოდ.



**— საკონსტიტუციოსასამართლოშიტელეკომპანია „რუსთავი 2“-ისსაქმესთანდაკავშირებითმეორესარჩელიც შევიდა. სარჩელით იმმუხლისგაუქმებასმოითხოვენ, რომლისმიხედვითაც ურთმელიძემ 5 ნოემბრისგადაწყვეტილებამიიღო. საუბარიასამოქალაქოსაპროცესოკოდექსის 271–ემუხლისარაკონსტიტუციურადცნობაზე.სამოქალაქოსაპროცესოკოდექსის 271-ემუხლიკი ითვალისწინებს, რომშესაძლოამოხდესიმსასამართლოგადაწყვეტილებისდაუყოვნებლივიაღსრულებისუზრუნველყოფა, რომელიცარარისმიქცეულიდაუყოვნებლივაღსასრულებლად.თქვენი აზრით, კიდევ რა სიურპიზებს უნდა ველოდოთ პაპუაშვილისგან?**

— არ ვიცი, რა სიურპრიზებს უნდა ველოდოთ, თუმცა ფაქტობრივად გამოდის, რომ საკონსტიტუციო სასამართლომ შეიძლება ბოროტად ისარგებლოს თავისი სასამართლო ძალაუფლებით და გააუქმოს და შეაჩეროს ბევრი ნორმა.ერთ–ერთ ინტერვიუში კიდეც ვთქვი, რომ შეიძლება შეგვრჩეს მხოლოდ კანონის დასახელება, რომლის ყველა ნორმა შეჩერებული ან გაუქმებული იქნება. იმედია, საქმე ასეთ აბსურდამდე არ მივა.

9 ნოემბერს ქართველოს პარლამენტმა საკონსტიტუციო სასამართლოს პირველ კოლეგიას, „რუსთავი 2“–ის სარჩელთან დაკავშირებით, მოსამართლეთა აცილების შუამდგომლობით მიმართა. საუბარია კონსტანტინე ვარძელაშვილსა და მაია კოპალეიშვილზე, რომლებსაც გავრცელებული ინფორმაციით, ახლო ურთიერთობა აკავშირებთ ნიკა გვარამიასთან. მოსამართლე ვარძელაშვილის მეუღლა ანა ჟვანია გვარამიას პირველი მოადგილე იყო მისი განათლების მინისტრობის დროს, ხოლო ხოლო მაია კოპალეიშვილი გვარამიას მოადგილედ მუშაობდა ჯერ იუსტიციის მინისტრის, ხოლო შემდეგ განათლებისა და მეცნიერების მინისტრის თანამდებობაზე ყოფნისას. ზემოთქმულიდან გამომდინარე, პარლამენტს ამ ორი მოსამართლის მიუკერძოებლობაში ეჭვი ეპარება და საქმიდან მათ აცილებას ითხოვს.

„განსახილველი საქმისადმი მოსამართლეთა მიკერძოებული დამოკიდებულება, უკვე ნათლად გამოვლინდა საკონსტიტუციო სასამართლოში სარჩელის მიღებისა და განხილვის ადრეულ სტადიებზე. კერძოდ: საკონსტიტუციო სასამართლოს იმავე ნორმის არაკონსტიტუციურად ცნობისა და მისი მოქმედების შეჩერების მოთხოვნით, რაც „რუსთავი 2–ის“ სარჩელში იყო მითითებული, „რუსთავი 2“-ის მიერ სარჩელის შეტანამდე მიმართეს სხვა მოსარჩელეებმა, რომელთან დაკავშირებითაც სასამართლომ ჩანიშნა განმწესრიგებელი სხდომა ზეპირი მოსმენით უკიდურესად შემჭიდროებულ ვადებში – 2 ნოემბერს დილით. ამავდროულად, პარლამენტს არ მიეცა შესაძლებლობა მიეღო რაიმე ინფორმაცია „რუსთავი 2–ის“ სარჩელის დარეგისტრირებისა და მისი განხილვის დროის თაობაზე. სხვა მოსარჩელეებმა, 2 ნოემბრის დილითვე უარი განაცხადეს სარჩელის განხილვაზე, რამაც გამოიწვია ზეპირი მოსმენის სხდომის გაუქმება. მხოლოდ ამის შემდეგ გავრცელდა ინფორმაცია, რომ იმავე დილით, ზეპირი მოსმენის გამართვის გარეშე, სასამართლო გამოაქვეყნებდა გადაწყვეტილებას „რუსთავი 2-ის“ მოთხოვნის დაკმაყოფილებისა და სადავო ნორმის დროებით შეჩერების შესახებ.

ჩნდება საფუძვლიანი ეჭვი, რომ ტელეკომპანია „რუსთავი 2-ის“ სარჩელის მიღების, დარეგისტრირების და შემდგომი მსვლელობის პროცესი შეგნებულად და წინასწარგამიზნულად იყო გაუმჭვირვალე, რათა სასამართლოს სწორედ 2 ნოემბერს მიეღო „რუსთავი 2-ის“ ინტერესების შესაბამისი გადაწყვეტილება, ოღონდ ისე, რომ არ განეხილა მისი საქმე და სასურველი გადაწყვეტილება მიღებული ყოფილიყო სხვა მოსარჩელეების საქმესთან დაკავშირებით, ვიდრე 2 ნოემბერს დილით არ წარმოიშვა ახალი გარემოებები – იმავე საკითხზე სხვა მოსარჩელეების მიერ შეტანილი სარჩელების უკან გათხოვა, დაგეგმილი სხდომის ვერჩატარება და „რუსთავი 2-ისთვის“ სასარგებლო გადაწყვეტილების სხვა საქმეზე ვერ მიღება.“ წერია პარლამენტის განცხადებაში.

**ნელი თორდია**
571 35 36 88

# — მე, რომ გადასახლებაში ვიყავი ანუ საიდან ამოდის და სად ჩადის „რესპუბლიკელების“ მზე?




*„ქართული ოცნება“ შესაძლოა „ქართულ ოცნებაშივე“ შემავალი ერთ-ერთი პარტიის, კერძოდ კი, „რესპუბლიკელების“ მსხვერპლი შეიქმნეს ისევე, როგორც შესაძლოა „ნაცებთან“ ამ გარიგებას მთელი საქართველო შეეწიროს!.. ამის დასტურად კი, სულ ახლახან, უკრაინული ვიკილიკსის ჩანაწერი გამოდგება, სადაც მიხეილ სააკაშვილი და დავით კეზერაშვილის საუბარია ჩაწერილი: „მოიცა, მოიცა, გამახსენდა კიდევ კაი, ბიჭო!.. თინამ მთხოვა საგარეჯოში რომ არჩევნებია, დახმარება. მაგის ნათესავია ვიღაცა, ის რომ გავიდეს. ჩვენები ყველაფერს აკეთებენ, მერე მაგას ჯარის ნაწილიც დაეხმარება, მაგრამ გადამწყვეტი აზერების მუღანლო რომ არის, ის იქნება... ჩვენი დეპუტატი რომ არის აზიკა, შენს კონტაქტებს მისცემენ და ბაქოში რომ იქნები, ჩამოვა, თანხა მიეცი, მუღანლოელი მუფთები უნდა დააპუროს... თან, ბაქოს ელიტასაც სთხოვე დახმარება ჩემგან, ის წაკლა რომ არის, ინაშვილი, ეგ*


თინა ხიდაშელი და გიგა ბოკერია ახალგაზრდობაში

*არ უნდა გავიდეს. კალიფორნიელი სენატორები კი უჭერენ მხარს, მაგრამ მაგათი დუდუკებისთვის მე არ მცალია... ხომ მიხვდი როგორ უნდა გააკეთო?.. სანამ კიევში წახვალ, ადეიშვილი ნახე და ყველაფერს აგიხსნის დეტალურად....“*

ძვირფასო მკითხველო და საქართველოს ხელისუფლებავ!.. თქვენ როგორ ფიქრობთ, თუნდაც ამ სტენოგრამული ჩანაწერის შემდეგ, გამოძიება არ უნდა დაწყებულიყო?.. ხომ ნათლად გამოჩნდა, რომ საქართველოს თავდაცვის მინისტრი თინა ხიდაშელი ზუსტად ისევე მოქმედებდა, როგორც ზემოთ აღნიშნულ ჩანაწერში სააკაშვილ-კეზერაშვილი საუბრობდნენ?.. ხომ ფაქტია, რომ საგარეჯოში ხიდაშელი 500 ჯარისკაცთან ერთად დარბოდა და საარჩევნო ბიულეტენები საცვლებიდან ამოჰქონდა?.. ჰქონდა კი თინათინ ხიდაშელს იმის უფლება, რომ ხმები თვითონ ეკონტროლებინა და საკუთარი ხელით შეეყვანა?.. განა არ ნახა მთელმა საქართველომ ამაზრზენი კადრები, რომელიც მასსა და საგარეჯოს მაჟორიტარი კანდიდატის ნათესავი თამარ ხიდაშელის მიმოწერაში ჩანდა?.. „არავის არ ვენდობი, საკუთარი ხელით შემყავს თითოეული ხმა“, — „ემესიჯება თამარ ხიდაშელს ნათესავი თავდაცვის მინისტრი. „ოქროს გოგო ხარ შენ“, — პასუხობს მადლიერი ნათესავი თამარ ხიდაშელი თავდაცვის მინისტრს და ეს ყველაფერი ხდება ცენტრალური ხელისუფლებიდან 30-იოდე კილომეტრის დაშორებით და ხიდაშელი არჩევნებს ისე სარდლობდა, თითქოს, სოხუმის მისადგომებთან იყო...

ჰო, მართლა, სოხუმზე გამახსენდა... ეს ის თინა ხიდაშელი ხომ არ არის, რომელიც აფხაზეთს საქართველოს შემადგენლობაში არ განიხილავს?!.. ეს ის თინა ხიდაშელი არ არის, რომელიც რამდენიმე ენჯეოს მაკონტროლებლად არის მოვლენილი?!.. და ეს ენჯოები კი ის ენჯეოები არ არიან, როცა კი „ქართულ ოცნებას“ გაუჭირდება, თავს რომ ესხმიან და „ნაცებს“ კი ენას უჩლექენ?!.. რა უნდოდა საარჩევნო უბანზე მეორე მინისტრს „რესპუბლიკური პარტიიდან“ გიგლა აგულაშვილს, როგორ, საგარეჯო მათი მოქმედების არეალის ბუდეა?!.. ანდა, რა უფლება ჰქონდათ ევლოთ უბან-უბან „რესპუბლიკურ პარტიას“ და მათ შორის მინისტრ ხიდაშელს და მინისტრ აგულაშვილს მაშინ, როცა ამას საქართველოს კანონმდებლობა კრძალავს?!..

უკრაინული ვიკილიკსის მიერ სხვა ჩანაწერებიც გავრცელდა, სადაც ბოკერია, გვარამია, ხიდაშელ-უსუფაშვილი და მარგველაშვილი არიან ხსენებულები, მაგრამ... ბოკერიასა და გვარამიას მეტი პროკურატურაში ვინმე დაიბარეს?!.. ანდა, თუ არ დაიბარეს, რატომ არ იბარებენ ახლა, როცა ზუსტად ერთი-ერთში ახდა კეზერაშვილისა და სააკაშვილის საუბრის ის ნაწილი, სადაც საგარეჯოსა, ხიდაშელსა, „აზერებსა“ და ჯარზე იყო საუბარი?!.. რასთან გვაქვს საქმე, ე.ი. ის, რაც სააკაშვილმა კეზერაშვილს დაავალა, აქ, ამ ხელისუფლების პირობებში ვინ იყო ხელშემწყობი და მათი თანამოაზრე?!.. გამოდის, რომ სააკაშვილი კვლავაც ხელისუფლებაშია და თავის განზრახვებში ისეთივე თავისუფალი, როგორადაც უკრაინაშია?!.. ძალიან ბევრი კითხვები გაჩნდა საგარეჯოს არჩევნებისადმი, ჰოდა, 8 ნოემბერს, ლამისაა 10 ათასკაციანი მიტინგით რომ დაიწყო „პატრიოტთა ალიანსმა“ ქართული პოლიტიკის ახალი ფურცელი, ხელისუფლებას ეს სიურპრიზი ნამდვილად არ უნდა ეგონოს!..

შესანიშნავი კომენტარი გააკეთა საგარეჯოში მიმდინარე არჩევნების შესახებ იურისტმა პაატა ცნობილაძემ და განაცხადა: „ხელისუფალნი ამაქვეყნისა ირწმუნებოდნენ, რომ ქვეყანა დემოკრატიული თუ არა, უკვე დემოკრატიით დაფეხმძიმებულიაო... ჩაიარა არჩევნებმა და დიდი ასოებით შემიძლია დავწერო ის, რომ — ტესტმა დაადასტურა, რომ არათუ ფეხმძიმედ, არამედ ინტიმური კავშირიც კი არ დამყარებულა დემოკრატიასთან!..“

ბატონებო, ჩვენ შესანიშნავად გვესმის, რომ დაფეხმძიმება ინტიმურ კავშირს მოჰყვება ხოლმე, მაგრამ მეც და საქართველოს საზოგადოების უდიდეს ნაწილს ძალიან გვაინტერესებს, ვიდრე დემოკრატიას გაეთამაშებოდეთ, იქნება, ის აგვიხსნათ, მაგ თქვენ ხელისუფლებაში ვინ ვისთან, რომელ პოლიტიკურ ძალასთან ამყარებს ინტიმურ კავშირს, რომ ვარაუდის დონეზე მაინც ვიცოდეთ, ნაყოფი როგორი იქნება?!...

„ქართული ოცნების“ მომაკვდინებელი შეცდომა იყო ის, რომ 2012 წლის არჩევნებამდე ერთი წლით ადრე თავის მთავარ მოკავშირეებად ის ძალა დაასახელა, რომელსაც საქართველოს მოსახლეობაში არათუ სიყვარული, არამედ სიძულვილი სდევს თან... დიახ, „რესპუბლიკური პარტია“ ყველაზე საძულველი პოლიტიკური პარტიაა და ამ სიძულვილს ძალიან დიდი ხნის ისტორია აქვს...

ვინ არის ლევან ბერძენიშვილი?.. ვინ არის ადამიანი, ვინც „რესპუბლიკური პარტია“ დაარსა და რომლის გამოც ის თურმე „გულაგებში“ გადაუსახლებიათ... სწორედ იქ, იმ „გულაგებში“ გაიფურჩქნა ბატონი ლევანის შეფარული ნიჭი და როგორც მისი თანამოსაკნენი და იმდროინდელი დისიდენტები ამბობენ, შესაშურად ნიჭიერი ჩამშვები დამდგარა... თუმცა იქამდე, ვიდრე გააციმბირებდნენ, აქ, მშობლიურ კაგებეში ერთობ „ლიტერატურული“ ნაშრომი დატოვა, რომელიც არაერთხელ გამოქვეყნდა ქართულ პრესაში და სადაც „დისიდენტი“ ბერძენიშვილი მშობლიურ კაგებეს ხოტბასა და დიდებას ასხამდა!.. „ვაშა პარტიას, ვაშა — შენებას!“ აი, პათოსი იმ წერილისა, ოღონდაც გარდა ამ ყველაფრისა, ლევან ბერძენიშვილმა აღნიშნულ „დანოსში“ არა მხოლოდ თავისი შეყვარებული, არამედ თავისი ალალი ძმაც ჩაუშვა და ბედნიერი გაუყვა ციმბირის გზას. წარა-მარა წამოგვაყვედრის ხოლმე ჩამშვები ბერძენიშვილი „მე რომ გადასახლებაში ვიყავიო“... კი ბატონო, იყავით, ბატონო ლევან, მაგრამ ქართველ საზოგადოებას თქვენი ბიოგრაფიის ის ნაწილი უფრო აინტერესებს, როცა „იმ კაგებემ“, რომელსაც სიყვარულით სავსე დანოსებს აწვდიდით, შემდეგ რით დაგიფასათ ღვაწლი და რა გააკეთა იმისთვის, რომ თქვენ „ცნობადი პოლიტიკოსი“ გამხდარიყავით?!.. რა გააკეთა ბატონებო და ეს „დისიდენტი“ ყმაწვილი გადასახლებიდან პირდაპირ სოხუმის უნივერსიტეტში მიავლინა ლექციების წასაკითხად! დიახ, იმ სოხუმში და იმ აფხაზეთში, სადაც სეპარატისტული, ანტისაბჭოთა ვნებები იმთავითვე იკვე-

12 gv.


გიგა ბოკერია, ვანო მერაბიშვილი, ლევან ბერძენიშვილი, ლევან რამიშვილი

# — მე, რომ გადასახლებაში ვიყავი ანუ საიდან ამოდის და სად ჩადის „რესპუბლიკელების“ მზე?



დავით ზურაბიშვილი, გიგა ბოკერია, ლევან რამიშვილი

11 gv.

თებოდა და ახლა თავად განსაჯეთ ძვირფასო მკითხველო, რისთვის სჭირდებოდა კაგებეს ლევან ბერძენიშვილი სოხუმის უნივერსიტეტში... ეგ კიდევ არაფერი, სულ მალე, „დისიდენტი“ ბერძენიშვილი სოხუმიდან თბილისის უნივერსიტეტში გადმოიყვანეს და დღემდე ასე ათრევენ, ოღონდაც სათავისოდ გამოიყენონ.

პროდასავლურიო, აგვიჩემებია... პროამერიკელიო, — ამასაც ხშირად გაიგებთ რესპუბლიკელებზე... არადა, ვინ არის ან პროამერიკელი ან პროდასავლელი?!.. ვინ, „რესპუბლიკური პარტია“, რომელსაც კაგებეს ცნობილი დამსმენი, ლევან ბერძენიშვილი უდგას სათავეში?!.. ვინ არის პროდასავლელი და პროამერიკელი, დავით უსუფაშვილი, რომელიც 9 აპრილს გახდა კომუნისტური პარტიის წევრი?!.. თინა ხიდაშელია პროდასავლელი და პროამერიკელი?!.. და თუ ეს ასეა, მაშინ ევროპა და ამერიკაც, როცა საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას უჭერენ მხარს, თინა ხიდაშელი აფხაზეთს საქართველოს შემადგენლობაში რატომ ვერ ხედავს?.. ხომ ფაქტია, რომ აფხაზეთი, როგორც დამოუკიდებელი სუბიექტი, 2008 წლის შემდეგ აღიარა დამოუკიდებელ რესპუბლიკად რუსეთის ფედერაციამ და თუ იმ ლოგიკას გავყვებით, რომ რუსეთს ლამისაა საქართველოს ორი რეგიონი უკვე მიტაცებული აქვს, თინა ხიდაშელი მეკავშირედ ჰყოლია, რადგან თინა აფხაზეთს საქართველოდ არ მოიაზრებს!!! ერთ პარტიაში სამი კომუნისტურ-ბოლშევიკური მენტალიტეტის მქონე გამწევი ძალა, როგორ შეიძლება პროამერიკულ ძალად მოვიაზროთ, ეს ხომ აბსურდია?!.. მაგრამ აბსურდსაც აქვს ახსნა, — ის, ვინც თავს იმად ასაღებს, რაც სინამდვილეში არ არის, ან ყალბია, ანდა რაღაცას მალავს და მალავენ იმას, რომ გავლენის აგენტები „რესპუბლიკური პარტიიდან“ სწორედაც რომ ერთი გეგმით მოქმედებენ და სრულ ჰარმონიაში არიან იმ სააკაშვილთან, რომელიც აღარავისთვის საიდუმლო არ არის, რომ რუსეთის მიერ ხელდასმული და ლანგრით მობრძანებული პრეზიდენტი იყო საქართველოსთვის!!!





რას ნიშნავს „რესპუბლიკელების“ ფრაზა — „ვემიჯნებით „ქართული ოცნების“ პოზიციებს, შუაღამით გამოტანილი განაჩენების გამო“-ო?! ეს ხომ პირდაპირ იმას ნიშნავს, რომ „რესპუბლიკელები“ გაემიჯნენ „ქართულ ოცნებას“ და თუ ეს ასეა ბატონებო, რა გამოდის? ისინი გამიჯნულები კი არა, თურმე უკვე გა.მულები ყოფილან და მოდით, ეს ყველაფერი ოფიციალურად გაუფორმოთ, რაღას ვაყოვნებთ?

ვინ არის თინა ხიდაშელი? ვინ არის და თანამეცხედრე საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარისა და იმ ახალგაზრდა ყმაწვილისა, რომელმაც სწორედაც რომ 1989 წლის ტრაგიკული 9 აპრილის შემდეგ გადაწყვიტა იმ კომუნისტურ პარტიაში შესვლა, რომლის გენერალიტეტიც თბილისში პატარა ბავშვებს და ქალებს ხოცავდა... კომპარტიის ნორჩი წევრი დავით უსუფაშვილი დღემდე არ გრძნობს უხერხულობას, არა მხოლოდ 1989 წელს გადადგმული მისი ნაბიჯისა, არამედ ახლაც, როცა თვითონ პარლამენტის თავმჯდომარეა, ხოლო მისი მეუღლე საქართველოს თავდაცვის მინისტრი. ბატონებო, სადმე ხდება ასე?!.. რომელიმე ქვეყანაში ქვეყნის ორ უმთავრეს სტრუქტურას შეიძლება ერთი ოჯახის წარმომადგენლები მართავდნენ?!.. არ შეიძლება და რომ არ შეიძლება, ეს უნდა დამთავრდეს!

თინა ხიდაშელი, თავისი ბიოგრაფიით ზუსტად ისეთივეა, როგორიც მიხეილ სააკაშვილის, გიგა ბოკერიას, ლევან რამიშვილის, გივია თარგამაძის და სხვა გველ-ბაყაყთა, რომელთაც საქართველოს სისხლის წოვა ვერა და ვერ დაამთავრეს და ვერც ქართულმა საზოგადოებამ შესძლო მათი მადის დაოკება.

თინა ხიდაშელის მამას ავტოინსპექციაში „ძროხას“ ეძახდნენ, როცა „ძროხის“ ძროხამ ამ ჩვენ პოლიტიკაში უკვე ბევრი ხბო მოიგო, ეს ხბოები დაიზარდნენ, დასუქდნენ, ზოგი ბუღად იქცა. ჰოდა, რაღა უნდათ, ხან სად გამოგვფატრავენ რქებით, ხან სად მიგვაშარდავენ და ხან კიდევ ისე დაგვბღავლებენ, თითქოს ჩვენც მათი ნახირის შემადგენელი ნაწილი ვიყოთ.

თავშიც ვთქვი და ახლაც ვიმეორებ, „რესპუბლიკური პარტია“ საგარეჯოს არჩევნების შემდეგ სასწრაფოდ უნდა იყოს პროკურატურაში გამოძახებული და საქართველოს პრემიერმინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა კი, ვიდრე პროკურატურამდე მივა საქმე, ეს ორი არაფრისმაქნისი მინისტრი „რესპუბლიკური პარტიიდან“ — თინა ხიდაშელი და გიგლა აგულაშვილი სასწრაფოდ თანამდებობიდან უნდა გადააყენოს, რადგან მიტინგები უკვე დაიწყო ამ პარტიის წინააღმდეგ, ჰოდა, თუკი არ გვინდა ამ მანიფესტაციებით მტერმა ისარგებლოს, მთავრობამ ეს ნაბიჯი აუცილებლად უნდა გადადგას!!! თანაც... ჩემო ირაკლი, მაგ ქალბატონისთვის შასასრულებელი რო გაქ, ხომ არ დაგავიწყდა?!.. კარგად მოგეხსენება, ქიზიყში ვინც დანაპირებს ვერ ასრულებს, იმას რასაც ეძახიან, ჰოდა, მიდი, შე დალოცვილო, იმოქმედე, თორე ენდე, ხო ხედავ სააკასა, თურმე ბაევიკებიც მოუმზადებია და თბილისზე წამოსვლას გეგმავს!..

ხუმრობა იქით იყოს, მაგრამ დღეს ქვეყანაში უკიდურესობამდე დამუხტული სიტუაცია რომაა, ამას ხომ ყველა ხვდებით, ხომ ყველა ვაცნობიერებთ იმას, რომ „რუსთავი-2“-თან დაკავშირებული ბიზნესდავები რაღაც ერთ მიზანს ემსახურება. თუნდაც ის ვიკილიკსის მიერ გამოქვეყნებული საიდუმლო ჩანაწერები, ანდა სააკაშვილისა და მისი ხელქვეითების ჟღურტული, ხომ კარგად ვიცით, რომ იმ გეგმის შემადგენელი ერთ-ერთი ნაწილია?!..

ფრთხილად, ქართველებო, ზუსტად მახსოვს, როგორ დაიწყო საქართველოში ძმათა მკვლელი ომი. დიახ, სწორედ ტელევიზიიდან დაიწყო და სწორედ იქ გაჟღერდა პირველად საგანგაშო განცხადება „სიტყვის თავისუფლების“ დასაცავად. შემდეგ იყო ის, რომ მთელი თბილისი იარაღში ჩაჯდა, მთელ საქართველოში მიმოდიოდნენ მძიმე ტექნიკაზე ამხედრებული სხვადასხვა სამხედრო ფორმირებები და შედეგად მივიღეთ ის, რომ ლამისაა ორი თაობა ჩვენივე ხელით ჩავაწვინეთ მიწაში და თან ისე, რომ ორივე მხარეს დღემდე ჩვენი ჩვენი სიმართლე გვგონია ჭეშმარიტება! ამიტომ ვამბობ, თავის დროზე აფხაზეთში ხუთი თანამდებობის პირი რომ დაეპატიმრებინათ, შესაძლოა იქ ომიც კი ვერ გაებედათ, აქაც, თბილისში, ამდენივე ვაიპატრიოტისთვის სათანადო ადგილი რომ მიეჩინათ, არც სამოქალაქო ომი იქნებოდა. ჰოდა დღეს, 2015 წლის ნოემბერში, როცა ხედავ, რომ თქვენს კოალიციაში შემავალი ერთ-ერთი პარტია ამოდენა ბერკეტებს ფლობს ხელისუფლების ვერტიკალში, პირველი — პარლამენტის თავმჯდომარე, მეორე — თავდაცვის მინისტრი, მესამე — პრეზიდენტი, უნდა ადგე და გაათავისუფლო, მესამე შემთხვევაში, ვადამდელი საპრეზიდენტო არჩევნები უნდა დანიშნო, რომ ქვეყანა გადაურჩეს იმ კატასტროფას, რომელიც კარზეა უკვე მომდგარი და უკვე აქეთ-იქეთა მხარეები გაჩნდა, საიდანაც ძალუმი კბილების ღრჭიალი უკვე ისმის!!!

იმოქმედეთ ბატონებო, შემდეგ გვიანი არ იყოს...

**ირინე გოგოლაშვილი**
555 25 43 35

იხილეთ „საერთო გაზეთი“ ინტერნეტში
www.saertogazeti.ge
შემოგვიერთდით FACEBOOK-ზე
საერთო გაზეთი

# ის, რაც დღეს საქართველოში ხდება, წლების წინ ოკეანისგაღმა დაწერილი სცენარის ნაწილია

*პოლიციისა და უშიშროების სამინისტროს ყოფილი მაღალჩინოსნის, გენერალ **ლევან კენჭაძის** აზრით, ტელეკომპანია „რუსთავი-2“-ის გარშემო დღეს განვითარებული მოვლენები, წლების წინ ოკეანისგაღმა დაწერილი სცენარის ნაწილია, რომელიც პოსტსაბჭოთა სივრცეში, მათ შორის საქართველოში ხელისუფლებების ცვლილებას უკავშირდება.*

## „რუსთავი-2“ რუსეთის სპეცსამსახურებს ემსახურებოდა?



**ლევან კენჭაძე**: „ეს სცენარი, ფაქტობრივად 1985 წლიდან ამუშავდა, ანუ იმ დროიდან, როცა საქართველო ერთ-ერთი მოწინავე იყო ცხოვრების დონით და მეცნიერულ-კულტურული სფეროების განვითარებით, არამარტო რეგიონში, არამედ თითქმის მთელ სოციალისტურ ბანაკში. ამიტომ აქცენტი ეროვნულ თვითგამორკვევასა და ქვეყნის დამოუკიდებლობაზე გაკეთდა. 90-იანი წლების მიმოხილვით თავს არ შეგაწყენთ, ედუარდ შევარდნაძის მმართველობის ბოლო პერიოდზე ვისაუბროთ. მსოფლიო „დირიჟორების“ მიერ გადაწყდა მისი ხელისუფლების შეცვლა და ხალხიც უნდა შეემზადებინათ ამისთვის, პენსია მინიმალურია, რომელიც თვეობით არ გაიცემა, ქვეყანაში უმუშევრობაა, საჯარო სამსახურებში დასაქმებულებიც ლამის წლობით ვერ იღებენ მიზერულ ხელფასს, არ არის დენი, გაზი. გაიხსენეთ, ყბადაღებული თბილსრესის მეცხრე ბლოკი, რომელიც წამდაუწუმ, თითქოსდა ავარიულად ითიშებოდა. სინამდვილეში, მას თვითონ ხელისუფლება სპეციალურად თიშავდა, რომ ხალხი ქუჩაში გამოსულიყო. ე.წ. ვარდების რევოლუციის შემდეგ დედაქალაქსა და



რეგიონებში 24-საათიან რეჟიმში რომ აღდგა ელექტროენერგიის მიწოდება, ახალი მდინარე აღმოვაჩინეთ თუ ახალი ელექტროსადგურები ავაშენეთ? ხელახლა ომს ხომ არ დაიწყებდნენ, ამიტომ მეთოდი შეცვალეს და ეკონომიკურ მდგომარეობაზე დაიწყეს საუბარი, გამოჩნდა ახალი პოლიტიკური ძალა ისევ ხელისუფლებიდან, ე.წ. ახალგაზრდა რეფორმატორები, რომლებიც კორუმპირებულ ხელისუფლებას „დაუპირისპირდნენ“ და ყველაზე ძლიერ ლიდერად მიხეილ სააკაშვილი გამოჩნდა. მაშინ ანტიტერორისტული ცენტრის ხელმძღვანელი გახლდით და პირადად ვარ მოწმე, 1999 წლის საპარლამენტო არჩევნების დროს როგორი გაყალბების შედეგად გახდა სააკაშვილი ვაკის მაჟორიტარი დეპუტატი. თუ ვინმე არ მეთანხმება, მიჩივლოს და დავუმტკიცებ, რომ სიმართლეს ვამბობ. დღის 2 საათისთვის დავით სალარიძე იგებდა არჩევნებს, 4 საათისთვის კი სააკაშვილი დაწინაურდა, რადგან ხელისუფლება ჩაერია, რომ სააკაშვილს გაემარჯვა. „ვარდების რევოლუციაც“ მხოლოდ ხელისუფლების გადაბარება იყო და მეტი არაფერი, შევარდნაძე ყველანაირად ეხმარებოდა „ახალგაზრდა რეფორმატორებს“ ხელისუფლების სათავეში რომ მოსულიყვნენ“.

ტელეკომპანია „რუსთავი-2“ და ნაცმოძრაობა, ანუ რევოლუციამდელი ე.წ. ახალგაზრდა რეფორმატორები ყოველთვის ერთი გუნდი რომ იყვნენ, ჩვენი რესპოდენტის ერთი შემთხვევის გახსენებაც ადასტურებს.

**ლევან კენჭაძე**: „უშიშროების სამინისტროს ინფორმაცია ჰქონდა სახელმწიფო უწყებებში „ჩანერგილ“ პერსონებთან დაკავშირებით, რომლებიც ინფორმაციას აწვდიდნენ ჟვანია-სააკაშვილის გუნდსა და ხსენებულ ტელეკომპანიას. დავიწყეთ მუშაობა და საკმაოდ საინტერესო მასალები შევკრიბეთ. ეს ე.წ. მსტოვრები ფაქტობრივად ყველა სამსახურში ყავდათ, მოყოლებული თანამდებობის პირებიდან, დამთავრებული მდივნებითა და მბეჭდავებით. საკმაოდ ჭკვიანურად მუშაობდნენ, ვფიქრობ, კარგი „მასწავლებლები“ ყავდათ. ხალხს შენს სასარგებლოდ რომ ამუშავებ, ცხადია, გასამრჯელოც უნდა გადაუხადო, ყველა ქვეყანაში ასეა. „მსტოვრებზე“ ფულის გაცემის ისეთი მექანიზმი ჰქონდათ შემუშავებული, კაციშვილი ვერაფერს მიხვდებოდა, თუმცა მაინც გავშიფრეთ. რამდენიმე პიროვნება საუბრის ვიდეო და აუდიო ჩანაწერი, ასევე წერილობითი დადასტურებაც (მათივე ხელმოწერით) მქონდა, რომ ისინი სხვადასხვა ორგანიზაციებში მუშაობდნენ და „რუსთავი-2“-ს ინფორმაციებს აწვდიდნენ. რაც შეეხება შესაბამის „გასამრჯელოს“, მაშინ ამ ტელევიზიით გადიოდა გადაცემა „ვის უნდა ოცი ათასი“ (წამყვანი დუტა სხირტლაძე) და ეს სწორედ ამ გადაცემაში მონაწილეობდნენ მოთამაშის სტატუსით. ვთქვათ, ერთ „მსტოვარს“ მისაღები ჰქონდა 200 ლარი, ხოლო მეორეს 500 ლარი, პირველს წინასწარ აძლევდნენ სიტყვაზე ორ სწორ პასუხს, მეორეს სამს, „გამოიცნობდნენ“ პასუხებს და მიიღებდნენ შესაბამის თანხას, ასე რომ არავინ ყავდათ შემდავებელი. მათვე გვიამბეს „გასამრჯელოს“ მიღების სქემაზეც. იმის შესახებაც გვქონდა ჩანაწერები თუ როგორ უხდიდა ჩეჩენ „ბოევიკს“ ფულს დღევანდელი „ბიზნესკურიერის“ და მაშინდელი „60 წუთის“ წამყვანი აკაკი გოგიჩაიშვილი გარკვეული ინფორმაციების მიწოდებაში. როცა ეს ყველა ინფორმაცია შევაგროვეთ, ის პრეზიდენტ შევარდნაძეს მიუტანეს. ჩემს სამსახურს ღონისძიება უნდა ჩაეტარებინა „რუსთავი-2“-ში, მაგრამ მესამე დღეს (მახსოვს კვირადღე იყო) უშიშროების სამინისტროს ხელმძღვანელობა მოულოდნელად გამოგვიძახეს და მარნეულში წაგვიყვანეს, სადაც შევარდნაძემ დაუგეგმავი შეხვედრა ჩაატარა. მარნეულში ვიყავით, როცა ვიღაცამ დარეკა „რუსთავი-2“-ში უშიშროების სამსახური შევიდაო. ვინ შევიდა, რატომ შევიდა თანაც დღის 12 საათზე, როცა მარნეულში შეხვედრა მიმდინარეობდა ვერაფერს მოგახსენებთ, მხოლოდ შემიძლია ვივარაუდო, ვფიქრობ, სპეციალურად გააკეთეს. შევარდნაძეს თურმე ყველა ჩვენს მიერ მოპოვებული მასალა ზურაბ ჟვანიასთვის (პარლამენტის თავმჯდომარე) გადაუცია. ჟვანიამ რომ ნახა ცუდად იყო საქმე, დაუძახა ტელეკომპანიის ხელმძღვანელობას, გააცნო ეს მასალები და „კონტრილეთი“ ჩაატარეს, მშვენივრადაც გამოუვიდათ, „დაჩაგრულის“ იმიჯი მოირგეს, რომ თითქოს უშიშროების სამინისტროს ტელეკომპანიის დახურვა უნდოდა და საპროტესტო ტალღაც ააგორეს. სინამდვილეში სულ სხვა ღონისძიება იგეგმებოდა, რომელიც ყველაფერს ნათელს მოჰფენდა, მაგრამ უმაღლესი თანამდებობის პირების ხელშეწყობით საპირისპირო შედეგი მივიღეთ. სიმართლე გითხრათ, დღესაც მგონია, რომ იგივე ხდება ხელისუფლების გარკვეული წარმომადგენლების ხელშეწყობით, „რუსთავი-2“-ს კვლავ „ტანჯულის“ მანტიას არგებენ, იმიტომაც ვამბობ, რომ ყველაფერი დადგმული სცენარის მიხედვით ხდება, უბრალოდ მეთოდებს ცვლიან.

**- ბატონო ლევან, მაშინ ამბობდნენ, რომ ამ ტელეკომპანიას მილიონობით საბიუჯეტო დავალიანება ჰქონდა, ასევე განუბაჟებელი აპარატურით სარგებლობდნენ. ფაქტია, რომ სააკაშვილმა გაპირველკაცების შემდგომ „რუსთავი-2“-ს მრავალმილიონიანი დავალიანება ჩამოაწერა.**

- ეგ ფაქტები ჩემი სამსახურის მიერ მოკვლეულ მასალებში არ ფიგურირებდა, თუმცა მერე მართლაც გამოჩნდა, მაგრამ მაშინ საქმის კურსში სრულად არ ვიყავი და ვერც ახლა გეტყვით დაზუსტებით ვერაფერს, რადგან მაგ საქმესთან უშუალო შეხება არ მქონია. ჩვენთან მხოლოდ ჯაშუშური ქსელის შესახებ იყო ინფორმაცია, თუ როგორ და ვისგან იღებდა ეს ხალხი ჯაშუშური საქმიანობისთვის გასამრჯელოს, დანარჩენს, რაც ეკონომიკურ დარღვევებს უკავშირდებოდა, გამოძიება გამოაჩენდა, მაგრამ სამწუხაროდ საქმე აქამდე არ მისულა. ზურაბ ჟვანია და სააკაშვილი ერთი გუნდის წევრები იყვნენ, მაგრამ როცა რაღაცაში ვერ შეთანხმდნენ, ჟვანია არ გამოადგათ რაღაცა საქმეში, ისიც გაწირეს. ზურაბ ჟვანიას 2004 წელს უკვე უსმენდნენ. წინა ინტერვიუში გითხარით, „აზოტის“ საქმესთან დაკავშირებით რომ შევხვდი, მაშინ ვკითხე საკუთარ დაცვის ყველა წევრს თუ ენდობოდა. გაიკვირვა, ამდენი წელია აღარ ვმუშაობ უშიშროების სამინისტროში, მაგრამ ზუსტი თარიღის მიხედვით გეტყვით, თქვენს მდივანს რა უთხარით ერთ-ერთ შეხვედრასთან დაკავშირებით (ამის ჩანაწერი არსებობდა), გისმენენ და ყურადღება მიაქციეთ-თქო. 2008 წლის აგვისტოს ომიც წინასწარ იყო დაგეგმილი, უფრო ადრე უნდა მომხდარიყო, მაგრამ მაშინდელმა უშიშროების საბჭოს მდივანმა ნუგზარ საჯაიამ ითამაშა უაღრესად დადებითი როლი, მან 2001 წლის ზაფხულში ომს გადაარჩინა საქართველო. მაშინ პანკისში იყო ჩეჩენი საველე მეთაური რუსლან გილაევი. ინფორმაცია მივიღეთ, რომ მას კავშირი ჰქონდა ერთ-ერთ ჩეჩენ ლტოლვილთან, რომელიც საფრანგეთში ცხოვრობდა. საფრანგეთისა და რუსეთის უშიშროების სამსახურებს მაშინ იმდენად კარგი ურთიერთობა ჰქონდათ, რომ რუსეთმა ამ პიროვნების შესახებ იცოდა და ცხადი იყო, მას უკონტროლოდ არ დატოვებდა. ეს პიროვნება მოგვიანებით საქართველოში ჩამოვიდა და გილაევს ეკონტაქტებოდა. პანკისიდან ინფორმაცია მივიღეთ, რომ გილაევს ჩეჩნეთში უნდოდა გადასვლა აფხაზეთის გავლით. მე და ერთი ჩემი თანამშრომელი პანკისის ხეობაში ჩავედით, თითქმის სამი საათი ვისაუბრეთ მასთან, აუცილებლად უნდა წავიდე ჩეჩნეთში, იქაური უხუცესები უკმაყოფილოები არიან, მეუბნებიან რომ აქ ვისვენებო, დაიწყო გილაევმა თავის მართლება. ჩვენც გვითხრა რომ აფხაზეთის გავლით უნდოდა რუსეთის ტერიტორიაზე გადასვლა, თავისი ხალხით წასვლაზე დავთანხმდით, მაგრამ აფხაზეთის გავლით

14 gv.



# „შედი, ქალო, „ბუტკაში“, ანუ „ტიტანომაქია“ საქართველოში



ბოლო 25 წელიწადია საქართველოში პოლიტიკურ პროცესებს ქალები წარმართავენ.

ედიკას ქალებიო – „თეთრი მანდილი“ თუ „საქართველოს გადამრჩენელი ქალები“, რომლებსაც შევარდნაძის მეუღლე წინამძღვრობდა, მერე „კარვის ქალები“, მანანა არჩვაძის ქალთა ლეგიონი და ა.შ. ამას მოჰყვა მიშას ქალები დივებად, მინისტრებად, მთავრობის წევრებად... ახლა არის და ჟურნალისტმა და პოლიტიკოსმა ქალებმა წაგვლეკეს.

ჰაგიოგრაფის მიხედვით, „დედათა ბუნებაი იწრო არს“. ამ „იწრო“ ბუნებით შეწუხებულნი, „დიდ“ საქმეებს შეჭიდებული ჩვენი ქალბატონები ტელეეკრანებიდან თუ აქციების ტრიბუნებიდან ძარღვებდაბერილი მოუხმობენ ქართველ ერს ქვეყნის გადასარჩენად, ხან რევოლუციების მოსაწყობად.

საყოველთაო ანეგდოტად იქცა ბიძინა ივანიშვილის ნათქვამი: შედი, ქალო, ბუტკაში!

შედით, ქალბატონებო, სამზარეულოებში და საძინებლებში, ჭურჭელი დარეცხეთ, იატაკი მოხეხეთ, მიიხედ-მოიხედეთ, იავნანა იმღერეთ!..

კივიან დაგეშილი არასამთავრობოების ქალები და გენდერული ბალანსის სტაბილურობაზე გრანტებს იღებენ.

რა ბალანსი, რის გენდერი. ჩვენი ქალებისგან კაცებია დასაცავი. საქართველოში ქალები მუშტს ურტყამენ მაგიდას და მძვინვარე



ლევიათანის სახით წყევლიან ყველას, ვინც მათ წინააღმდეგ სიტყვის თქმას გაბედავს.

ქალი რომ იწყევლება, ძუძუები გვლოცავენო. დაასკდათ ამ ქალებს ძუძუები ამდენი წყევლა-ლოცვით და არაა კაცი პატრონი.

დღეს (8 ნოემბერი, 2015 წელი) სოციალური ქსელით აშშ-ის ელჩის და ქართველი „ინტელიგენციის“ წარმომადგენლების ფოტოები გავრცელდა.

გაღიმებული მისტერ კელის გვერდით დგანან გიგაური, ლომჯარია, ნაცვლიშვილი, ჩუგოშვილი, ფოფხაძე... ახალი ხვაშაქი ცოქალები და კრავაი ჯაყელები. იქვე იდგა ერთადერთი კაცი – კახა კოჟორიძე, ნაზად და მოკრძალებულად.

ამორძალების ქვეყანაში იმყოფება ბატონი ელჩი და უხარია...

ჩვენ, ქართველებს, მაინცდამაინც არ გვიხარია, მაგრამ, ეგ, არაფერი...

მთავარია, ამორძალების ქვეყანაში ვცხოვრობთ.

ჩვენი ქალბატონები ძველი ამორძალებისნაირად ორლესული ხმლისა და ფარ-შუბის ნაცვლად ორკაპა ენას და მოჭარბებულ დედაკაცურ ვნებებს იყენებენ იარაღად, რომელიც, კაცმა რომ თქვას, 21-ე საუკუნის ერთ-ერთ მძლავრ იარაღად ითვლება და, უმეტეს შემთხვევაში, ამ „იარაღის“ მფლობელს და მის ქვეყანას უფრო აზარალებს, ვიდრე მტერს.

კაცებს ბალიშზე თავმიდებულებს სძინავთ.

საქართველოში კი ხელჩართული ბრძოლაა გაჩაღებული ტვინის ტრენაჟორ ქალებსა და უბრალო ქალებს შორის...

ამ „ტიტანომაქიას“ ეს ქვეყანა არ გადაჰყვეს, თორემ დაუკმაყოფილებელ, ნერვებდაწყვეტილ, ფუნქციადაკარგულ ქალებს რა დალევს საქართველოში?!.

**ირანდა კალანდაძე**
593 56 11 18

# ის, რაც დღეს საქართველოში ხდება, წლების წინ ოკეანისგაღმა დაწერილი სცენარის ნაწილია

13 gv.



გადასვლაზე კატეგორიული უარი ვუთხარით, გავაფრთხილე, რომ მხოლოდ სხვა ორი გასასვლელით გავატარებდით და საქართველოსთან აღარანაირი კავშირი აღარ ჰქონოდა. წამოვედით პანკისიდან და ოთხ საათში რუსეთიდან შიფროგრამა მივიღეთ, ინფორმაცია გვაქვს რომელი გადასასვლელებით უნდა გილაევს გადმოსვლა და ყურადღებით იყავითო. იქ მითითებული იყო ჩვენს მიერ შეთავაზებული გადასასვლელები. საუბარი ჩვენ სამს შორის შედგა, საიდან გაიგეს რუსებმა? ე.ი. გილაევი რუსეთის კაცი იყო. მან არ დაგვიჯერა, რამდენიმე დღის შემდეგ სამეგრელოდან დარეკა სამეგრელო-ზემო სვანეთის სამხარეო პოლიციის უფროსმა ელგუჯა ჯამბურიამ, გილაევი სამხედრო ნომრებიანი სატვირთო ავტომანქანებით შემოვიდა ზუგდიდში და აფხაზეთისკენ მიდისო. მან მაინც დაითანხმა გარკვეული მაღალჩინოსნები, თუმცა მათი დასახელებისგან თავს შევიკავებ, ეტყობა მოეწონათ და დაიჯერეს მავანთ გილაევის შეთავაზებული პირობა, რომ იგი თავისი რაზმით გალიდან სოხუმამდე ყველა ქალაქს გაათავისუფლებდა და მერე ჩვენ უნდა შეგვეყვანა ჩვენი ჯარი, ან ემზარ კვიციანის დაქვემდებარებაში მყოფი „მონადირე“, ან პარტიზანები და დაგვეკავებინა ეს ტერიტორია, რადგან გილაევსგთურმე ამისთვის აღარ ეცლებოდა. გადავიდა გილაევის რაზმი აფხაზეთში და ისე იარა სოხუმამდე, რომ რუსებს ერთი ტყვია არ უსვრიათ, ისინი ჩვენი საჯარისო დანაყოფების შესვლას ელოდებოდნენ. ჩვენ მივედით ბატონ ნუგზართან და ავუხსენით, რომ ჩვენი იქ შესვლა დამღუპველი იქნებოდა, რუსები სწორედ ამას ელოდნენ, როგორც კი ვინმე ჩვენიანი შევიდოდა, მაშინვე ცეცხლს გაუხსნიდნენ, დაიჭერდნენ და აჩვენებდნენ მთელ მსოფლიოს, რომ ქართველები თავს დაესხნენ აფხაზეთის ქალაქებს. ზუსტად იგივე განმეორდებოდა, რაც 2008 წელს ცხინვალში მოხდა. ნუგზარ საჯაიამ მაშინ არც ედუარდ შევარდნაძეს დაუჯერა და არც სხვა მაღალჩინოსნებს, არავის მისცა აფხაზეთში შესვლის უფლება, მან ფაქტობრივად ომს გადაგვარჩინა. ცხინვალის მოვლენები რუსეთს რომ აწყობდა აშკარაა, მაგრამ სააკაშვილის ხელისუფლებამ რატომ ჩაიდინა ეს? სააკაშვილზე ხან ამბობენ ამერკის აგენტიაო, ხან რუსეთისო, მე არცერთი ვერსიის არ მჯერა, სააკაშვილი თავისი თავის აგენტია, ვინც მეტს გადაუხდის, იმის მხარეს იქნება. ახლაც მისი გუნდი, ვინც საქართველოშია დარჩენილი და სპექტაკლებს დგამს, სად არის ამ დროს ჩვენი სპეცსამსახურები? თუ აღარ გვყავს, ესეც გვითხრან, წინააღმდეგ შემთხვევაში ეს ჯგუფი იქ გაამწესონ, სადაც მაგათი ადგილია, ხალხს ნერვებს რატომ უშლიან.




„რუსთავი-2“ გილაევის ამ ცნობილი „ლაშქრობის“ დროსაც „ფრონტის ხაზზე“ იყო. ალბათ ბევრს ეხსომება როგორ მისდევდა ამ ტელეკომპანიის ჟურნალისტი ჩართული ტელეკამერით კოდორის ხეობით აფხაზეთისკენ მიმავალ მოლაშქრეებით „დატვირთულ“ სამხედრო ავტომანქანებს და ოპერატიულად გადმოსცემდა ინფორმაციას რა დროს სად იმყოფებოდნენ. იმ პერიოდში „რუსთავი-2“-ის დამოუკიდებლობასა და ობიექტურობაში ბევრ გულუბრყვილოს ეჭვი არ ეპარებოდა და ამ დიდი ალბათობით, სახელმწიფო ინტერესების წინააღმდეგ მიმართულ ქმედებასაც „გმირობად“ უთვლიდა. მაშინ თბილისში ხუმრობდნენ, რუსები ამბობენ, რაში გვჭირდება საქართველოში სადაზვერვო საქმიანობის წარმოება, ზედმეტი ფულის ხარჯვაა, „რუსთავი-2“ კარგად გვიმყოფოს ღმერთმა, უფასოდაც მშვენივრად გვამარაგებს ინფორმაციითო. მაშინდელი პრესა იმასაც წერდა, ედუარდ შევარდნაძე რუსეთის ჯიბრზე ელაქუცებოდა რუსლან გილაევს, ხოლო როცა 2001 წელს მიხეილ სააკაშვილმა „ქუსლებზე დაბიჯება“ დაუწყო, ხელისუფლების შესანარჩუნებლად აფხაზეთში გილაევის ლაშქრობის ინსცენირება მოაწყო და იგი კოდორის ხეობაში რუსეთის სპეცრაზმს ჩააბარა, თუმცა შევარდნაძემ დაჭრილი გილაევი გადაარჩინა, ვერტმფრენი გაუგზავნაო. საეჭვოა დიდ პოლიტიკოსობაზე პრეტენზიის მქონე შევარდნაძეს არ სცოდნოდა, გილაევი რუსეთის კაცი იყო და თავიდან ბოლომდე მათ თამაშს თამაშობდა. ჩვენი რესპოდენტის მონათხრობის ფონზე, არც მისი მხრიდან გილაევის რაზმის რუსული სპეცსამსახურების ჩაბარების ვერსია ჩანს მაინ და მაინც სარწმუნოდ. ფაქტი ერთია, თუ 2001 წელს საქართველომ წინასწარ დაგეგმილი (ოღონდ ზუსტად ვის მიერ



დაგეგმილი ესაა საკითხავი) გარდაუვალი ომი როგორღაც აიცილა, 2008 წელს ხელისუფლების უჭკუობით თუ სხვა მიზეზთა გამო, ეს ვერ შეძლო. აქვე ბუნებრივად ჩნდება ეჭვი, სწორედ ამ არშემდგარ ომს ხომ არ შეეწირა ნუგზარ საჯაია, 2002 წელს ხომ აქტიურად მუსირებდა აზრი, რომ მას თავი არ მოუკლავს, შეგნებულად მოიშორეს, რასაც მალევე მოჰყვა „ხავერდოვანი გადატრიალება“. მაშინ იმასაც ამბობდნენ, ნუგზარ საჯაია რომ ცოცხალი ყოფილიყო, არავითარი რევოლუცია არ მოხდებოდაო.

**მანანა სუხიშვილი**
599 51 28 24

**ინტერვიუ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის გამგებელთან ბატონ ირაკლი კუჭავასთან.**



ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის გამგებელი, **ირაკლი კუჭავა** დაიბადა 1963 წლის 25 აპრილს. დაამთავრა მოსკოვის საინჟინრო-სამშენებლო ინსტიტუტი ინჟინერ-მექანიკოსის სპეციალობით.

1985-1988 წწ. იყო ქ. მოსკოვის საინჟინრო სამმართველოს ინჟინერი.

1993-1998 წწ. ჩოხატაურის რაიონის გამგეობის თავმჯდომარის პირველი მოადგილე.

1998 წლის მიწვევის რაიონული საკრებულოს წევრი და ფრაქციის თავმჯდომარე.

2002-2006 წწ. ფასიანი ქაღალდების ეროვნული კომისიის მთავარი ექსპერტი და აპარატის უფროსი.

2006-2008 წწ. საქართველოს საზღვაო ბანკის სალიკვიდაციო კომისიის ექსპერტი.

2010-2014 წწ. შპს. „სოკარ ჯორჯია პეტროლეუმის“ ჩოხატაურის სერვის-ცენტრის მენეჯერი.

2014 წლიდან ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის გამგებელი.

# ირაკლი კუჭავა: „მირჩევნია, გაურემონტებელ კაბინეტში ვიჯდე და ჩოხატაურს მოწესრიგებული აგრარული ბაზარი ჰქონდეს“

**- ბატონო ირაკლი, რთული დღე შემირჩევია თქვენთან სტუმრობისთვის. ვნახე, რამდენი ხალხი გელოდებოდათ მისაღებში. მოგვიყევით ჩოხატაურში არსებული მდგომარეობის შესახებ, რა სიტუაცია დაგხვდათ და რა ხდება დღეს?**

-მოგესალმებით. მართლაც ერთ-ერთი რთული დღე დაემთხვა თქვენს ვიზიტს, მაგრამ არა უშავს, სიამოვნებით გესაუბრებით ჩოხატაურზე,მის პრობლემებსა, თუ გაუმჯობესებულ მდგომარეობაზე.

აქაც, ისევე როგორც ყველგან,უამრავი პრობლემა დაგვხვდა. ამ ქვეყანაში საქმეს რა გამოლევს? ყველაფრის ერთდროულად მოგვარება შეუძლებელია,ამიტომაც მე და ჩემმა გუნდმა გადავწყვიტეთ რამდენიმე მიმართულებით განსაკუთრებული გარღვევა გაგვეკეთებინა. ეს არის, ინფრასტრუქტურა, სოციალური სფერო, ჯანდაცვა და სოფლის მეურნეობა. მინდა აღვნიშნო, რომ არცერთ პერიოდში არ განხორციელებულა ერთდროულად ამდენი პროექტი ჩოხატაურში. ჩემი არჩევის დღიდან დღემდე, ეს არის დაახლოებით 15 თვე, ჩვენ 450-მდე მცირე და საშუალო ინფრასტრუქტურული პროექტი განვახორციელეთ.

**-აღნიშნული პროექტებიდან განსაკუთრებით მნიშვნელოვანი რამდენიმე მათგანის შესახებ მოგვიყევით.**

-სიამოვნებით. შემიძლია გამოვყო რამდენიმე ძალიან მნიშვნელოვანი პროექტი, რომელთაგან ზოგი დასრულებულია, ზოგიც გარდამავალია და მომავალ წელს დასრულდება.

ჩოხატაურისთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია კულტურის სახლის მშენებლობა,რომელიც დაბის ცენტრში მიმდინარეობს. ჩოხატაური ნამდვილად იმსახურებს, რომ ჰქონდეს თანამედროვე ტიპის კინოთეატრი და თქვენი გაზეთის მეშვეობით, მინდა კიდევ ერთხელ გადავუხადო მადლობა საქართველოს მთავრობას და ასევე ჩვენი მუნიციპალიტეტის მაჟორიტარ დეპუტატს, ბატონ თემურ ჭკუასელს, რომლის დიდი ძალისხმევითაც, რასაც უდიდესი მხარდაჭერა ჰქონდა მთავრობისგან, შეფვა და ხორციელდება ეს პროექტი,რომელიც დასრულებულ სახეს 2016 წლის სექტემბერში მიიღებს.

სასიცოცხლო მნიშვნელობის არის აგრარული ბაზრის თემა. ჩოხატაურის აგრარული ბაზარი წლების განმავლობაში იყო ანტისანიტარიის ბუდე. ეკონომიკის სამინისტროს მეშვეობით აღნიშნული ტერიტორია მუნიციპალურ საკუთრებაში გადმოგვეცა, ჩვენ ეს ტერიტორია არ გავყიდეთ და არც დროებითი სარგებლობით გავასხვისეთ, პირიქით, როცა გამოცხადდა ქამრების შემოჭერის პოლიტიკა, სხვა ხარჯების შემცირებადთან ერთად, ადმინისტრაციული შენობის რემონტისთვის გამოყოფილი 100 000 ლარი, ჩვენ ამ კუთხით მივმართეთ. მირჩევნია გაურემონტებელ კაბინეტში ვიჯდე და ჩოხატაურს მოწესრიგებული აგრარული ბაზარი ჰქონდეს. უკვე ნოემბრის ბოლოს სარეაბილიტაციო სამუშაოები დასრულდება და ეს სამარცხვინო ლაქა ჩოხატაურს სამუდამოდ მოშორდება.

**- ბატონო ირაკლი, ცნობილი ფაქტია, რომ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტს წლებია აწუხებს სასმელი წყლის პრობლემა. რა ხდება ამ მიმართულებით?**



- ჩვენ დავიწყეთ მუნიციპალური განვითარების ფონდსა და ქვეყნის მთავრობასთან აღნიშნულ საკითხზე კონსულტაციები და უკვე ერთი თვეა დასრულდა ოროექტი, რომლის ფარგლებშიც დაბა ჩოხატაურისთვის მოეწყო თანამედროვე ტიპის წყლის სატუმბი სისტემა საქლორატოროთი. „გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიამ" 1100 მეტი ოჯახი დაარეგისტრირა აბონენტად და 99%-ზე მეტი უკვე იღებს წყალს შეუზღუდავად. დარჩენილია ძალიან მცირე ნაწილი მოსახლეობის, რომელთა აბონენტად აყვანაც მოხდება უახლოეს მომავალში და პროექტიც საბოლოოდ დასრულებულ სახეს მიიღებს.

**-სოფლის მეურნეობა - ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრიორიტეტი, მთლიანად ქვეყნის მასშტაბით. ვიცით, რომ მიმდინარეობს მცირე მეწარმეების ხელშეწყობის პროგრამა. როგორი განვითარება აქვს მუნიციპალიტეტში აღნიშნული ტიპის პროგრამებს და რა ხდება ჩოხატაურის სოფლის მეურნეობაში?**

- მნიშვნელოვან პროექტებს შორის გამოვყოფდი თანამედროვე ტიპის გადამამუშავებელ საწარმოს, რომელიც კერძო კომპანიამ გახსნა ჩოხატაურში. აღნიშნული საწარმო უშვებს 7 დასახელების პროდუქციას და დასაქმებული ჰყავს 35 ადამიანი. როგორც ჩემთვის ცნობილია, მომავალ წელს იგეგმება საწარმოს გაფართოვება და კიდევ უფრო მეტი ადამიანი დასაქმდება.

ასევე აღსანიშნავია, ჩვენი მხრიდან მცირე მეწარმეებისთვის ხელშეწყობა. „აწარმოე საქართველოში“-ს რა ეგ, მუნიციპალიტეტი იღებს ვალდებულებას და თავის თავზე იღებს მეწარმეთა დატრენინგებას, მათ ინფორმაციულ უზრუნველყოფას, მეთოდოლოგიურად მათთვის გარკვეული მიმართულების მიცემას. ამ პროგრამის ფარგლებში აღმოვაჩინეთ ქალბატონი, რომელსაც აქვს საოჯახო საამქრო და აწარმოებს მაკარონს. ჩვენ იგი მოვიწვიეთ და ჩავრთეთ აღნიშნულ პროგრამაში. დავეხმარეთ პროექტის შექმნაში. მან ორი ეტაპი წარმატებით გადალახა და მალე დაფინანსებას მიიღებს. შეიქმნება კიდევ ერთი საწარმო, რომელიც შექმნის დამატებით სამუშაო ადგილებს.

საერთოდ, მინდა სიამაყით განვაცხადო, რომ ეს ხელისუფლება ახორციელებს ზუსტად იმ პროექტებს და პროგრამებს, რაც ჩვენს ქვეყანას სამომავლოდ ყველაზე მეტად წაადგება.

ჩვენ ადგილობრივი ბიუჯეტიდან მძიმე საცხოვრებელ პირობებში მყოფ 103-ზე ოჯახს დავეხმარეთ ფინანსურად. 400-ზე მეტი ასეთი ტიპის განცხადება დამხვდა და შეუძლებელია ყველას ერთდროულად დავეხმაროთ. შევქმენით კომისია, დავიწყეთ ამ პრობლემის ნაწილ-ნაწილ მოგვარება და ნელ-ნელა ყველას დავეხმარებით.

ჩვენ განსაკუთრებულ ყურადღებაა ვაქცევთ ახალგაზრდობას, იმიტომ რომ მთავარი რესურსი ჭკვიანი, წარმატებული და მოტივირებული ახალგაზრდებია. წელს ჩოხატაურელ გოგონას, რომელმაც დიზაინერთა საერთაშორისო კონკურსზე გაიმარჯვა, პარიზის შოუ-რუმზე გამგზავრების ხარჯები მუნიციპალიტეტმა დაუფინანსა. ასევე ფინანსურად დავეხმარეთ კიდევ ერთ გოგონას,რომელმაც ვოკალისტთა კონკურსში გაიმარჯვა და ჰამგზავრებას ვერ ახერხებდა.სამომავლოდ კიდევ უფრო წავახალისებთ წარმატებულ მოსწავლეებსა და ახალგაზრდებს.

**- დაზღვევამ აშკარად გაამართლა და ჯანდაცვის სფეროში განხორციელებული რეფორმები მკვეთრად დაეტყო ქვეყნის მასშტაბით მუნიციპალიტეტებს. ალბათ არც ჩოხატაურია ამ მხრივ გამონაკლისი...**

- 2013 წლამდე ჩოხატაურში არსებობდა ერთადერთი სამედიცინო დაწესებულება ამბულატორიულ-პოლიკლინიკური გაერთიანება, რომელიც წინა ხელისუფლებამ სიმბოლურ ფასად ებრაულ კომპანია „ადითზე" გაასხვისა და იყო მართლაც აუტანელი, კატასტროფული მდგომარეობა. დღეისთვის კი დაბაში ორი თანამედროვე ტიპის კლინიკა ფუნქციონირებს, ორივე არის კერძო სტრუქტურა,მაგრამ მაღალანარაურებადი, მაღალკვალიფუციური ექიმები საყოველთაო დაზღვევის ფარგლებში დახმარებას უწევენ მუნიხილაპიტეტის მოსახლეობას. ხშირ შემთხვევაში აღნიშნული პროგრამით 100 %-იანი დაფინანსება ხდება, ხოლო, როცა არის 70%-იანი დაფინანსებების შემთხვევა, დანარჩენ 30%-ს მუნიციპალიტეტი რიცხავს. ასე რომ, ახლა აღარ ეშინია ადამიანს, რომ უფულობის გამო მას გაწირავენ.



**- არ შემიძლია არ გკითხოთ ბახმაროს შესახებ, სადაც როგორც ვიცი, გარკვეული ტიპის პრობლემები არსებობს...**

- ბახმარო ჩვენი, და არა მარტო ჩვენი, სიამაყეა. მისი ტურისტული პოტენციალი ჯერ კიდევ ასამოქმედებელია. ბევრ ადამიანს უყვარს ბახმარო, არა მხოლოდ ჩოხატაურლებსა და არა მხოლოდ გურულებს. მაგრამ არის მართლაც გარკვეული ტიპის პრობლემები. მუდმივად იყო აქ სანიტარული პრობლემა, არ არსებობს დღემდე საკანალიზაციო სისტემა, ცალკე პრობლემაა კიდევ ელექტროენერგიის საკითხი, არ არის გაზი და ასე შემდეგ. წლების განმავლობაში ვერ ხერხდებოდა კურორტიდან ნაგვის გატანა. ვარ ეს პეობლემა ცოტათი გამოვასწორეთ. ნაგავმზიდების და ნაგვის ურნების პრობლემა საერთოდ მუნიციპალიტეტის მასშტაბით დგას. თუმცა მომავალ წელს ჩვენ ვგეგმავთ კიდევ ორი თანამედროვე ტიპის ნაგავმზიდის შეძენას, რითაც მოვაგვარებთ ნაგვის გატანის პრობლემას. ასევე ბახმროში პრობლემაა ელექტროეერგიის არა მხოლოდ მიწოდება, სწორად განაწილებაც. რადგან მოსახლეობია უმრავლწსობას დაკანონებული არ აქვთ საკუთრებაში მიწის გართობები და შენობა-ნაგებობები,შესაბამისად ვერ ხდწბა მათი აბონენტებად აყვანა. „ენერგო-პრო-ჯორჯიასთან“ მიმდინარეობს ამ საკითხზე მოლაპარაკებები. ჩვენი წარმომადგენელი უკვე 2 ჯერ დაესწრო სემეკის სხდომას, სადაც კიდევ ერთხელ ვითხოვეთ ამ პრობლემის მოგვარება.

ჩვენ გვაქვს თხოვნა მთავრობის მიმართაც, იქნებ მომავალი წლისთვის დაიდოს ბახმაროს განაშენოანების გეგმა. რაც შეეხება ბახმაროში საკუთრების ლეგალიზაციას, განახლდა საკუთრების ლეგალიზაციის კომისია. ყველას, ვისი სახლი ან ნანგრევებიც 2007 წლამდე პერიოდისაა, შეუძლია მოგვმართოს განცხადებით, კომისია განიხილავს და თუ მითითებულ ნორმებს აკმაყოფილებს, უპრობლემოდ მოხდება მისი დაკანონება.

**-როგორია მუნიციპალიტეტის სამომავლო გეგმები, რის გაკეთებას აპირებთ და რას უნდა ელოდოს მოსახლეობა ადგილობრივი ხელისუფლებისგან?**

- სამომავლოდ ვაპირებთ იგივე მიმართულებით გავაგრძელოთ მუშაობა. თუ მაგალითად, წელს უფრო მეტად თანხები დაიხარჯა დაბა ჩოხატაურზე, 11 ქუჩა მოასფალტდა, რაც არასდროს არ მომხდარა. მომავალ წელს უფრო მეტ პროექტს განვახორციელებთ სოფლებში. აღვადგენთ კულტურის სახლებს, იქ სადაც აღდგენას დაქვემდებარებული შენობებია შემორჩენილი.

ამ დღეებში გაირკვა, რომ გურიის მუნიციპალიტეტის ერთობლივმა პროექტმა ევროკავშირის გრანტი მოიპოვა და 370 000 ევრო გურიის ტურისტული პოტენციალის სრულად გამოვლინებას მოხმარდება. ამ პროგრამის ფარგლებში განხორციელებული პროექტები ტურისტებას უფრო მეტად მოიზიდავს.

**ელენე გურგენაძე**
557 71 55 68

## მსოფლიო პრესის მიხედვით

# სამხრეთ კავკასიის ენერგია

**ამერიკული სადაზვერვო-ანალიტიკური კომპანია Stratfor (Strategic Forecasting) წერს იმის თაობაზე, თუ რა გავლენას მოახდენს კავკასიაზე ახლახან ირანთან დადებული შეთანხმება ბირთვული პროგრამის შესახებ. ამის ფონზე ჩნდება კითხვები: რა პერსპექტივები აქვს ირანულ გაზს ამიერკავკასიაში? რა შედეგებს მოიტანს „გაზპრომის" გავლენის გაძლიერება ამ ქვეყნებში? ირანთან თანამშრომლობის გამყარებით, ხდება თუ არა რუსეთი საქართველოსა და სომხეთში ირანული გაზის მთავარი ექსპორტიორი?**

ბოლო წლებში „გაზპრომი" ცდილობს გაამყაროს თავისი გავლენა სამხრეთ კავკასიის ქვეყნებში და ეს აქტიური მცდელობები უკავშირდება ირანისთვის სანქციების მოხსნას. საქართველოსა და სომხეთში უკვე ლაპარაკობენ ამ დარგში ირანთან შესაძლო თანამშრომლობის შესახებ, რაც ძალიან არ მოსწონს რუსეთს. საქართველოს ენერგეტიკის მინისტრმა კახი კალაძემ დაადასტურა, რომ „გაზპრომთან" მოლაპარაკებები მიმდინარეობს გაზის კომერციულ მიწოდებაზე. თავის მხრივ სომხეთის მთავრობამაც დაადასტურა, რომ რუსული კომპანია ირანიდან ელექტროენერგიის მონოპოლისტი ექსპორტიორი იქნება. ენერგეტიკული ბალანსის ამგვარი განვითარება და შექმნილი გარემოებები როგორ



აისახება ორივე ქვეყნის ეკონომიკაზე და მათს საგარეოპოლიტიკურ ვექტორზე?

სომხეთს აქვს გაზსადენი ირანი-სომხეთი, რომელიც იმავე „გაზპრომს" ეკუთვნის, ანუ ამ გაზსადენით წამოსული გაზი ისევ რუსეთს მოუტანს სარგებელს. რუსეთს შესანიშნავად ესმის, რომ უახლოეს ხანში ირანული გაზის უდიდესი მარაგი დააზარალებს მას, როგორც მსოფლიოსთვის გაზის მიმწოდებელ ქვეყანას. ამიტომაც ცდილობს ირანთან თანამშრომლობის დალაგებას და ბოლოდროინდელი მოვლენებიც ამაზე მეტყველებს. იმავდროულად, გასათვალისწინებელია ისიც, რომ ირანული გაზი მაინც რუსული გაზსადენებით უნდა მიეწოდოს სომხეთსაც და საქართველოსაც.

ირანისთვის უფრო ხელსაყრელია თავისი ენერგომატარებლების ექსპორტის დივერსიფიკაცია. თურქეთის გავლით გაზის ექსპორტი გადის რთულ რეგიონებზე, სადაც ძირითადად ქურთები ცხოვრობენ. ირანი ევროპისთვის გაზის მიწოდებას უწყვეტად ვერ შეძლებს, თუკი მარშრუტი თურქეთზე გაივლის. ასეთ ვითარებაში სომხეთი თუ ვერ გახდება ერთადერთი პროვაიდერი ევროპისთვის, სულ ცოტა თურქული მილსადენის სერიოზული ალტერნატივა მაინც იქნება.

სომხეთ-ირანს შორის მიღწეული შეთანხმებით, უნდა აშენდეს ელექტროგადამცემი ხაზი. რუსეთმა მოახერხა და „გაზპრომის" მეშვეობით მოიპოვა უფლება, ამ ხაზით ელექტროენერგიის ექსპორტი მოახდინოს, შემდგომში მან დაისაკუთრა მილსადენის ის ნაწილი, რომელიც სომხეთს ირანის საზღვართან აკავშირებს.

ცნობილია, რომ ეს მილსადენი სრულად დატვირთული არ არის და ვერ იყენებს თავის მაქსიმალურ შესაძლებლობებს. როცა სრული დატვირთვით ამუშავდება, ირანული გაზი დააკმაყოფილებს სომხეთის მოთხოვნებს და სომხეთიდან გაზის ექსპორტის შესაძლებლობასაც გააჩენს. ბევრი რამ დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ განვითარდება მოვლენები რუსეთში, აგრეთვე, ირანსა და დასავლეთს შორის.

Stratfor-ი წერს, რომ ეკონომიკური სანქციებისგან გათავისუფლებული ირანი მჭიდრო ურთიერთობებს დაამყარებს სომხეთთან და გამოიყვანს მას რუსეთის გავლენის ზონიდან. კრემლი ცდილობს სომხეთის პოლიტიკაში ჩააბას თავისი წარგზავნილები – რუსეთში გამდიდრებული ოლიგარქები, რომელთა ხელშიც არის ელექტროენერგეტიკის სტრატეგიული ობიექტები.

ახლახან საქართველოსა და სომხეთის პრეზიდენტები – გიორგი მარგველაშვილი და სერჟ სარგსიანი თბილისში შეხვედრისას მსჯელობდნენ გაზის სატრანსპორტო მაგისტრალების (მათ შორის ირანიდან) მშენებლობისას ურთიერთქმედების შესახებ. ამ შეხვედრის შემდეგ არაფერი თქმულა შედეგებზე, ამიტომაც ექსპერტები ორ ვარიანტს განიხილავენ:

საქართველომ უნდა გააკეთოს არჩევანი ან ირანული, ან აზერბაიჯანული გაზის სასარგებლოდ. რუსეთი შეეცდება, თავისი სარგებელი ნახოს როგორც ერთი, ისე მეორე მიმართულებით. ანუ: პირველ ვარიანტში ირანული გაზი მაინც რუსული მილსადენით უნდა მიეწოდოს საქართველოს, მეორე ვარიანტშიც აქვს რუსეთს საიმისო ბერკეტები, რომ აზერბაიჯანული გაზის მიწოდებითაც იხეიროს.

ამჯერადაც ისე, როგორც ყოველთვის ხდება ხოლმე, როცა ენერგომატარებლების პრობლემა ჩნდება – საქართველოში აზერბაიჯანული გაზიც და რუსული გაზიც საკითხის გადაწყვეტის არა ენერგეტიკული, არამედ პოლიტიკური ჭრილია. რუსეთის ინტერესები სამხრეთ კავკასიაში ენერგეტიკის მეშვეობითაც რეგულირდება.

# ირანი უთანასწორო გაზის ბრძოლაში ჩაბმას ცდილობს

**ირანს სერიოზული მიზნები აქვს ევროპული ბაზრისთვის ბრძოლაში. თავის ტერიტორიაზე საწვავის მოპოვების შემცირების გამო ევროპა მზად არის, შეისყიდის გაზი ნებისმიერი ქვეყნისგან. გაზის მოხმარების პრობლემა განსაკუთრებით გამწვავდება 2017 წლიდან, როცა ევროკავშირი უარს იტყვის ნახშირზე მომუშავე ძველი ელექტროსადგურების ექსპლუატაციაზე – ყველა გაზით მომარაგების რეჟიმზე უნდა გადავიდეს.**

ამგვარ სრბოლაში ირანის ჩაბმა „უთანასწორო ბრძოლაა", რადგან ამ ქვეყანას ევროპაში მილსადენები არ გააჩნია, ისევე როგორც უცხოური ინვესტიციები და შეთანხმებები ასეთი ინფრასტრუქტურის მშენებლობისათვის. BP-ის მონაცემებით, ირანს გაზის ყველაზე დიდი მარაგი აქვს მთელს მსოფლიოში, მაგრამ ევროპული გაზის ბაზრისთვის ბრძოლაში ჩამორჩება, განსაკუთრებით კი რუსეთს.

ამ დღეებში ირანის შესაბამისი პროფილის მინისტრის მოადგილემ ჰოსეინ ზამანინიამ განაცხადა, რომ თეირანი მზად არის მიჰყიდოს გაზი ევროპას, ეკონომიკური თვალსაზრისით ეს თუნდაც მოგებიანი არ იყოს. „ეკონომიკური ურთიერთობები გარკვეული პოლიტიკური კავშირებისთვის გვჭირდება", – დაუფარავად განაცხადა მან.

როგორც ჩანს, ირანს სურს გაზი გამოიყენოს ფარად შესაძლო საერთაშორისო სანქციებისგან თავდასაცავად, რადგან: „როცა ეკონომიკური ურთიერთობები მტკიცდება, პოლიტიკურ უთანხმოებებს საფუძვლები ეცლება და მორიგი სანქციების შანსსაც ამცირებს". ასეთი განცხადებებით ირანი მსოფლიოს აგებინებს თავის სურვილს, მიიღოს წილი ბაზარზე. და თუნდაც არამოგებიანი იყოს ეს წილი პირველ ეტაპზე.

ასეთსავე მდგომარეობაშია საუდის არაბეთი, რომლის ბიუჯეტი დაქცევის პირასაა ნავთობის დაბალი ფასის გამო (ერთი ბარელი – 60 დოლარი|), მაგრამ მაინც არ ამცირებს მოპოვების მასშტაბს, რათა არ დაკარგოს თავისი წილი ბაზარზე. ფასს ოდნავ რომ მოუმატოს, მის ადგილს უმალ საწვავის სხვა მომპოვებლები დაიკავებენ.

ევროპაში ირანის გაზის იმპორტის შესაძლებლობა გაახსენდათ რუსეთ-უკრაინის კონფლიქტის შემდეგ. მაგრამ ამას ხელს უშლიდა სანქციები, ბირთვული პროგრამა. გარდა ამისა, გაურკვეველია, საიდან უნდა მოიპოვოს ირანმა მილსადენების ასაშენებლად საჭირო სოლიდური თანხები. ევროპელთაგან ვინ დადებს კონტრაქტებს და შეისყიდის გაზს საერთაშორისო მორატორიუმის პირობებში. ევროპელებს ყოველთვის აინტერესებდათ ირანული გაზი, მაგრამ საეჭვოა მათ ფული დააბანდონ ამ საქმეში. ისინი დაელოდებიან, ვიდრე ირანელები თვითონ იპოვიან პრობლემის მოგვარების საშუალებებს.

ირანის მეზობელ თურქეთში შენდება გაზსადენი TANAR



იმისთვის, რომ 2020 წლიდან აზერბაიჯანული გაზი მიეწოდოს ევროპას. გეოგრაფიული და ეკონომიკური მიზეზების გათვალისწინებით, თურქეთის მეშვეობით ირანული გაზის ევროპისთვის მიწოდება უფრო უპრიანია. დიდი ხნის წინ, ვიდრე ბირთვული პროგრამის გამო ხმაური ატყდებოდა, ირანს ჰქონდა იდეა, თურქეთის გავლით თავისი გაზსადენი აეშენებინა ევროპისთვის, მაგრამ იდეა ქაღალდზე დარჩა – საკუთარი ხარჯებით წელიწადში 40-მილიარდი კუბმეტრი სიმძლავრის მილსადენის მშენებლობა, სანქციების პირობებში უფრო უარესია, ვიდრე გაზის გაყიდვა „პოლიტიკური კავშირების შესაქმნელად".

როგორ უნდა მოიქცეს ირანი? შეიძლება იყიდოს TANAR-ის წილი ან დაელოდოს ამ მილსადენის მშენებლობის დამთავრებას და შემდეგ, როცა ყველაფერი მზად იქნება, მიუერთდეს მას. რასაკვირველია, ჩნდება ბევრი შეკითხვა, მაგალითად, მოინდომებენ კი TANAR-ის ახლანდელი აქციონერები – აზერბაიჯანის SOCAR, ბრიტანული BP ან თურქული BOTAS მიჰყიდონ თავიანთი წილი ირანს. ხომ შეიძლება, ახალ აქციონერს გაზის საფასურზე სხვა წარმოდგენა ჰქონდეს? TANAR-ში წილის არსებობა ძირეულად არაფერს გადაწყვეტს. ირანი ახალი მასშტაბური მილსადენის მშენებლობაზე უნდა დაფიქრდეს და თავისი პოლიტიკური პოზიციებით ინვესტორთა კეთილგანწყობა მოიპოვოს. პოლიტიკურ ძალთა ბალანსის ახალ პირობებში ირანს ახალი პოზიციები სჭირდება, პოზიციები, რომლებმაც უნდა შეცვალოს ურთიერთობა ჩრდილოეთ მეზობლებთანაც და ევროპულ სახელმწიფოებთანაც. მით უმეტეს, რომ ხუთ წელიწადში გაზის მოპოვების 400 მილიარდ კუბმეტრამდე გაზრდას გეგმავს (ახლანდელი მაჩვენებელი 170-175 კუბმეტრია). თანდათან გაზზე მოთხოვნილება ქვეყნის შიგნითაც გაიზრდება, მაგრამ მოპოვებული ნედლეულის ნახევარი უნდა მიჰყიდოს ევროპას, ინდოეთს, ჩინეთს. ყველა ამ მიმართულებით მას მილსადენები სჭირდება.

შარშან რუსეთი ევროპას გაზს აძლევდა 345 დოლარად, თურქეთს კი – 425 დოლარად. გაზის მაღალი ტარიფის გამო რუსეთს 1,2 მილიარდით მეტი გადაუხადა და ეს თანხა მოსახლეობის ჯიბიდან გადაიხადა. ამიტომაც თურქეთი დაინტერესებულია, რუსეთის გარდა გაზის მიმწოდებელი სხვა წყარო გაუჩნდეს. ასეთ სიტუაციაში „გაზის ბრძოლაში" ირანთან ერთად რუსეთსაც მოუწევს ჩაბმა, ოღონდ ეს სამომავლოდ, როცა ირანი საკუთარ მილსადენებს ააშენებს.

# „ანანერბე“

ჩვენამდე მოღწეული კაცობრიობის ისტორიის ნამდვილობის მრავალი ფურცელი ხშირად ეჭვქვეშ დგება. სხვადასხვა წყაროებიდან ცნობილი გახდა, რომ ალექსანდრე მაკედონელის, ჩინგის ყაენის, ნაპოლეონის, ჰიტლერის და სტალინის ინტერესთა სფეროს „საიდუმლო ცოდნა“, ტიბეტი, ჰიმალაი, შამბალა წარმოადგენდა. ისტორიას გამარჯვებულები წერდნენ და ხშირ შემთხვევაში სიმართლეს წლები რეცხავდნენ. გასული საუკუნის დასაწყისის ისტორიაც ბურუსით არის მოცული. დღემდე ჟრუანტელი უვლის დასავლეთს სტალინის ხსენებაზე, არც ერთ სახელმძღვანელოში არ წერია, რომ ჰიტლერი ოკულტიზმის და მაგიის დახმარებით მოვიდა ქვეყნის სათავეში, არც ის იყო ცნობილი, რომ ჰიტლერი ნარკოდამოკიდებული იყო, ვიდრე მისმა პირადმა ექიმმა სასამართლოზე არ განაცხადა ეს. არადა, საზოგადოებაში მუსირებდა აზრი, რომ ის ნარკომანიის და ნარკოდამოკიდებულების დაუძინებელი მტერი იყო.

მეოცე საუკუნის დასაწყისში იატაკქვეშეთში მუშაობდნენ სხვადასხვა ოკულტური ორდენები, როგორც რუსეთის, ასევე გერმანიის ტერიტორიაზე...


ჰერმან ვირტი

ერთ-ერთი ორგანიზაცია, რომელიც თავიდან ოკულტური არ იყო, მაგრამ შემდეგ მეცნიერების, კულტურის, ისტორიის, ხელოვნების ოკულტიზმის და სხვა მიმართულებების კვლევით დაკავდა, გახლდათ „ანენერბე“. მისი ისტორია 1928 წლიდან იწყება, როდესაც გერმანიაში დაიბეჭდა ჰერმან ვირტის წიგნი: „კაცობრიობის წარმომავლობა“. **ჰერმან ვირტმა** წამოაყენა იდეა, რომ კაცობრიობას ჰყავდა ორი პროტორასა: ნორდული – ჩრდილოური (სულიერი, სულიერ სიმდიდრეთა და ცივილიზაციათა შემქმნელი, რომელთაც გააჩნიათ სისხლის I ჯგუფი) და სამხრეთული (რომელსაც ახასიათებს შური, ბოროტება და ჩრდილოელთა რასის მიღწევათა კოპირება. მას გააჩნია სისხლის II ჯგუფი).

რასების შერევის გამო გაჩნდა სისხლის III ჯგუფი. მაგრამ ვირტმა ვერ შესძლო განესაზღვრა ერის ხასიათი, რომელსც გააჩნდა სისხლის IV ჯგუფი, რომელიც ახასიათებთ უნგრელებს, ბოშებსა და უკრაინელებს.

1931 წელს ვირტმა ააშენა სასახლე „ჰაუს ატლანტიკ“, რომელშიც თავისი არქეოლოგიური მონაპოვრები განათავსა. 1933 წ. ვირტმა გერმანიაში მოაწყო გამოფენა „გერმანელ



წინაპართა მემკვიდრეობა“, სადაც შეკრებილი იყო სხვადასხვა ექსპონატი, რომელთა ასაკი, ვირტის აზრით, 12 000 წელი იყო. გამოფენამ დიდი გამოხმაურება ჰპოვა გერმანიაშიც და საერთოდ, მთელ დასავლეთ ევროპაში. განსაკუთრებული ყურადღება მიაპყრეს მას მეცნიერებმაც. გამოფენის დახურვის შემდეგ, იმავე 1933 წელს გერმანელი პროფესორის, ჰილცშერის სახელზე დარეგისტრირდა კერძო ორგანიზაცია „ანენერბე“.

1933 წ. გამოფენას ეწვია სს-ის რეიხსფიურერი ჰიმლერი, რომლის შემდეგ ვირტმა მიიღო ოფიციალური წინადადება ეწინამძღვრა მეცნიერული ინსტიტუტისთვის, რომელსაც „ანენერბე“ უნდა დარქმეოდა და რომელიც **SS**-ის სტრუქტურაში იგეგმებოდა. **SS** მიზანი იყო ჰიტლერის პირადი დაცვა და შემტევ რაზმთა შემადგენლობაში შედიოდა.

1934 წლიდან **SS**-ი გამოეყო მებრძოლ რაზმებს და პირადად ჰიტლერისა და **SS**-ის რეიხსფიურერის ჰიმლერის განკარგულებაში გადავიდა. 1939 წლის დეკემბერს **SS**-ის შემადგენლობა ითვლიდა 243,6 ათას ადამიანს. 1934 წლის დეკემბერიდან დაიწყო **SS**-ის ნაწილების გაძლიერება, რომელმაც 1940 წლისთვის **SS**-ის არმიის სახელწოდება მიიღო (1945 წლის მარტისთვის ამ სამხედრო შენაერთის შემადგენლობაში ირიცხებოდა 830 ათასი ადამიანი).

სწორედ ჰიმლერმა დაუჭირა მხარი და განავითარა ნორდული რასის იდეა. ის ამტკიცებდა, რომ ნორდულ რასას გააჩნია განსაზღვრული ფსიქიკური თავისებურებები, რომლებიც სხვა რასებში არ შეიმჩნევა. თანაც ჰიტლერი თავიდან ძალზე სკეპტიკურად ეკიდებოდა ჰიმლერის ამ გატაცებას და მას სახელმწიფო სახსრების ფუჭ ფლანგვად მიიჩნევდა. მაგრამ შემდეგ ვითარება რადიკალურად შეიცვალა. ჰიტლერი თავისი ერისთვის ახალი ეკლესიის შექმნის იდეამ შეიპყრო. 1934 წ. ამ იდეის განხორციელება მან **ჰიმლერს** და მის მიერ კურირებულ ორგანიზაცია „ანენერბეს“ მიანდო.

პროექტის უშუალო შემსრულებელი გახდა ღვთისმეტყველების პროფესორი ერნც ბერგმანი. ახალი გერმანული ეკლესიის საფუძვლად აღებულ იქნა შემდეგი იდეა:

ბერგმანის თეორიის თანახმად, ძველი აღთქმა (ბიბლია) არ იყო საჭირო ახალი გერმანიისთვის, რადგან ის ამახინჯებდა ქრისტეს ხატს, რადგან იესოს მსოფლიო უნდა ეხსნა ებრაული საფრთხისგან. ამის გამო ის მტრებმა ჯვარზე გააკრეს. რადგან ქრისტე ძალზე პოპულარული იყო იმ პერიოდში, ქრისტეს მიმდევარმა ებრაელებმა მიისაკუთრეს ამ გმირის სახელი. თითქმის 2000 წელი ახერხებდნენ ებრაელები მსოფლიოს გაბითურებას, მაგრამ, აი, მოვიდა ახალი მესია - ადოლფ ჰიტლერი, რომელიც გაწმენდს მსოფლიოს ებრაელთა ჰეგემონიისგან.

მაგრამ, ამაზე არ შეჩერებულა ახალი, გერმანული ეკლესიის იდეა. რადგან ქრისტიანობა არსებობდა ქრისტემდეც (ნაცისტების აზრით) წმიდა და აღთქმული მიწა ქრისტიანთათვის არის არა პალესტინა, არამედ გერმანია. გერმანული მიწა, გერმანული სისხლი, სული და ხელოვნება, – ყველაფერი გერმანული წმიდა და საღვთოა.

ახალი გერმანული რელიგიის შექმნის იდეა მოეწონა ჰიტლერს და მისი რეალიზაციისთვის, საჭირო სამუშაოების მასშტაბის გათვალისწინებით, 1935 წლის 10 ივლისს **SS**-ის სტრუქტურებში ოფიციალურად შეიქმნა სამეცნიერო ორგანიზაცია „ანენერბე“.

„ანენერბეს“ ხელმძღვანელობდნენ: **ჰიმლერი, პროფ. კ. ჰაუსჰოფერი, რასოლოგი რ.ვ. დარე და პროფესორი ვირტი**. ამ პერიოდში „ანენერბე“ „გერმანული სულიერი პრეისტორიის შემსწავლელ საზოგადოებად“ იწოდებოდა. „ანენერბეს“ წესდებით გამიზნული იყო, შეესწავლათ ნორდული ინდო-გერმანელების არეალი, სული და მემკვიდრეობა და გამოექვეყნებინათ ეს გამოკვლევები.

„ანენერბეს“ დაფინანსება თავიდან ხორციელდებოდა სახელმწიფო ბიუჯეტიდან ფიზიკურ და იურიდიულ პირთა დახმარების ხარჯზე.

იმის შემდეგ, რაც გაშალა თავისი თავდაპირველი სტრუქტურა, „ანენერბემ“ საკუთარი სტატუსიც აამაღლა და მესამე რაიხში მას ახალი და კონკრეტული ამოცანები დაეკისრა. კერძოდ, „ანენერბე“ უნდა გამხდარიყო: არა მარტო **SS**-ის, არამედ მთელი მესამე რაიხის ინტელექტუალური ცენტრი.. განეხორციელებინა საკუთარი სადაზვერვო საქმიანობა სხვადასხვა მიმართულებითა და თემებით, რომელიც აქტუალური იქნებოდა როგორც **SS**-ის, ასევე გერმანიის ნაციონალურ-სოციალისტური პარტიისთვისაც. დაეგროვებინა და დაემუშავებინა ინფორმაციის დიდი მასივები, რომლებიც ხელს შეუწყობდნენ ნაცისტების ძალაუფლების გაძლიერებას. ყოფილიყო გერმანიის სხვა სპეცსამსახურთა წარმომადგენლების თავშესაფარი სტრუქტურა.



1935 წელს „ანენერბეს“ ცენტრალური ოფისი ქ. ბერლინში განთავსდა.

ანენერბეს ყველა თანამშრომელისთვის დაწესდა აუცილებელი პირობა - ჰქონოდათ სამეცნიერო ხარისხი.

1937 წ. ორგანიზაცია „ანენერბეს“ მეთაური გახდა **SS**-ის რეიხსფიურერი ჰიმლერი, მაგრამ, ფაქტობრივად, მისი ხელმძღვანელები იყვნენ პროფესორები ვალტერ ვიუსტი და ვოლფრამ ზივერსი.

1937 წლის მარტში მიღებული იქნა ახალი განაწესი, ამჯერად უკვე როგორც „შშ-ანენერბესი“.

სწორედ მაშინ ჩამოყალიბდა ორგანიზაციის სტრუქტურაც.

უნდა ითქვას, რომ ის იცვლებოდა, მაგრამ 1945 წლის მდგომარეობით მის შესახებ ცნობილია, რომ ის შედგებოდა 50-მდე განყოფილებისგან. ადვილი წარმოსადგენია, გერმანული პედანტურობით როგორ შეისწავლებოდა და მუშავდებოდა ყველა ის საკითხი, რომელიც „ანენერბეს“ ინტერესების სფეროში შედიოდა.

1943 წელს ბერლინის დაბომბვების დაწყების შემდეგ მიღებული იქნა „**SS**-ანენერბეს“ ბავარიაში, კერძოდ, ქ. ბაიროიტში ევაკუაციის გადაწყვეტილება. 1945 წლის იანვარში დაიწყო „ანენერბეს“ საქმიანობის კონსერვაცია. განყოფილებათა უმეტესმა ნაწილმა თავისი დოკუმენტები გაანადგურა. ხოლო ისინი, რომელთაც განსაკუთრებული ღირებულება გააჩნდა, საიდუმლო საცავებში გადამალეს.


ჰაინრიხ ჰიმლერი

მაგრამ დარჩნენ თანამშრომლებზე დაიწყო ნამდვილი ნადირობა.

ამერიკელებმა მოახერხეს და შეიპყრეს პროექტ „კონკორდიის“ თანამშრომლები, რომლებიც შემდეგ აშშ-ში გადაიყვანეს სამუშაოდ, მათ შორის „კონკორდიის“ ხელმძღვანელი კიზინგერი, გფრ-ის მომავალი ფედერალური კანცლერი.

„**SS**-ანენერბეს“ სწორედ ეს პროპაგანდისტული განყოფილება გადაკეთდა შემდეგ აშშ-ს პროპაგანდის შტაბად ცივი ომის დროს. ამერიკელები ფლობდნენ ასევე პროექტ „ტორ“-ის საიდუმლოებებს, რომელიც ფსიქოტრონული იარაღის შექმნას გულისხმობდა.

**(გაგრძელება იქნება)**

**მოამზადა**
**ქეთევან ზარნაძე**
**599 52 60 30**







# კროსვორდი





შვეულად: 1. ვერტიკალური ან დახრილი პატარა მიწისქვეშა გვირაბი ვენტილაციისათვის. 2. თევზის ხიზილა, გახმარი ან რაიმე გადამუშავებული. 3. ავანტიურა. 4. [illegible]. 5. ასეთი ფოტოსურათზეა. 6. [illegible]. 7. [illegible]. 8. [illegible]. 9. ტარიანი ხანჯალი. 10. [illegible]. 12. ახალი, ნორჩი [illegible]. 13. [illegible]. 14. [illegible]. 15. ასეთი ფოტოსურათზეა. 16. [illegible]. 17. ნელი, ზანტი. 18. მახინჯი, [illegible]. 19. [illegible]. 20. [illegible]. 21. [illegible]. 22. [illegible]. 24. [illegible]. 25. [illegible]. 26. ... ანსამბლი.

თარაზულად: 1. [illegible]. 2. [illegible]. 5 [illegible]. 7. [illegible]. 9. [illegible]. 11. [illegible]. 12. [illegible]. 13. [illegible]. 14. [illegible]. 15. [illegible]. 17. [illegible] ... 19. [illegible]. 21. [illegible]. 23. [illegible]. 24. [illegible]. 25. [illegible]. 26. [illegible]. 27. [illegible] ... 28. [illegible]. 29. [illegible]. 30. [illegible]. 31. ... [illegible].

# შიფროვორდი

| | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ■ | 20 | ■ | 30 | ■ | 25 | 15 | 3 | 19 | 22 | 10 | 21 |
| 28 | 15 | 4 | 15 | 32 | 21 | ■ | 15 | ■ | ■ | 12 | ■ |
| ■ | 10 | ■ | 11 | ■ | 17 | ■ | 18 | 12 | 10 | 7 | 21 |
| 8 | 12 | 17 | 15 | 2 | 21 | 2 | 21 | ■ | ■ | 18 | ■ |
| ■ | 13 | ■ | 16 | ■ | 13 | ■ | 3 | 15 | 16 | 21 | 15 |
| ■ | 24 | 12 | 21 | 10 | 14 | ■ | 22 | ■ | ■ | 15 | ■ |
| ■ | 21 | ■ | ■ | ■ | 26 | 15 | 18 | 21 | ■ | ■ | 15 |
| 15 | 9 | 6 | 15 | 9 | 21 | ■ | 21 | ■ | ■ | ■ | 16 |
| ■ | 15 | ■ | 5 | ■ | ■ | 29 | ■ | 33 | 14 | 10 | 14 |
| 30 | ■ | 1 | 21 | 1 | 30 | 12 | 18 | 21 | ■ | ■ | 6 |
| 15 | ■ | ■ | 31 | ■ | ■ | 20 | ■ | 13 | 22 | 18 | 15 |
| 18 | 12 | 18 | 12 | ■ | ■ | 13 | ■ | 28 | ■ | ■ | 2 |
| 21 | ■ | ■ | 13 | ■ | 24 | 15 | 6 | 15 | 15 | 1 | 21 |
| 10 | 14 | 5 | 21 | 13 | 21 | ■ | ■ | 10 | ■ | 9 | ■ |
| 15 | ■ | ■ | ■ | ■ | 6 | 15 | 6 | 21 | 5 | 15 | ■ |

| | |
|---|---|
| ა-15 | ს- |
| ბ- | ტ-2 |
| გ | უ |
| დ | ფ |
| ე 12 | ქ |
| ვ- | ღ- |
| ზ- | ყ |
| თ-1 | შ-17 |
| ი- | ჩ- |
| კ | ც |
| ლ- | ძ- |
| მ- | წ- |
| ნ | ჭ |
| ო | ხ |
| პ- | ჯ- |
| ჟ | ჰ- |
| რ- | |

# საქართველოს გზები – უბედურების ზონა



საქართველოში, წლეულს პირველ ექვს თვეში, იანვრიდან ივნისის ჩათვლით, საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევებში, შსს-ის ოფიციალური მონაცემებით, დაღუპულია 284 ადამიანი! თბილისში – 40! ამას გარდა, აღსანიშნავია, რომ ამავე პერიოდში მომხდარ 2869 ავარიაში დაშავდა 4130 ადამიანი. ვერაფერს იტყვის კაცი, მართლაც შემაშფოთებელი სტატისტიკაა. ახლა ძნელი სათქმელია, თუ რამდენი გარდაიცვალა დაშავებულთაგან, რამდენი დახეიბრდა. ერთს კი ვიტყვით: სახელმწიფომ საყოველთაო დაზღვევის პროგრამიდან დამატებითი ხარჯები გასწია დაშავებულთა სამკურნალოდ.

სტატისტიკური მონაცემებით თავს აღარ შეგაწყენთ. მოდით, შესაძლებლობის ფარგლებში შევეცადოთ, გავაანალიზოთ ავარიის გამომწვევი მიზეზები. დარწმუნებული ვარ, ოპონენტები შემომედავებიან, ავარიები ყველა ქვეყანაში ხდება და, საუბედუროდ, მომავალშიც მოხდებაო. მაგრამ, მოდით, ისიც ვთქვათ, შეიძლება თუ არა ტრაგედიების თავიდან აცილება თუ არა, შემცირება მაინც.

ძალაუნებურად, ამჯერადაც მოგვიწევს საუბარი „ნაცმოძრაობის“ გაკეთებულ თუ ფაქტობრივად გაფუჭებულ საქმეებზე. 2004 წელს განახორციელეს ე. წ. პოლიციის რეფორმა, რომლის წყალობით შსს-ს ორგანოებიდან გაათავისუფლეს ფაქტობრივად ყველა ძველი თანამშრომელი და მათი ადგილები ახალბედებმა, ორ-სამთვიანი გადამზადების შემდეგ დაიკავეს. გააუქმეს აგრეთვე საგზაო ავტოინსპექცია, რომელიც საგზაო პატრულმა ჩაანაცვლა. საი-ს გაუქმებას მოსახლეობის დიდი ნაწილი აღფრთოვანებით შეხვდა.

რა მივიღეთ გატარებული რეფორმების შედეგად? ეს გახლავთ ერთ-ერთი მთავარი კითხვა. პასუხი მარტივია – მივიღეთ მხოლოს ის, რომ პოლიციელი ფულს აღარ იღებს მძღოლისგან, თორემ ავტოავარიები ქალაქებსა და ავტომაგისტრალებზე შემცირების ნაცვლად, გაიზარდა.

ცენტრალური ავტომაგისტრალების გარდა, ზოგიერთი მძღოლი სიჩქარის გადაჭარბებას არც დედაქალაქში ერიდება. მაგალითების საძებნელად შორს წასვლა ნამდვილად არ დასჭირდება ადამიანს. უბრალოდ, დადგეს ქუჩაში თუნდაც 5 წუთით და დარწმუნდება.

თბილისში ნამდვილად ქაოტური მოძრაობაა ქუჩებში. მოდით, არსებულ ვითარებას მხოლოდ პატრულს ნუ დავაბრალებთ. ვთქვათ სიმართლე, რომ ჩვენი მძღოლები საჭესთან დაბალ კულტურას ამჟღავნებენ. ზოგიერთი ფეხით მოსიარულეთა გადასასვლელზე, ე. წ. „ზებრაზე“ არათუ დაუთმობს გზას ადამიანს, სიჩქარეს არც შეანელებს. ზოგიერთი სპეცსიგნალებზე საერთოდაც არ რეაგირებს. თავად შევესწარი, თუ როგორ გადაუჭრა გზა სირენებით მიმავალ სახანძრო მანქანას ერთ-ერთმა მძღოლმა. რომ არა მეხანძრის პროფესიონალიზმი, მართლაც საშინელება დატრიალდებოდა.

სააკაშვილი-მერაბიშვილის დროს ფართო უფლებებით აღჭურვეს კერძო კომპანია „სითი პარკი“. როგორც გამოირკვა, ყოფილი ჩინოვნიკების ანგარებისთვის. ფაქტობრივად, პოლიციას ჩამოართვეს გარკვეული უფლება-მოვალეობები და მათ გადასცეს.

„სითი პარკის“ საქმიანობაზე ჩვენი გაზეთი ადრეც წერდა, მათ თავიანთი პირაპირი მოვალეობა – ავტოსადგომების შექმნა ვერ თუ არ შეასრულეს. ამიტომაც ვამბობთ, რომ ქალაქის განტვირთვისთვის და გზებზე წესრიგის დასამყარებლად აუცილებელია პოლიციის გააქტიურება. ავტოსაგზაო წესების დაცვა ყველა ჩვენგანის მოვალეობაა თუნდაც იმის გამო, რომ საქართველოში არ გვაქვს ისეთი დემოგრაფიული ფუფუნება, 6 თვეში ასობით ადამიანი დაიღუპოს ავტოავარიებში.

**გია ბურდული**

551 71 27 07

# `saerTo gazeTis~ iuridiuli konsultacia



*„საერთო გაზეთის“ მკითხველთა შეკითხვებს პასუხობს გაზეთის იურიდიული კონსულტანტი, ადვოკატი*

***მთვარისა კევლიშვილი.***

**ტელ.**: 2 79 63 91;
0 790 60 64 69;
5 93 78 64 69

* * *

**- 35 წლის წინ გამასამართლეს ჩადენილი დანაშაულისთვის. ამჟამად ვმუშაობ ერთ-ერთ საწარმოში. გვთხოვენ ნასამართლობს ცნობას. ვითვლები თუ არა ნასამართლევად?**

- თქვენი ნასამართლობა გაქარწყლებულია და, შესაბამისად, ნასამართლობის მქონედ აღარ ითვლებით.

* * *

**- რა იგულისხმება თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევაში? რა ვადით ხდება თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევა?**

- საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 43-ე მუხლის 1-ლი ნაწილის მიხედვით, თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევა ნიშნავს იმას, რომ მსჯავრდებულს ეკრძალება ეკავოს დანიშვნითი თანამდებობა სახელმწიფო სამსახურში ანდა ეწეოდეს პროფესიულ ან სხვაგვარ საქმიანობას.

ამავე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევა ძირითად სასჯელად ინიშნება ერთიდან ხუთ წლამდე ვადით, ხოლო დამატებით სასჯელად - ექვსი თვიდან სამ წლამდე ვადით.

თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევის დამატებით სასჯელად დანიშვნა შეიძლება იმ შემთხვევაშიც, როდესაც იგი ჩადენილი დანაშაულისათვის სასჯელად არაა გათვალისწინებული ამ კოდექსის შესაბამისი მუხლით, თუ დანაშაულის საშიშროების ხასიათის, ხარისხისა და დამნაშავის პიროვნების გათვალისწინებით სასამართლო შეუძლებლად მიიჩნევს შეუნარჩუნოს მას თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლება.

ძირითად სასჯელად საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის ან გამასწორებელი სამუშაოს დანიშვნისას, აგრეთვე პირობითი მსჯავრის დროს დამატებით სასჯელად დანიშნული თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევის ვადა გამოიანგარიშება სასამართლოს განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლის მომენტიდან. ძირითად სასჯელად თავისუფლების შეზღუდვის ან თავისუფლების აღკვეთის დანიშვნის დროს დამატებით სასჯელად დანიშნული თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევის ვადა გამოიანგარიშება ძირითადი სასჯელის მოხდის მომენტიდან, ასევე ვრცელდება ძირითადი სასჯელის მოხდის მთელ ვადაზე.

* * *

**-რა ვადაში გაქარწყლდება ნასამართლობა?**

-თქვენთვის საინტერესო საკითხს მთლიანად მოიცავს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 79-ე 99ე და მე-100 მუხლები, რომლებსაც, ვითვალისწინებთ რა მკითხველთა მიერ გამოგზავნილ შეკითხვათა სიმრავლეს ამ თემასთან დაკავშირებით, წარმოგიდგენთ მთლიანად:

-მუხლი 79. ნასამართლობა

1. მსჯავრდებული ნასამართლევად ითვლება გამამტყუნებელი განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლის დღიდან ნასამართლობის გაქარწყლების ან მოხსნის მომენტამდე. ნასამართლობა მხედველობაში მიიღება სისხლის-სამართლებრივი პასუხისმგებლობის, დანაშაულის კვალიფიკაციისა და სისხლის-სამართლებრივი ზემოქმედების ღონისძიების საკითხის გადაწყვეტისას.

2. სასჯელისაგან გათავისუფლებული ითვლება ნასამართლობის არმქონედ.

3. ნასამართლობა გაქარწყლდება:

ა) პირობით მსჯავრდებულისა – გამოსაცდელი ვადის გასვლის შემდეგ;

ბ) თავისუფლების აღკვეთაზე უფრო მსუბუქი სასჯელით მსჯავრდებულისა – სასჯელის მოხდიდან ერთი წლის შემდეგ;

გ) ნაკლებად მძიმე დანაშაულისათვის თავისუფლების აღკვეთით მსჯავრდებულისა – სასჯელის მოხდიდან სამი წლის შემდეგ;

დ) მძიმე დანაშაულისათვის თავისუფლების აღკვეთით მსჯავრდებულისა – სასჯელის მოხდიდან ექვსი წლის შემდეგ;

ე) განსაკუთრებით მძიმე დანაშაულისათვის თავისუფლების აღკვეთით მსჯავრდებულისა – სასჯელის მოხდიდან რვა წლის შემდეგ.

4. თუ მსჯავრდებული კანონით დადგენილი წესით სასჯელის მოხდისაგან ვადამდე იქნა გათავისუფლებული ან თუ მას სასჯელის მოუხდელი ნაწილი შეეცვალა უფრო მსუბუქი სახის სასჯელით, ნასამართლობის გაქარწყლების ვადა შესაბამისად გამოითვლება სასჯელის ფაქტობრივად მოხდილი ვადიდან ან უფრო მსუბუქი სახის სასჯელის (ძირითადი და დამატებითი) მოხდის მომენტიდან.

5. თუ სასჯელის მოხდის შემდეგ მსჯავრდებული უმწიკვლოდ იქცეოდა, მაშინ მისი თხოვნით სასამართლოს შეუძლია მოუხსნას მას ნასამართლობა ნასამართლობის გაქარწყლების ვადის გასვლამდე.

6. გაქარწყლებული ან მოხსნილი ნასამართლობა მხედველობაში არ მიიღება სისხლის-სამართლებრივი პასუხისმგებლობის, დანაშაულის კვალიფიკაციისა და სისხლის-სამართლებრივი ზემოქმედების ღონისძიების საკითხის გადაწყვეტისას.

მუხლი 99. ხანდაზმულობის ვადები

არასრულწლოვნის სისხლის-სამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან ან სასჯელისაგან გათავისუფლებისას ამ კოდექსის 71-ე და 76-ე მუხლებით გათვალისწინებული ხანდაზმულობის ვადები განახევრდება.

მუხლი 100. ნასამართლობის გაქარწყლება (4.07.2007 N5196)

იმას, ვინც დანაშაული თვრამეტ წლამდე ჩაიდინა, ნასამართლობა გაუქარწყლდება:

ა) პირობით მსჯავრდებისას – გამოსაცდელი ვადის გასვლის შემდეგ;

ბ) თავისუფლების აღკვეთაზე უფრო მსუბუქი სასჯელით მსჯავრდებისას – სასჯელის მოხდიდან ექვსი თვის შემდეგ;

გ) ნაკლებად მძიმე დანაშაულისათვის თავისუფლების აღკვეთით მსჯავრდებისას – სასჯელის მოხდიდან ერთი წლის შემდეგ;

დ) მძიმე დანაშაულისათვის თავისუფლების აღკვეთით მსჯავრდებისას – სასჯელის მოხდიდან სამი წლის შემდეგ;

ე) განსაკუთრებით მძიმე დანაშაულისათვის თავისუფლების აღკვეთით მსჯავრდებისას – სასჯელის მოხდიდან ხუთი წლის შემდეგ.

# წარმატებები „სამეგრელოს"!



ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის საფეხბურთო კლუბი „სამეგრელო" არა მხოლოდ ჩხოროწყუში, მთელ რეგიონში პატივისცემით და სიყვარულით სარგებლობს.

გუნდი „სამეგრელოს" წარმატებაში დიდი წვლილი აქვს შეტანილი როგორც კლუბის ხელმძღვანელებს, ასევე მწვრთნელებს, მაგრამ შეუძლებელია არ აღვნიშნოთ გუნდის წევრთა თავდაუზოგავი შრომა წარმატებისთვის. მათ თავისუფლად შეიძლება ვუწოდოთ თავდადებული მებრძოლები.

მუნიციპალიტეტის გამგებლის, ბატონ დათო გოგუას ინიციატივით და საკრებულოს უშუალო მხარდაჭერით, კლუბში ახალი ხელისუფლების მოსვლის შემდეგ რეორგანიზაცია მოხდა.

კლუბის პრეზიდენტის, ღირსეული ქართველისა და პროფესიონალის, ბატონ რამაზ კოხიას სურვილია, „სამეგრელო" ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის სპორტულ-კულტურული მიმართულების სავიზიტო ბარათად იქცეს. ამისთვის ყველაფერი კეთდება.

მთავარი ის არის, რომ ყველა ღირსეულმა ჩხოროწყუელმა, სადაც არ უნდა იყოს იგი, ხელი უნდა შეუწყოს ამ ინიციატივის განხორციელებას.

როგორც ჩვენი საყვარელი თანამემამულე ლაშა გახარია იტყოდა:

**„ჩვენ ვიცით, როგორ ვუწამლოთ,**
**ჩვენი მამულის სანახებს,**
**ჩვენი კაცური ნაბიჯი,**
**გზას ხომ ჩვენს შვილებს ანახებს".**

ერთად ვიზრუნოთ საყვარელ გუნდზე. ის ჩხოროწყუს სიამაყე უნდა გახდეს.

**ნაია მალანია**
**ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის თანამშრომელი**

## აღმოაჩინეს ალკოჰოლის მავნე ზემოქმედების საწინააღმდეგო საშუალება



ამერიკელმა მედიკოსებმა დაამტკიცეს, რომ ალკოჰოლს ორგანიზმისთვის უფრო მეტი ზიანის მოტანა შეუძლია, ვიდრე ღვიძლის პრობლემებია.

ალკოჰოლური სასმელების ბოროტად გამოყენება მთლიანად ანგრევს ადამიანის იმუნურ სისტემას, აფერხებს გამოჯანმრთელების და თვით ჭრილობების შეხორცებასაც კი. იგი აჩენს მიდრეკილებას როგორც კუჭის, პანკრეასის, ასევე კანის წყლულოვანი დაავადების მიმართ.

ლაიოლის უნივერსიტეტის 50-ზე მეტი დოქტორი, პროფესორი და სტუდენტი აწარმოებდა კვლევას ალკოჰოლის ზემოქმედების შედეგებზე ადამიანის ორგანიზმისთვის.

დოქტორმა ელიზაბეთ კოვაქსმა კვლევების შედეგად თერაპიის ახალი კურსი შეიმუშავა, რომლის საშუალებითაც ძლიერდება ადამიანის იმუნური სისტემა და მინიმალიზდება ალკოჰოლის მავნე ზემოქმედება.

„ყველაზე უკეთესი საშუალება ალკოჰოლის მავნე ზემოქმედებისგან თავის დასაღწევად, რა თქმა უნდა, ის არის, საერთოდ თუ არ გამოიყენებთ სპირტიან სასმელებს",– აღნიშნავს ელიზაბეთ კოვაქსი.

შემუშავებულია სხვადასხვა მეთოდები. ყველაზე საინტერესო კი მათ შორის „ალკოჰოლური და ოქსიდატური სტრესის" პროგრამაა, როცა წვეთ-წვეთობით აქვს დაკავებული ალკოჰოლს ორგანიზმის თავისუფალი რადიკალები, მათი განთავისუფლება ანტიოქსიდანტებით ხდება შესაძლებელი. კვლევა იმდენად საინტერესო აღმოჩნდა, რომ მასში კოლორადოს, მასაჩუსეტსის, მისისიპის სახელმწიფო უნივერსიტეტი და ჩიკაგოს უნივერსიტეტებიც ჩაერთო. ვარაუდობენ, რომ გამოიგონებენ ისეთ საშუალებას, რომელიც მთლიანად მოხსნის ალკოჰოლის მავნე მოქმედებას ადამიანის ორგანიზმზე.

## ბოილმა იცოდა, რა იქნებოდა 3 საუკუნის შემდეგ



რობერტ ბოილი, რომელიც 350 წლის წინათ მოღვაწეობდა და იყო ცნობილი ინგლისელი ფიზიკოსი, ქიმიკოსი, ფილოსოფოსი, ღვთისმეტყველი, ცნობილი ბოილ-მარიოტის კანონის შემქმნელი, ის კაცია, რომელმაც თავის დროზე ბევრი ისეთი ტექნიკური სიახლის გამოგონება იწინასწარმეტყველა, რომელიც ჩვენს თანამედროვეობაში შეიქმნა.

ბოილი XVII საუკუნის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი აღმოჩენის ავტორია. მან დაამტკიცა, რომ გაზი მუდმივ ტემპერატურაზე წნევას ინარჩუნებს. იგივე აღმოჩენა 14 წლის შემდეგ ფრანგმა მეცნიერმა აბატ ედმ მარიოტმაც გააკეთა.

მაგრამ ამით არ ამოიწურებოდა ბოილის აღმოჩენები.

თანამედროვე მეცნიერების აღმოჩენებზე ცნობები ბოილის არქივში აღმოჩნდა. ბოილი ამტკიცებდა, რომ ადამიანები გამოიგონებდნენ მფრინავ აპარატებს, ააგებდნენ უზარმაზარ გემებს, და წყალქვეშა ხომალდებს. იგი ასევე წინასწარმეტყველებდა გენმოდიფიცირებული პროდუქტების გამოყვანის შესაძლებლობაზე საძილე და ცკივილგამაყუჩებელი საშუალებების გამოგონებაზე. დიდი მეცნიერი ამბობდა, დადგება დრო, როცა ადამიანებს ორგანოებს გადაუნერგავენო. მის ნაწარმოებში ნავიგატორულ აღმოჩენებზეც არის საუბარი და აკვალანგზეც.

დღევანდლამდე ბოილის წინასწარმეტველებები სერიოზულად არ იყო აღქმული, მხოლოდ ტექიკური პროგრესის დადგომის შემდეგ მიაქციეს ყურადღება დიდი ფიზიკოსის ნაშრომებს.


## სახალხო მკურნალი (მცენარეული პანაცეა)



ქალბატონი ირმა სიხარულიძე სამედიცინო დარგის მუშაკია, მაგრამ ავადმყოფებს საუკუნეებით გამოცდილი საგვარეულო წამალ-მალამოთი მკურნალობს. იგი წარმატებით კურნავს: ოსტეოქონდროზს, პოლიართრიტს, მწვავე რადიკულიტს, კისრის, მხრის და მენჯ-ბარძაყის მუხლ-სახსრების ართრიტს; ქვედა კიდურების სისხლძარღვთა შევიწროებას, ე.წ. მარილების დაგროვებას ქუსლისა და ტერფის არეში, დისკოზს, სამწვერა ნერვის ანთებას, შიდა ქალის წნევას.

წამალი მცენარეულია და არანაირი უკუჩვენება არ აქვს.

**მიმართეთ და ენდეთ ირმა სიხარულიძეს.**
**მას შეგიძლიათ დაუკავშირდეთ:**
**ქ. თბილისი, ფოთის ქ.№2 (მეტრო წერეთელთან)**
**ტელ: 557 358 900, 34 21 63**


## ასტროლოგიური პროგნოზი

**ვერძი** – თქვენს ცხოვრებაში საინტერესო ცვლილებებია მოსალოდნელი. წარმატება გელით ფინანსურ ოპერაციებში. შეგიძლიათ თავს დასვენების უფლებაც მისცეთ.

**კურო** – ხელმძღვანელობასთან ურთიერთობას ერიდეთ, რადგან კონფლიქტური სიტუაციების ალბათობა იზრდება. წარმატება გელით ფინანსურ ოპერაციებში.

**ტყუპები** – პირად ცხოვრებაში საინტერესო ცვლილებები გელით. თავს იღბლიან შეყვარებულად იგრძნობთ. შესაძლოა, წვეულებაზე შეხვდეთ ადამიანს, რომელიც თქვენს ცხოვრებაში მნიშვნელოვან ადგილს დაიკავებს.

**კირჩხიბი** – ეს პერიოდი დასვენებას დაუთმეთ. წარმატება გელით პირად ცხოვრებაში. დროის მნიშვნელოვანი ნაწილი მეგობრებთან გაატარეთ.

**ლომი** – ერიდეთ ალკოჰოლსა და კონფლიქტურ სიტუაციებს. სიფრთხილე გმართებთ კოლეგებთან ურთიერთობისას. დრო დასვენებისთვისაც გამონახეთ.

**ქალწული** – გელით რომანტიკული თავგადასავლები. დროის მნიშვნელოვანი ნაწილი ოჯახურ გარემოში გაატარეთ. ხელმძღვანელობასთან ურთიერთობას ერიდეთ.

**სასწორი** – თქვენს ცხოვრებაში საუკეთესო პერიოდი დადგა – იღბალი თქვენს მხარესაა, გამოიჩინეთ ინიციატივა, რათა საუკეთესო პერიოდი ხელიდან არ გაუშვათ.

**მორიელი** – ამ პერიოდში აქცენტი პირად ცხოვრებაზე გააკეთეთ. შეგიძლიათ თამამი გადაწყვეტილებებიც მიიღოთ. ერიდეთ ალკოჰოლსა და კონფლიქტურ სიტუაციებს.

**მშვილდოსანი** – წარმატებული დღეები გრძელდება. პირად ცხოვრებაში ჰარმონიული სიტუაცია შენარჩუნდება. დაგეგმილი მოგზაურობა წარმატებული იქნება.

**თხის რქა** – ფინანსურ ოპერაციებში წარმატებები გელით, რასაც მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესება მოჰყვება. ერიდეთ იმ ადამიანებთან ურთიერთობას, რომლებსაც თქვენზე ზეგავლენის მოხდენა შეუძლიათ.

**მერწყული** – წარმატება გელით ყველგან და ყველაფერში. გამოიჩინეთ მაქსიმალური შრომისუნარიანობა, რათა დაგეგმილი საქმეები განახორციელოთ.

**თევზები** – ამ პერიოდში მნიშვნელოვანი არაფერი გელით. იყავით მშვიდი და გაწონასწორებული. დროის მნიშვნელოვანი ნაწილი დასვენებას დაუთმეთ.

ISSN 2233-3983
9 772233 398001